

საქართველოს სახელმწიფო აგრარული

უნივერსიტეტი

ფატიმა ქვაცაბაია

“მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების გზები სამეგრელოს რეგიონის მაგალითზე”.

სოციალური მეცნიერების დოქტორის აკადემიური

ხარისხის მოსაპოვებლად წარმოდგენილი

დისერტაცია

აგრარული ეკონომიკა – 31

სამეცნიერო ხელმძღვანელი—
ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი,
სრული პროფესორი – რ. ასათიანი
კონსულტანტი—ეკ. მეცნ. დოქტორი,
პროფესორი ნ. ტურაბელიძე

ს ა რ ჩ ე ვ ი

შ ე ს ა ვ ა ლ ი ;

1. სამეგრელოს რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები ;

1.1. ბუნებრივი პირობების დახასიათება ;

1.2. ეკონომიკური პირობები ;

1.3 რესურსული პოტენციალის გამოყენების შეფასება ;

2. მიწის ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მაჩვენებლები ;

2.1. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა ;

2.2. მიწის ბაზარი და მისი გავლენა მიწის გამოყენების ეფექტიანობაზე ;

3. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები ;

3.1. მიწების გაუმჯობესება-ტრანსფორმაცია ;

3.2. მიწის ფონდის მართვის სრულყოფა ;


3.3. მეურნეობრიობის ახალი ფორმების წარმოქმნის ტენდენციები და პერსპექტივები ;

3.4. მიწის გამოყენების ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა რეალიზაციის კვალობაზე მიწის

პერსპექტიული გამოყენების შესაძლებლობები ;

დასკვნები და წინადადებები;

გამოყენებული ლიტერატურა.



შესავალი

პრობლემის აქტუალურობა. მიწა თავისი ბუნებრივი სიმდიდრით—წიაღისეულით, ნიადაგებით, წყლით, ფლორითა და ფაუნით მზის სინათლესთან ერთად, სიცოცხლის არსებობისა და ადამიანის წარმატებული ყოფა-ცხოვრების მთავარი პირობაა. მიწის რაოდენობაზე, ადგილმდებარეობაზე და თანმდევი სხვა ბუნების შემდგენი კომპონენტების ხარისხზე ბევრადაა დამოკიდებული მასზე მცხოვრები ადამიანის ბედ-იღბალი, კეთილდღეობა. კარგი და ნაყოფიერი მიწა-წყლის დასაპყრობად და გასათავისებლად მუდამ იბრძოდა და იბრძვის ცალკეული სახელმწიფოები, ეთნიკური ჯგუფები და ფიზიკური პირები. ადამიანის მთავარი საზრუნავი მუდამ იყო და დარჩა მიწის მოვლა-პატრონობა, ლანდშაფტების შენახვა და დაცვა, თანმიმდევრულად გაუმჯობესება, ხარისხის ამაღლება და პროდუქტიულობის ზრდა.

მეცნიერულ-ტექნიკურმა პროგრესმა და ბუნებრივ მოვლენებში ჩარევის საშუალებების წარმოებამ მნიშვნელოვნად დააზარალა მიწა და სხვა ბუნების შემდგენი კომპონენტები, ამას თან დაერთო ბუნების უარყოფითი მოვლენები—მეწყერი, ღვარცოფი, წყალდიდობა, მიწისძვრა, ნიადაგის ეროზია და სხვა. საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლამ, მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ, წარმოებულმა რეფორმამ რადიკალურად შეცვალა მეურნეობრიობის ფორმები, დაიშალა არსებული ტერიტორიის ორგანიზაციის ელემენტები, თესლბრუნვები, გაიჩეხა ქარსაფრები, მწყობრიდან გამოვიდა სარწყავი და დამშრობი ქსელი, მანქანა-იარაღები, საველე სადგომები, დაიჭრა და დაქუცმაცდა სამექანიზაციო ფართობები, ბევრი მაღალინტენსიური

მიწის ფართობი დაიკავა გზამ და ლობე-ყორემ, შრომისუნარიანი მუშახელი წავიდა საზღვარგარეთ, მრავალი სახნავი მიწა დარჩა დაუმუშავებელი, ამოიძირკვა და ეკალ-ბარდით დაიფარა მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები. ნაწილი მიწის კარგი სავარგული დაიკავა შენობა-ნაგებობებმა და სხვა სამრეწველო ობიექტებმა. უსახსრობის გამო გაძნელდა ტექნიკის, სასუქების და შხამქიმიკატების შეძენა. ყველაფერმა ამან ძალზე დააზარალა საკვლევი ობიექტის მიწის სავარგულები, იკლო ნიადაგის ნაყოფიერებამ და მიწის პროდუქტიულობამ.

დღეს, დღის წესრიგში დგას საკითხი რეგიონის მდიდარი და უნიკალური ბუნებრივი რესურსების დაცვისა და გამოყენების ხერხების, მეთოდების და პრინციპების ახლებურად გააზრება-გადაწყვეტის, მისი ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის ამაღლების მთელი სისტემის შემუშავება-დანერგვის უზრუნველყოფის შესახებ. პირველ რიგში მიწის ფონდის მართვის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მიწის ხარისხის გაუმჯობესების ღონისძიებების კომპლექსის, მიწის ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფა, სახელმწიფო რეგულირება, მიწის კადასტრის, მიწათმოწყობის და მიწის კონტროლის ჯეროვან დონეზე აყვანა. ოპტიმალური ზომის და ხელსაყრელი ფორმის მეურნეობების მოწყობა, კადრების მომზადება, საპროექტო და სხვა სახის, საქმის მწარმოებელი ორგანიზაცია-დაწესებულებების შექმნა-აღჭურვა, საკრედიტო სისტემების გაუმჯობესება და ამით სასურსათო უსაფრთხოებისათვის ეკოლოგიურად სუფთა და კონკურენტუნარიანი პროდუქციის წარმოების უზრუნველყოფა.

პრობლემის შესწავლის მდგომარეობა. მიწის რესურსების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების პრობლემებზე ქართველი მეცნიერების მიერ მრავალი სამეცნიერო შრომაა გამოქვეყნებული, დისერტაცია დაცული, რომელშიდაც განხილულია მიწის რეფორმის, მიწის ბაზრის, საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირების და მიწის მართვის ზოგიერთი საკითხი. როგორც ჩვენთვის ცნობილია, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწების დაცვისა და გამოყენების კუთხით კიდევ ბევრია საკითხი, რომელიც საჭიროებს მეცნიერულ შესწავლას, ახლებურად გააზრებასა და გადაწყვეტას. მიწის ხარისხის გაუმჯობესების, მეურნეობრიობის ახალი ფორმების დამკვიდრების, მიწის ფონდის მართვის, კონტროლის, ფასის განსაზღვრის, სახელმწიფო რეგულირების, საკანონმდებლო ბაზის სრულყოფის და ტერიტორიული მოწყობის მხრივ.

ამდენად, ჩვენი ღრმა რწმენით, აღნიშნული საკითხების შესწავლა, არსებული მდგომარეობის ანალიზი და გადაწყვეტის წინადადებების გაკეთება სარგებლობას მოუტანს მიწის დაცვისა და ეფექტურად გამოყენების უზრუნველყოფის საქმეს.

კვლევის მიზნებიდან გამომდინარე, დასახული იქნა შემდეგი ამოცანები:

–სამეგრელოს რეგიონის მრავალფეროვანი და სპეციფიკური ბუნებრივი პირობების შესწავლა–ანალიზი;

–მიწის ფონდის დაცვისა და გამოყენების თანამედროვე დონის ანალიზი;

–მიწის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ობიექტის და მატერიალური პირობის როლი ადამიანის ცხოვრებაში;

- შრომითი რესურსების გამოყენების დონის შეფასება;
 - მიწის რეფორმის შედეგების ანალიზი და შეფასება, მიწების გამოყენების სრულყოფის კუთხით;
 - მემცენარეობის განვითარების თანამედროვე დონის ანალიზი;
 - მეცხოველეობის განვითარების თანამედროვე დონის ანალიზი;
 - სასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების ეკონომიკური შეფასება;
 - მრეწველობის განვითარების თანამედროვე დონის შეფასება და ანალიზი;
 - მიწის ბაზარი და მისი გავლენის შეფასება მიწების გამოყენების ეფექტიანობაზე;
 - მიწების გაუმჯობესება–ტრანსფორმაციის ღონისძიებების კომპლექსის დასახვა;
 - მიწის მართვის სრულყოფის საკითხი;
 - მეურნეობრიობის ახალი ფორმების წარმოქმნის ტენდენციები და პერსპექტიული მიმართულების განსაზღვრა;
 - მიწის სავარგულების პერსპექტიული გამოყენების სტრუქტურის განსაზღვრა;
 - სასოფლო–სამეურნეო წარმოების განვითარების შესაძლებლო-ბების და ძირითადი მიმართულებების დადგენა უახლოეს 15–20 წლებში;
 - სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის დასაბუთება;
- კვლევის ობიექტი.** კვლევის ობიექტს წარმოადგენს სამეგრელოს რეგიონის მიწის ფონდი თავისი ბუნებრივი სიმდიდრით–წიაღისეულით, ნიადაგით, წყლით, ჰაერით, ფლორითა და

ფაუნით და მასზე განლაგებული წარმოება–დაწესებულებები და ორგანიზაციები. კვლევის საგანია რეგიონის ბუნებრივ–ეკონომიკური პირობების თავისებურებანი და სპეციფიკა, მათი გავლენა მიწის ფონდის გამოყენების ხარისხზე, მიწის ფონდის რაოდენობრივი და ხარისხობრივი მაჩვენებლების დადგენა, რესურსული პოტენციალის გამოვლენა და მათი პერსპექტიული გამოყენების შესაძლებლობების განსაზღვრა, საბაზრო ეკონომიკის პირობებში მეურნეობრიობის ახალი, ხელსაყრელი ფორმების განსაზღვრა, მიწის ბაზრის გავლენა ხელსაყრელი ზომის მიწათსაკუთრებისა და მიწათსარგებლობის ფორმირებაზე, მიწების კონსოლიდაციაზე; მიწების გაუმჯობესება–ტრანსფორმაციის კომპლექსი, მიწების მართვა და საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირება და სასოფლო–სამეურნეო წარმოების განვითარების ძირითადი მიმართულებები.

კვლევის მეთოდოლოგია და მეთოდიკა. კვლევის თეორიულ და მეთოდოლოგიურ საფუძველს შეადგენს თანამედროვე ეკონომიკური თეორია საბაზრო ეკონომიკისა და აგრარული რეფორმის შესახებ, არსებული თეორიული ნაშრომები, ქართველი და სხვა ქვეყნებში მოღვაწე მეცნიერ–ეკონომისტების მიერ გამოთქმული მოსაზრებები საკვლევ პრობლემასთან კავშირში, სამეცნიერო–თეორიული და პრაქტიკული კონფერენციების რეკომენდაციები, მთავრობის პროგრამული დოკუმენტები, საკანონმდებლო აქტები და ქვეაქტები. დისერტაციაზე მუშაობისას ფართოდაა გამოყენებული საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის, აგრარული უნივერსიტეტის, საქართველოს

ეკონომიკის კვლევითი ინსტიტუტის მიერ დამუშავებული სამეცნიერო ნაშრომები.

კვლევის საინფორმაციო ბაზას წარმოადგენს საქართველოს სტატისტიკის სახელმწიფო დეპარტამენტის, სოფლის მეურნეობის და სურსათის სამინისტროს, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, თავისი დანაყოფებით, რაიონებში და ცალკეულ წარმოება–დაწესებულებებიდან აღებული ბუღალტრული აღრიცხვის მასალები.

კვლევის პროცესში გამოყენებულია მონოგრაფიული შესწავლის, სტატისტიკური, საბალანსო ეკონომიკურ–მათემატიკური, ლოგიკური ანალიზის, სისტემურ–დიალექტიკური და პრობლემური მიზნობრივი მიდგომა, ანალიტიკური და სხვა მეთოდები.

ნაშრომის მეცნიერული სიახლე. სადისერტაციო ნაშრომი საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში ერთ–ერთი კომპლექსური გამოკვლევაა, რომელშიდაც შესწავლილი და შეფასებულია სამეგრელოს რეგიონის მიწისა და სხვა ბუნების შემდგენი კომპონენტების დაცვისა და გამოყენების დონე, მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრების ხელსაყრელობა, განსაზღვრულია მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ძირითადი მიმართულებები.

კვლევის სიახლე მდგომარეობს შემდეგში:

– შესწავლილი, გაანალიზებული და შეფასებულია სამეგრელოს რეგიონის ბუნებრივი და ეკონომიკური პირობების თავისებურებები და სპეციფიკა, მათი გავლენა მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსული პოტენციალის გამოყენების ხარისხზე, წარმოჩენილია ეკოლოგიურ

გარემოზე უარყოფითად მოქმედი ფაქტორები, დასაბუთებულია მათი თავიდან აცილების კომპლექსური ღონისძიებების დამუშავება—რეალიზაციის აუცილებლობა.

—შესწავლილია სამეგრელოს რეგიონის მიწის რესურსების გამოყენების დინამიკა ათეული წლების მანძილზე, სავარგულების სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები, პროდუქტიულობის ცვალებადობა, გამოვლენილია ახლად ასათვისებელი მიწები, მიწის ფონდის რესურსული პოტენციალის შესაძლებლობები, ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგების განვითარების ძირითადი მიმართულებები.

—დახასიათებულია მიწის, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ობიექტის და მატერიალური პირობის როლი ადამიანის ყოფა—ცხოვრებაში.

—შესწავლილი და გაანალიზებული მხარის შრომითი რესურსების გამოყენების თანამედროვე დონე, უარყოფითი და დადებითი ტენდენციები შრომითი რესურსების ეფექტურად გამოყენების საქმეში და დასახულია მუშა—ხელის უფრო რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის მიმართულებები.

—შესწავლილი და გაანალიზებულია მიწის რეფორმის შედეგები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარე, დასაბუთებულია რეფორმის სრულყოფილად წარმართვის აუცილებლობა და დასახულია მისი განხორციელების გზები.

—შესწავლილია და შეფასებულია მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების თანამედროვე დონე, გამოკვლეულია შესაძლებლობები, რაც გააჩნია აღნიშნული დარგების განვითარების

პერსპექტივას და შემოთავაზებულია სასოფლო-სამეურნეო წარმოების სრულყოფის და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფის წინადადებები.

–მოვახდინეთ სამეგრელოს რეგიონის სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების ეკონომიკური შეფასება. გამოვლენილია მიწის ფონდის გამოყენების მაჩვენებლები და დასაბუთებულია მთელი რიგი ღონისძიებების გატარებით მიწის პროდუქტიულობის ზრდის აუცილებლობა და შესაძლებლობა.

–შესწავლილი და შეფასებული მხარის მრეწველობის განვითარების თანამედროვე დონე და განვითარების პერსპექტიული მიმართულებები, მრეწველობაში მიწის ფონდის სწორად გამოყენების შესაძლებლობები.

–განხილულია მიწის ბაზრის ფორმირება–ფუნქციონირების თანამედროვე მდგომარეობა, დასაბუთებულია მიწის ბაზრის გეოინფორმაციული უზრუნველყოფის, მისი კონიუნქტურის თანამედროვე დონე, წარმოყენებულია ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფის უზრუნველსაყოფად წინადადებები. დასაბუთებულია მიწის ბაზრის დადებითი გავლენა ოპტიმალური ზომის საწარმოების შექმნასა და მიწების კონსოლიდაციის საკითხების გადაწყვეტის კუთხით.

–დამუშავებულია მიწების გაუმჯობესება–ტრანსფორმაციის კომპლექსური ღონისძიებები და წამოყენებულია წინადადებები მათი დანერგვა–რეალიზაციის თაობაზე.

–შესწავლილი და შეფასებულია მიწის მართვის თანამედროვე დონე, დასაბუთებულია მართვის სისტემის სრულყოფის აუცილებლობა და წამოყენებულია წინადადებები მართვის გაუმჯობესების კუთხით.

–შესწავლილი და გაანალიზებულია მეურნეობრიობის ახალი ფორმების დაფუძნების ტენდენციები, გამოკვეთილი და რეკომენდირებულია ხელსაყრელი ფორმის და ზომის მეურნეობების ფორმირების მიმართულებები და განზოგადების ასპექტები.

–მიწის ფონდის დაცვისა და გამოყენების თანამედროვე დონის შესწავლა–ანალიზის საფუძველზე, განსაზღვრულია მიწის სავარგულების პერსპექტიული სტრუქტურა, სასოფლო–სამეურნეო წარმოების განვითარების შესაძლებლობები და ძირითადი მიმართულებები 15–20 წლის მანძილზე.

–რეგიონის მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების სადღეისო მდგომარეობის შესწავლის საფუძველზე და მიწის ფონდის გამოყენების შესაძლებლობების კვალობაზე დასაბუთებულია რეგიონის სასურსათო უსაფრთხოების საკითხის გადაწყვეტის შესაძლებლობები და პარამეტრები.

კვლევის შედეგების პრაქტიკული მნიშვნელობა. სადისერტაციო ნაშრომში გაკეთებული დასკვნების და შემოთავაზებული წინადადებების გამოყენება შეიძლება, როგორც თეორიული, ასევე პრაქტიკული თვალსაზრისით, როგორც სამეგრელოს რეგიონში, ასევე მსგავსი პირობების მქონე ტერიტორიებზე. იგი დახმარებას გაუწევს ყველა სპეციალისტს და პირს, ვისაც საქმე აქვს მიწის ფონდის გამოყენებასთან, აგრარულ სექტორში მომუშავე მეცნიერ–მკვლევარებს მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსული პოტენციალის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენების გზების ძიებაში. ნაშრომი პირველი ცდაა სამეგრელოს მრავალფეროვანი ბუნებრივი პირობების მაგალითზე, საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში მიწის

ფონდის დაცვისა და გამოყენების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავების საქმეში.

თავი I

სამეგრელოს რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობები

1.1. ბუნებრივი პირობების დახასიათება

საქართველოს მრავალფეროვანი, უნიკალური და მდიდარი ბუნებრივი პირობების ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილი კოლხეთია. კოლხეთის ბარი, როგორც ფიზიკურ-გეოგრაფიული ერთეული დაყოფილია ბუნებრივ-სამეურნეო რაიონებად—კოლხეთის დაბლობის, იმერეთის დაბლობის, აჭარის ზღვისპირეთის, იმერეთის ზეგანის და იმერეთის მაღლობის რაიონებად. კოლხეთის სიდიადის შესახებ არა ერთი მსოფლიო მნიშვნელობის მკვლევარი, ისტორიკოსი და მოაზროვნე ევრიპიდე, სტრაბონი, აგათოსი და სხვები წერდნენ. მითში არგონავტების შესახებ ნათქვამია: “სატახტო ქალაქი იყო აია, საუცხოვო სანახავი იყო მისი მაღალი სასახლეები, სვეტებიანი დარბაზები, ვაზი, შადრევნები, საიდანაც ჩქეფდა ღვინო, რძე, სურნელოვანი ზეთი და წყალი”.

სამეგრელო კოლხეთის დაბლობის ცენტრალური ნაწილია. გეოგრაფიულად ტერიტორია ჩრდილო განედის $42^{\circ}-00'-42^{\circ}-31'$ და აღმოსავლეთ გრძედის $42^{\circ}-00'-43^{\circ}-00'$ შორსაა განლაგებული. კოლხეთის ბარის დაბლობი სამკუთხედის ფორმისაა და ფუძით ებჯინება შავ ზღვას. ჩრდილოეთიდან და აღმოსავლეთიდან მას ესაზღვრება დიდი კავკასიონის სამხრეთ ფერდობის მთის წინები, სამხრეთ აღმოსავლეთით იმერეთის ზეგანი, სამხრეთიდან მესხეთის მთათა სისტემა და დასავლეთიდან შავი ზღვა. [51]

დღევანდელი ტერიტორიის საზღვრები 7 ადმინისტრაციულ რაიონს მოიცავს და ორ ზონად იყოფა: უპირატესად ბარის (აბაშის, ხობის, სენაკის რაიონები) და გორაკ-ბორცვიან (ზუგდიდის, წალენჯიხის,

ჩხოროწყუს, მარტვილის რაიონები) ზონებად. მისი დასავლეთი საზღვარი შავი ზღვის სანაპიროს გაუყვება. ჩრდილო საზღვარი ჯერ მდ. ენგურს ემთხვევა მისი შესართავიდან სოფელ ფახულანამდე, შემდეგ მდ. ერისწყალის აუზის გორაკ-ბორცვიან ზოლზე და ოხაჩქუს მასივზე გაივლის. ამ მასივის ჩრდილოეთით სამეგრელოს საზღვრებში შემოდის მდ. საკალმახოს, ბერბუგაბის, ცხიანის, გვალათინას და მანდიში-ჭალეს (ენგურის მარჯვენა შენაკადები) აუზები, რომლებიც კოდორის ქედის თხემური ზოლის სამხრეთ კიდეზე აღმართულ აკიბას მასივის (2810 მ.) აღმოსავლეთ ფერდობზე მდებარეობენ. მდ. ლარაყვავას (ენგურის მარჯვენა შენაკადი) შესართავის შემდეგ საზღვარი მდ. ენგურის ხეობის მარჯვენა ფერდობს გაუყვება და ადის ოშის ქედის მთავარი წყალგამყოფის თხემზე, რომელიც თითქმის 50 კმ-ის სიგრძეზე (მთა დურისთავამდე 2557 მ.) სამეგრელოს ტერიტორიას სვანეთისაგან გამოყოფს. აქედან სამეგრელოს საზღვარი მდ. ტეხურისა და ცხენისწყალის წყალგამყოფს გაუყვება, რომელიც ოდიშის ქედის სამხრეთი ფერდობის უკიდურეს აღმოსავლეთ კონტრფოსს წარმოადგენს. ადმინისტრაციულად მიწათსარგებლობას ჩრდილო-დასავლეთიდან ესაზღვრება გალის რაიონის მიწები, მესტიისა და ლენტეხის რაიონები, აღმოსავლეთიდან ცაგერის რაიონი, სამხრეთიდან ხონის რაიონი, სამხრეთ-დასავლეთიდან სამტრედიისა და ლანჩხუთის რაიონები, დასავლეთიდან შავი ზღვა. [19]

ოროგრაფიისა და რელიეფის მიხედვით ტერიტორიის 269 ათასი ჰექტარი მიწა ანუ 61 %-განლაგებულია ზღვის დონიდან 200 მეტრის სიმაღლემდე, ხოლო 173 ათასი ჰექტარი 200 მეტრის ზევით. ტერიტორიის 61% ვაკე გაშლილი ადგილებითაა წარმოდგენილი, რაც სამეურნეოდ გამოყენების საუკეთესო პირობებზე მეტყველებს. შედარებით ნაკლები ხელსაყრელობით გამოირჩევა მთის წინების

შემადგებელი ადგილები, რაც ხშირად უარყოფითი ბუნებრივი მოვლენების წარმოქმნის ძირითად ფაქტორად გვევლინება.

კ ლ ი მ ა ტ ი. კლიმატური პირობები შექმნილია რეგიონის გეოგრაფიული მდებარეობით შავი ზღვის დიდი და პატარა კავკასიონის ურთიერთგანლაგებით და მათი რთული ორთოგრაფიული წყობის ძალით. კლიმატის ფორმირებაში გადამწყვეტ როლს თამაშობს მზის რადიაცია, ატმოსფეროს ცირკულაციური პროცესები და ტერიტორიის ზედაპირის ხასიათი. ყველა ეს ფაქტორები ურთიერთმიზეზობრივ კავშირებსა და ურთიერთგანპირობებულობაში განსაზღვრავს ბუნებაში მიმდინარე ყველა პროცესს. ვერტიკალური ზონალობა, რთული რელიეფი, ზღვიდან დაშორების მანძილი, მცენარეული საფარი, მიწის ზედაპირის არათანაბრად გათბობა განაპირობებს კლიმატის თავისებურებას. სამეგრელო შავი ზღვის აუზის მნიშვნელოვანი ნაწილია, ზღვის ნოტიო და სუბტროპიკული კლიმატის მხარე. ტემპერატურის ამპლიტუდა მცირეა, ნალექები უხვი, წყლის რადიაციული ბალანსი დადებითი, სინოტივე მაღალი, წლის განმავლობაში გაბატონებულია ზღვიური და სუბტროპიკული განედების დანესტიანებული კონტინენტური ჰაერის მასები. დიდია რადიაციული ბალანსის მნიშვნელობა დედამიწისა და ატმოსფეროს შორის სითბოს ცვლაში, სინოტივისა და სითბოს განაწილებაში რადიაციულ ბალანსზეა დამოკიდებული ბუნებაში მიმდინარე ყველა პროცესის მსვლელობა და კლიმატურ-ლანდშაფტური ზონების არსებობა. კოლხეთში რადიაციული ბალანსი იცვლება 52-55 კ.კალ/სმ². ბალანსი ეცემა ზღვიდან მთის მიმართულებით. კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე რადიაციული ბალანსის ცვალებადობა კანონზომიერია 800 მეტრამდე. შემდეგ ეცემა მკვეთრად. სამეგრელოში ზაფხულის ტემპერატურა 24^o-ია. წაყინვები იწყება დეკემბრიდან. უყინვო დღეთა რაოდენობა 250 – 300 დღეა. ჰაერის სინოტივე ზღვის სანაპიროზე

წყლის ორთქლის საშუალო წლიური ღრეკადობა 14 მ შეადგენს. ჰაერის ორთქლით გაუქვნიებულობის ხარისხი (შედარებითი სინოტივე) 78 – 80%-ია. ღრუბლიანობა 55 – 70 %. ღრუბლიანობის დღეთა რიცხვი 120 – 173 –ია. ქარის რეჟიმის ფორმირებაში დიდ როლს თამაშობს ზღვის და ხმელეთის არათანაბარი გათბობა, ატმოსფერული წნევის არათანაბარი განაწილება და ოროგრაფიული პირობები. ძირითადად გაბატონებულია აღმოსავლეთის ქარები (ცივ პერიოდში). ხოლო თბილ პერიოდში დასავლეთის ქარები. დასავლეთის ქარებს აძლიერებს ადგილობრივი ქარები–ბრიზები, ხოლო აღმოსავლეთისას – ფიონები. საკვლევ ობიექტზე გამოხატულია მუსონური ქარების რეჟიმი–აღწევს 135 კმ-ს სთ-ში. ქარის საშუალო წლიური სიჩქარე 5 – 10 მ/წმ. ატმოსფერული ნალექების რაოდენობა 1500 მმ-ს აღწევს. კავკასიონის სამხრეთ ფერდობზე 3000 – 3500 მმ-მდე აღწევს. თოვლის საბურველის სიმაღლე 20 სმ-ს აღწევს და 30 – 35 დღე გრძელდება. ნისლიან დღეთა რაოდენობა 10 – 40 დღეა, მთის წინებში 100 დღემდე აღწევს. სეტყვიან დღეთა რაოდენობა წელიწადში 10 – 12 –ია. დანესტიანების კოეფიციენტი 5 –დან 3-მდეა. [51]

მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების უზრუნველსაყოფად საჭიროდ მიგვაჩნია კლიმატური პირობების შესწავლა შემდეგი მაჩვენებლების მიხედვით (იხ. ცხ 1):

ნ ი ა დ ა გ ე ბ ი. ნიადაგური საფარი – ხმელეთისა და მცირეწყლიანი ზედაპირის ბიოგეოქიმიური გარსია – ცოცხალი და მკვდარი ნივთიერებების კონცენტრაციის სფერო, რომელიც შეიქმნა ცოცხალი ორგანიზმების ნივთიერებებისა და მთის ქანების ურთიერთქმედებით. ორგანიზმები (მცენარეები, ცხოველები, მიკრობები) და ნიადაგები ერთად შეადგენს რთულ ეკოლოგიურ სისტემას (ბიოგეოცენოზი), რომელთა ვარირება დამოკიდებულია განვითარების ისტორიული პროცესისა და გეოგრაფიული გარემოს თავისებურებაზე.

სამეგრელოს რეგიონის კლიმატური პირობები

ისტორიულ-გეოგრაფ. მხარე (რეგიონი)	ბუნებრივ-სამეურნეო რაიონი	ადმინისტრაციული რაიონი	საშუალო წლიური ტემპერატურა გრ.	აქტიურ რაია ჯამი	საკვებპტაციო პერიოდის ხანგრძლივობა (დღე)	ნალექების ჯამი		ჯამური რაღიაცია კვადრ. მმ – წელ.	მეტეოროლოგიური სადგური
						ჭლიური მმ.	შაკვებპტაციო პერიოდში მმ.		
1	2	3	4	5	6	7	8	9	10
სამეგრელო	კოლხეთის დაბლობი. დასავლეთ კავკასიონის მთიანეთი	აბაშა	14,1	4345	242	1768	1107	110-115	ფოთი
		ხობი	14,1	4345	242	1768	1107	110-115	ფოთი
		სენაკი	13,8	4212	236	1879	1235	120-125	სენაკი
		ზუგდიდი	13,4	4158	231	1452	1023	120-125	ზუგდიდი
		მარტვილი	13,4	4158	231	1452	1023	120-125	ზუგდიდი
		ჩხოროწყუ	13,4	4158	231	1452	1023	120-125	ზუგდიდი
		წალენჯიხა	18,3	4000	228	2016	1319	120-125	წალენჯიხა

წყარო: საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. სამეგრელოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, 2008.

ნიადაგური საფარი გლობალური მასშტაბის აკუმულატორია და მცენარეთა ფოტოსინთეზგავლილი ენერჯის გამანაწილებელი, რომლის მეშვეობითაც ხდება ბიოსფეროში ნახშირორჟანგის, აზოტის, ფოსფორის, გოგირდის, კალციუმის და კალიუმის დაცვა გეოქიმიური ნაკადებით განადგურებისაგან. ნიადაგში თავს იყრის ჰუმუსი, ბიოგენური და ბიოფილური მინერალები, რომელთა შემცველობაზე პროპორციულ თანაფარდობაზე და მცენარის მიერ ასათვისებლად ვარჯის მდგომარეობაში არსებობაზე ბევრად და მოკიდებული მცენარის განვითარების შესაძლებლობები. ორგანული და არაორგანული ნივთიერებების სიდიდის განსაზღვრის კვალობაზე ხდება მიწის რესურსების გამოყენების რეგულირება-ნიადაგში

დანაკლისი ნივთიერებების შეტანა და ზედმეტი (უარყოფითად მომქმედი) ნივთიერებების გამოცლა. [55]

ნიადაგის ფუნქციაა ბიოსფეროში ორგანიზმების გამოკვების საშუალებით ორგანულ ნივთიერებათა სინთეზი, გარდაქმნა, დაშლა, მინერალიზაცია, ენერჯის აკუმულაცია და განაწილება, შერჩევით ქიმიური ელემენტების შთანთქვა და მათი კონცენტრაცია ნიადაგსა და ბუნებრივ წყლებში.

ამდენად, მიწის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი შემდგენი კომპონენტი ნიადაგური საფარია. მისი ხარისხობრივი და რაოდენობრივი მაჩვენებლებით, მისი საფუძვლიანად შესწავლა და შეფასება მიწის რესურსების შემდგომი გამოყენების ორგანიზაციის აუცილებელი პირობაა.

სამეგრელოს ბუნებრივი პირობების მრავალფეროვნების გამო, მისი ნიადაგური საფარი საკმაოდ ჭრელია და სხვადასხვა ტიპის ნიადაგებით არის წარმოდგენილი. ბუნებრივი პირობების სხვადასხვაგვარობის და შესაბამისად ნიადაგწარმომქმნელი პროცესების განვითარების განსხვავებული პირობების არსებობის გამო, პირველ რიგში უნდა აღინიშნოს სამეგრელოს საზღვრებში მდებარე კოლხეთის ვაკე დაბლობების ნაწილი, რომელიც დასავლეთ საქართველოს დაბლობების ჭაობიანი და ეწერი ნიადაგების ზონაში შედის. კოლხეთის დაბლობის ამ ნაწილის სხვადასხვა უბნები ერთიმეორისაგან განსხვავდებიან ჰიპსომეტრული მდებარეობით, მათი ზედაპირების დახრისა და დანაწევრების ხარისხით, რაც ნოტიო ჰავის პირობებში ძირითადად ეწეროვანი და ტორფიან-ჭაობიანი ნიადაგწარმომქმნელი პროცესების განვითარებას განაპირობებს.

უშუალოდ ზღვის სანაპირო ზოლზე 2–8 კმ-ის სიგანის ვაკის ზედაპირზე ტორფიანი ნიადაგებია განვითარებული. ზღვისპირა ტორფიანი მასივების ზედაპირზე ალაგ-ალაგ (განსაკუთრებით ჭაობის

მდინარეთა კალაპოტების გასწვრივ) ჭაობის ლამიანი ნიადაგებია წარმოდგენილი. ჭაობის ლამიან ნიადაგებს გაცილებით ვრცელი ფართობები უჭირავს აღნიშნული ტორფიანი მასივების აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ოდნავ შემადლებულ ვაკე ზედაპირზე. აქ ზედაპირული წყლების რამდენიმე გაუმჯობესებული დრენაჟის პირობებში ტორფიანი ნიადაგების წარმოქმნის პროცესი შესუსტებულია და მას ჭაობის ლამიანი ნიადაგების განვითარების პროცესი სცვლის.

სამეგრელოს ”ზღვისპირა ტორფიან ჭაობებში” ტორფის ერთიანი კორიზონტის სისქე საშუალოდ 3–5 მ-ს აღწევს, მაქსიმალური კი – 8–10 მ-ს აღემატება. აღნიშნული ჭაობების ძალზე დაბალი აბსოლუტური სიმაღლის გამო ტორფის კორიზონტი ზღვის დონეზე რამდენიმე მეტრით დაბლა არის დაძირული, რის შედეგადაც ჭაობების ხელოვნური დაშრობა გაძნელებულია. რაც შეეხება ამ ჭაობების აღმოსავლეთით და ჩრდილო-აღმოსავლეთით მდებარე ჭაობების ლამიანი ნიადაგების გავრცელების არეალს, მისი ადრე დაჭაობებული ტერიტორიის მნიშვნელოვანი ნაწილი დაშრობილია და ჩართული მიწათსარგებლობის პროცესში.

ზღვისპირა ჭაობებში განვითარებული ტორფიანი ნიადაგები, ზედმეტი ჭარბი ტენისა და დაბალი ფიზიკური თვისებების გამო, მიწათმოქმედების განვითარების თვალსაზრისით ნაკლებადაა გამოსადეგი, თუმცა დაშრობილი ჭაობების ადგილზე განვითარებული ჭაობის ლამიანი ნიადაგები და აქვე არსებული მცირე სისქის ტორფიანი ნაკვეთები გამოიყენება ერთწლიანი (სიმინდი, ბოსტნეული) და ნაწილობრივ სუბტროპიკული (ჩაი, ციტრუსი, დაფნა) კულტურებისათვის. [55]

კოლხეთის ვაკე-დაბლობების უფრო შემადლებულ ზოლში მდინარეების ენგურის, ჭანისწყალის, ხობის, რიონის, ცხენისწყლის,

ჯუმის, ცივისა და აბაშის წყალშუათებში, ზღვის დონიდან 100–200 მ-ის სიმაღლეზე გაბატონებული მდგომარეობა უჭირავს ალუვიური ნიადაგების სახესხვაობებს, რომლებიც განვითარებულია მდინარეული წარმოშობის თიხებზე, თიხნარებზე და ლამიან ქვიშებზე. ალუვიური ნიადაგების ეს სახესხვაობები ერთმანეთისაგან გამოირჩევიან გაღებების ხარისხით, მექანიკური შედგენილობით, ხირხატიანობით, ჰუმუსის შემცველობით და ა.შ. რაც განპირობებულია, როგორც მათ ქვეშ განვითარებული ნაშალი მასალის სხვადასხვაგვარი ხასიათით, ისე თვით ნიადაგების განსხვავებული ხნოვანებით და ნაწილობრივ რელიეფის ხასიათით.

კოლხეთის დაბლობებზე განვითარებული ალუვიური ნიადაგები ნაკლები რაოდენობით შეიცავენ ჰუმუსს და შესაბამისად მცირე ნაყოფიერებით ხასიათდებიან. გამონაკლისს წარმოადგენენ ის ნიადაგები, რომლებიც ტყით დაფარულ დაჭაობებულ ნაკვეთებზე არიან განვითარებულნი.

სამეგრელოში განვითარებული ალუვიური ნიადაგები გამოიყენება როგორც ერთწლიანი კულტურებისათვის (სიმინდი, ბოსტნეული), ისე ხეხილის, ჩაის, დაფნის, ტუნგოს, კივის, ფეიჭოიას, ნაწილობრივ ვენახის განაშენიანებისათვის. [51]

სამეგრელოს ვაკე რელიეფის ძველ ელემენტებზე—მაღალი ზღვიური და მდინარეული ტერასების ფართო ზედაპირებზე, საკმაოდ დიდი ფართობები უკავია გაღებებულ ნიადაგებს ე.წ. სუბტროპიკულ ეწერებს. ეს ნიადაგები ძირითადად თიხა და თიხნარ ნაფენებზეა განვითარებული. ისინი ხასიათდებიან გაღებების სხვადასხვა ხარისხით, ქვედა ფენის მძიმე მექანიკური შედგენილობით და ა.შ. ზედაპირთა ახლოს არც თუ იშვიათ შემთხვევაში აღინიშნება მკვერივი ფენის არსებობა, რაც საგრძნობლად ართულებს მათ ათვისებას. ეს

ნიადაგები ხასიათდებიან ჰუმუსის მცირე შემცველობით საკვები ელემენტების ნაკლებობით.

სამეგრელოს მთისწინების ზოლში დაბალ გორაკ-ბორცვებზე და ძველი ტერასების ზედაპირებზე, თიხიანი და მკვრივი ქანების (ქვიშაქვები, კონგლომერატები და სხვა) გავრცელების არეებში განვითარებულია ყვითელმიწა ნიადაგები. ეს ნიადაგები ხასიათდებიან მსუბუქი და მძიმე თიხნარი მექანიკური შემადგენლობით, არადიფერენცირებული პროფილით, ყვითელი შეფერილობით, ჟანგისფერი ლაქების სიუხვით და სხვა. ვაკე ზედაპირზე და სუსტად დახრილ ფერდობებზე გვხვდება საშუალო და დიდი სისქის (50–140 სმ) ყვითელმიწები ღრმა ჰუმუსიანი ჰორიზონტით, უფრო ციცაბო ფერდობებზე კი ამ ნიადაგების სისქე ჰუმუსის გადარეცხვის გამო ნაკლებია. [65]

სამეგრელოს გორაკ-ბორცვიან ზოლში ზღვის დონიდან 170–200 მ-ის სიმაღლეზე შედარებით მცირე ფართობებზე აღინიშნება წითელმიწა ნიადაგებისა და გაეწერებული წითელმიწების განვითარება. ეს ნიადაგები ძირითადად ზუგდიდსა და ჩხოროწყუს რაიონებშია გავრცელებული. წითელმიწა ნიადაგები ვაკე და სუსტად დახრილ ფერდობებზე დიდი სისქით (80–100 სმ) არიან წარმოდგენილნი, ხოლო უფრო დამრეც ფერდობებზე მათი სისქე კლებულობს 50–75 სმ-მდე. წითელმიწები მძიმე თიხნარი შემადგენლობით გამოირჩევიან. მათ რკინის ჰიდროქსიდების სიჭარბის გამო მოწითალო ფერი აქვთ. ჰუმუსის შემცველობა საშუალოა (3–5 %). ეს ნიადაგები ძირითადად ჩაისა და ტუნგოს პლანტაციებისათვის გამოიყენება, ნაწილობრივ-ციტრუსებისა და საძოვრების ქვეშ.

სამეგრელოს მთისწინეთის ზედა ნაწილში ზღვის დონიდან 200–500 მ. სიმაღლეზე განვითარებულია ნემომპალა-კარბონატული ნიადაგები. ეს ნიადაგები ხასიათდებიან მცირე სისქით, მსუბუქი მექანიკური

შემადგენლობით და მცირე ჰუმუსიანობით (2–5 %). სამეგრელოს ნეომომპალა–კარბონატული ნიადაგები გამოყენებულია სახნავად და მრავალწლიანი ნარგავებისათვის, განსაკუთრებით დაფნისთვის.

სამეგრელოს გორაკ–ბორცვიან ზოლში და ფერდობებზე 400–700 მ–ის სიმაღლეზე უკარბონატო ქანების გავრცელების ადგილებზე, რომლებიც ფართოფოთლოვანი და შერეული ტყეებით არიან შემოსილნი, გვხვდება ტყის ყომრალი ნიადაგები, რომელთაც ყომრალი და მოყავისფერო შეფერილობა აქვთ. ისინი ხასიათდებიან საგრძნობი ხირხატიანობით, მაღალი ფორიანობით და შესაბამისად კარგი წყალგამტარობით, მჟავე რეაქციით და საშუალო ჰუმუსიანობით (3–5 %). ეს ნიადაგები გამოიყენება როგორც ერთწლიანი (სიმინდი, ბოსტნეული), ისე მრავალწლიანი (ვაზი, ტუნგო, ჩაი და სხვა) კულტურებისათვის.

მცენარეულობა და ცხოველთა სამყარო. სამეგრელოს მცენარეულობა წარმოდგენილია კულტურულ მცენარეთა ნაირგვარობით. მთის ტყის სუბალპური, ბარის ველების ნათელი ტყეებით და ჭაობიანი ადგილების მცენარეთა დაჯგუფებებით და ტიპებით. ტყეს სამეგრელოს ტერიტორიის 36.5 % უჭირავს. ტერიტორიის სითბო და სინოტივე ხელს უწყობს მცენარეული საფარის სწრაფად ზრდას. ტყე ზღვის ნაპირიდან ვრცელდება. თავმოყრილია ტენის მოყვარული მრავალი სახეობის მცენარე. მეტწილად ხარობს წიფელი, წაბლი, მუხა, რცხილა, ნეკერჩხალი, ნაძვი, ფიჭვი და ცაცხვი. ბევრია მარადმწვანე მცენარეები – წყავი, შქერი, წყონი და ბზა. ბუჩქოვანი მცენარეებიდან – ასკილი, კუნელი, ჯაგრცხილა, თხიმელი, ძეძვი. კულტურული მცენარეებიდან ხარობს ჩაი, დაფნა, სოია, ყაზარლიყის ვარდი, ტუნგო, გერანი, რეჰანი, ევკალიპტი, ბამბუკი, კივი, ღიმონი, მანდარინი, ფორთოხალი, გრეიფუტი, ფეიხოია, ხურმა, ზღმარტლი, ბროწეული, ლეღვი, ვაშლი, მსხალი, ატამი, თამბაქო და

ვაზი. წარმატებით მოყავთ მარცვლეული კულტურები, ბოსტნეული და ბალჩეული. აღსანიშნავია სუბალპური მაღალბალახეულობა და ალპური მდელოები. ფართოდაა გავრცელებული წყლისა და ჭაობის ფლასტური კომპლექსი. წყლის ზედაპირზე მცურავი მცენარეებიდან აქ გვხვდება წყლის სურო, წყლის გვიმრა და სხვა. გვხვდება მლაშე წყალს შეგუებული პალფიდები – ზღვის ბალახი, რეპიები და სხვა.

მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი პირობები საშუალებას იძლევა წარმატებით იქნეს წარმოებული ერთწლოვანი და მრავალწლოვანი სასოფლო-სამეურნეო კულტურები. უზრუნველყოფილი იქნეს სასურსათო უსაფრთხოება და ადამიანის კეთილდღეობა.

უხვი და მდიდარია სამეგრელოს ფაუნა. ბინადრობს და მრავლდება მრავალი სახის როგორც შინაური, ასევე გარეული პირუტყვი, ფრინველი, თევზი და მწერი. მიწა-წყალი მდიდარია არა მარტო ადგილობრივი წარმოშობის ცხოველთა სახეობებით, არამედ მრავლადაა შემოყვანილი და გადმოსახლებული ევროპიდან, შუა აზიიდან და ირანიდან, ენდემურ ცხოველებთან ერთად ბინადრობს უცხო ქვეყნების ცხოველების მრავალსახეობა, რომლებიც თავის მხრივ იყოფა ჯგუფებად. ალპური ზონის ცხოველები, ტყის ზონის ცხოველები და დაბლობის ცხოველები. ალპურ ზონაში ბინადრობს ჯიხვი, სიამური და არჩვი. ფრინველებიდან ამ ზონაში ბინადრობს შურთხი, როჭო, კაკაბი, ტოროლა, ქორი, არწივი. ტყის ზონაში გარეული ღორი, ირემი, დათვი, მგელი, ტურა, მელა, ფოცხვერი, კვერნა, ციყვი. ფრინველებიდან გვხვდება ყვავი, ყორანი, ჭილყვავი, კაჭკაჭი, მოლალური, სკვინჩა, ჭინჭრაქა, შაშვი, კოდალა, ჭოტი, ბუ, ქედანი, ხოხობი, ყანჩა, ტოროლა, დურაჯი, მწვერი. ბინადრობს ქვეწარმავლები. თევზებიდან ორაგული, კალმახი, მურწა, ლოქო, წვერა. შინაური ცხოველებიდან მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი, ცხენი,

ღორი, ცხვარი, თხა, კამეჩი და მრავალსახეობის ფრინველი – ქათამი, ინდაური, ბატი, იხვი და სხვა.

წყლის რესურსები. სამეგრელოს მხარე წყლის რესურსების სიუხვით გამოირჩევა. ტერიტორიაზე აღრიცხულია 2 400 –ზე მეტი დიდი და მცირე მდინარე, მათ შორის სიგრძით ყველაზე დიდია მდინარე ხობი, რომელიც სათავეს იღებს სამეგრელოს ქედის სამხრეთ კალთაზე, 1 კმ-ში სამხრეთ – აღმოსავლეთისაკენ ლაკუმურაშ-დუდის მწვერვალიდან, 2326 მ სიმაღლეზე და ეშვება შავ ზღვაში სოფელ ყულევთან. მდინარე ხობის ძირითადი შენაკადებია: მდინარე სკურჩა, ოჩხამური, ზანა, ჭანისწყალი, ცივი. მდინარე ხობის კვება შერეულია, აუზის შუა და ქვედა ნაწილებში ჭარბობს წვიმებით, ხოლო ზედა ნაწილში – თოვლით კვება. მდინარის რეჟიმი ხასიათდება წლიური წყალმოვარდნებით, უმნიშვნელო გაზაფხულის წყალდიდობით, რაც ყველაზე მეტად გამოხატულია მდინარის ზემო წელში. მდინარე ტეხური (სიგრძე 101 კმ) სათავეს იღებს სამეგრელოს ქედის სამხრეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2 360 მ სიმაღლეზე და ეშვება მდინარე რიონში მარჯვნიდან 57 კმ-ზე მისი შესართავიდან. მდინარეს უერთდება 500 – მდე შენაკადი, მათ შორის ყველაზე დიდია მდინარე აბაშა (სიგრძე 66 კმ). მდინარე ტეხური მიეკუთვნება შავიზღვისპირა ტიპს წყალმოვარდნითი რეჟიმით მთელი წლის განმავლობაში და საკმაოდ აშკარად გამოხატული წყალდიდობებით ზემო წელში. ტრანზიტული მდინარეების–ენგურის, რიონის და ცხენისწყლის სიგრძე სამეგრელოს ტერიტორიაზე შესაბამისად – 94 კმ, 88 კმ და 44 კმ-ია. [51]

მდინარე ენგური კავკასიონის ქედის სამხრეთი კალთებიდან, ქღვის დონიდან 2 600 მ სიმაღლიდან იღებს სათავეს და უერთდება შავ ზღვას სოფელ ანაკლიასთან. მისი პოტენციური ჰიდროენერგეტიკული მარაგი შეადგენს 3 530 მლნ კვტ სთ-ს. ჯვრის წყალსაცავის ქმობთ მდინარე ენგურის რეჟიმი ძლიერ შეცვლილია.

მდინარეს აქვს შერეული საზრდოობა (თოვლის, მყინვარული, წვიმის და გრუნტის წყლებით). წყალდიდობა გრძელდება წლის თბილი პერიოდის განმავლობაში, ამ დროში ჩამოდის წლიური ჩამონადენის 80%-მდე. უმცირესი ჩამონადენი აღინიშნება ზამთარში (წლიური 7-8%).

სამეგრელოს ტერიტორიაზე მდინარეული ქსელის სიმჭიდროვე მაღალია და იცვლება 1,0 – 1,84 კმ/კმ² ფარგლებში. მდინარეული ქსელის ფორმირებასა და განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს ტერიტორიის ტენიანობა, აგრეთვე, ანთროპოლოგიური ფაქტორები და ქვეშნაგები ზედაპირის ხასიათი.

რეგიონი მდიდარია ასევე მინერალური წყლებით, რომლებიც მოიპოვება ზუგდიდის (ძველი ხიბულა, ურტა, ძველი აბასთუმანი და ცაიში), ხობის (ბიის, ყულევის, ხორგას), სენაკის (მენჯის, სახარბედიოს), მარტვილის (ღებარდეს, ნაქალაქევის), ჩხოროწყუს (ღუგელას) და წალენჯიხის (სქურის) რაიონების ტერიტორიებზე.

წყლის რესურსების მონაცემები სამეგრელოში ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით მოყვანილია ცხრილში 2.

ცხრილი 2

წყლის რესურსები სამეგრელოს ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით

№	ადმინისტრაციული რაიონი	ფართობი კმ ²	რაიონში ფორმირებული ჩამონადენი		გარედან შემოსული ჩამონადენი მლნ.მ ³	საერთო რესურსები მლნ.მ ³
			მლნ. მ ³	მმ		
1	წალენჯიხის	647	1300	2009	4500	5800
2	ჩხოროწყუს	619	840	1357		840
3	მარტვილის	881	1560	1771		1560
4	ხობის	667	1200	1799	11600	12800
5	სენაკის	522	310	594	12200	12500
6	აბაშის	320	200	625	7700	7900
7	ზუგდიდის	682	570	836	4500	5070
	ს უ ლ	4338	5980	8991	40500	46470

წყარო: საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. სამეგრელოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, 2008.

ჭ ა ო ბ ე ბ ი. სამეგრელოს ჰიდროგრაფიული ქსელის ერთ-ერთი თავისებურებაა ჭაობები და დაჭაობებული მიწები, რომლებსაც უკავია სამეგრელოს ტერიტორიის საკმაოდ მნიშვნელოვანი ნაწილი. ისინი გავრცელებულია სამეგრელოს თითქმის ყველა რაიონში, განსაკუთრებით კოლხეთის დაბლობის დაბალ ნაწილში. აქ ისინი წარმოდგენილია ცალკეული მასივებით, რომელთა შორის დიდი ფართობით ხასიათდება ფიჩორი – პალიასტომის, ფოთი – ჭალადიდის და თიკორი – ჭურჩის ჭაობები.

ჭაობების და დაჭაობებული მიწების წარმოქმნას ხელს უწყობს უხვი ნალექები, ჰაერის მაღალი ტენიანობა, აგრეთვე რელიეფის და ნიადაგური საფარის თავისებურებები (მცირე დახრილობები, ზედაპირის სუსტი დანაწევრება და მძიმე თიხები ცუდი ფილტრაციული უნარით).

ჭაობები და დაჭაობებული მიწების ფართობი სამეგრელოს ტერიტორიაზე შეადგენს 74,65 ათას ჰა-ს, ანუ რეგიონის ტერიტორიის დაახლოებით 18 %. ჭაობები მიეკუთვნება მდგარი წყლების კატეგორიას. მათი მარაგი დაახლოებით 1,625 კმ³ ტოლია. [55]

ჭაობები ასრულებენ ბუნებადაცვით ფუნქციას. პირველ რიგში, ისინი წარმოადგენენ ზედაპირული ჩამონადენის რეგულატორებს და ამცირებენ წყალმოვარდნებს. გარდა ამისა, ისინი ასრულებენ ბუნებრივი ფილტრების ფუნქციას-ასუფთავენ გაჭუჭყიანებულ წყლებს მავნე ელემენტებისაგან და ხელს უწყობენ მცენარეული და ცხოველური სამყაროს უნიკალურ წარმომადგენელთა შენარჩუნებას.

მ ი წ ი ს ქ ვ ე შ ა წ ყ ლ ე ბ ი. სამეგრელოს მიწისქვეშა წყლების მოცულობაა 1,5 კმ³, რაც წყლის რესურსების საერთო მარაგის 25 %-ს შეადგენს ამ წყლების დიდი ნაწილი (საერთო ჩამონადენის 32-34%) სამეგრელოს მთიან ზოლშია მოქცეული. ისინი წყაროების სახით ზღვის დონიდან 50-2100 მ სიმაღლის ზონაში გამოედინებიან.

კოლხეთის დაბლობის ჭაობები სამეგრელოს ფარგლებში

ჭაობის დასახელება	აღიღმევი ბარეობა	სიმაღლე ზღვის დონიდან /მ/	მორფომეტრიული მახასიათებლები				მოცულობა მლნ,მ ³
			მაქსიმალური სიგრძე კმ	მაქსიმალური სიგანე კმ	საშუალო სიღრმე მ	ფართობი კმ ²	
თიკორი - ჭურის	მდ.ენგურსა და ხობს შორის	3,0	15,0	15,0	0,8	90,0	64,8
ჭალადიდი - ფოთის	მდ.რიონსა და მდ.ხობს შორის	12,5	22,5	12,0	1,5	144,0	194,0
ფინორი - პალიას-ტომის	მდ.ფინორის ორივე მხარეს	0,5 – 18,0	34,0	20,0	8,0	191,0	1365,0

წყარო: საქართველოს საწარმოო ძალებისა და ბუნებრივი რესურსების შემსწავლელი ცენტრი. სამეგრელოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები, 2008.

ამ მხრივ განსაკუთრებით გამოირჩევა 100-550 მ სიმაღლის ზონა, სადაც თავმოყრილია წყაროების საერთო რაოდენობის 68 %. ასეთი წყაროები გვხვდება მდინარე წაჩხურას და აბაშის აუზებში სოფელ ინჩხურთან, მუხურთან, ჩქვალესთან და სხვა. სამეგრელოს კირქვიანი ზონის კარსტული წყაროები დიდ როლს ასრულებენ მდინარეთა კვებაში. მათი მეშვეობით მდინარეთა ჩამონადენი 1,6 – 5,0 ჯერ იზრდება. ზღვის დონიდან 50 მ სიმაღლემდე მდებარე ვაკე-დაბლობები მოკლებულია წყაროებს. ამ ზონაში მიწისქვეშა წყლები უხვადაა, მაგრამ მათი დონე აღწევს რელიეფის ზედაპირს და დაჭაობების ერთ-ერთ ძირითად მიზეზად იქცევა. სარწყავ-დამშრობი სისტემის შესახებ ტერიტორიის შესწავლით დადგენილია, რომ საკმაოდ დიდი ფართობებია, რომლებიც მოითხოვს დაშრობას და გასარწყავებას. სარწყავად საკვლევ ობიექტზე მიხნეულია 40⁰-მდე ნაკლები დახრილობის ფართობები. ქვემოთ ცხრილში მოტანილი მონაცემების მიხედვით (იხ. ცხრ. 4) მიწები 3⁰-მდე დახრილობით,

ძირითადად განლაგებულია კოლხეთის დაბლობზე და შეადგენენ 135,8 ათას ჰა-ს. ეს მიწები საჭიროებენ დამშრობ მელიორაციას, რის შემდეგ ივარაუდება მათი მორწყვა. აღნიშნულ ობიექტზე ძირითადი მნიშვნელობა ენიჭება დამშრობ-სარწყავი სისტემის კომპლექსურად მოწყობას. დამშრობის შემდეგ, საჭიროებისდა მიხედვით ნალექების სიმცირის პერიოდში გათვალისწინებულია სარწყავი სისტემების ფუნქციონირება. [3.8] ტერიტორიის საირიგაციო ფონდი შეადგენს 50,79 ათას ჰა-ს, აქედან 1990 წლამდე ირწყევებოდა მხოლოდ 6,54 ათასი ჰა. მიმდინარე პროცესებისა და კატაკლიზმების შედეგად, ბოლო ათწლეულებში მნიშვნელოვნად დაზიანდა და გამოვიდა მწყობრიდან როგორც სარწყავი, ისე დამშრობი სისტემები. საჭიროა მათი აღდგენა – რეაბილიტაციის ჩატარება და ნაწილ ფართობებზე ახალი ქსელების მოწყობა. მთლიანად ტერიტორიაზე დასაშრობ მიწებად მიჩნეულია 75,1 ათ. ჰა ფართობი, ძირითადად აბაშისა და ხობის რაიონებში.

ცხრილი 4

სამეგრელოს სამელიორაციო ფონდი

ადმინისტრაციული რაიონი	ფართობი ათ. ჰა	სარწყავად ვარგისი მიწები რელიეფის მიხედვით ათ. ჰა		მიღებული საირიგაციო ფონდი, ათ. ჰა		ინვენტარიზაციის მონაცემებით, ათ. ჰა.
		საერთო	ნეტო	2000 წლამდე	არსებ. სარწ. მიწები	
წალენჯიხის	64,71	20,00	12,0	0,54	0,54	0,543
მარტვილის	88,06	16,40	9,40	0,33	0,33	0,928
ჩხოროწყუს	61,94	14,00	8,45	0,38	0,38	-
ზუგდიდის	68,23	19,25	11,94	9,47	1,20	0,923
ხობის	66,80	27,00	15,40	15,40	0,90	0,898
აბაშის	32,05	29,00	18,70	14,20	1,09	2,163
სენაკის	52,07	17,70	11,30	9,02	0,65	0,870
სულ რეგიონში	433,86	143,35	87,19	49,34	5,09	6,325

წყარო: საქართველოს ყოფილი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი. სამელიორაციო სისტემების მართვის ტექნიკური ანგარიში, 2004.

მ ი წ ი ს ფ ო ნ დ ი. მიწა თავისი ნიადაგებით და წიაღისეულით, წყალი, ჰაერი, ფლორა და ფაუნა მზის სინათლესთან ერთად კაცობრიობის არსებობის აუცილებელი და შეუნაცვლებელი პირობაა.

ტერმინი “მიწა” შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფართო, ასევე ვიწრო გაგებით. პირველ შემთხვევაში მხედველობაში გვაქვს მიწა-პლანეტა ყველა თავისი ბუნებრივი კომპონენტებით და მახასიათებლებით, მეორე-მიწის ზედაპირი. ამ თვალსაზრისით მიწა ბუნებრივი გარემოს უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია, რომელიც ხასიათდება გარკვეული ბუნებრივი (სივრცე, რელიეფი, ნიადაგები, მცენერეულობა, ტყე, წიაღისეული, წყლები და სხვა), ეკონომიკურ-სოციალური (წარმოების საშუალებები, ფასეულობები, ღირებულება, პრესტიჟულობა და სხვ.) და მწარმოებლური თვისებებით (ნაყოფიერება, სავარგული, ნაკვეთის კონფიგურაცია და საწარმოოდ გამოყენების სხვა თავისებურებები).

წარმოდგენა მიწაზე, მის შესაძლებლობებზე და ფუნქციებზე კაცობრიობის განვითარების პროცესში მუდმივად ზუსტდებოდა და მდიდრდებოდა. თავიდან მიწა, ადამიანის საცხოვრისი საშუალებების ერთადერთი წყარო იყო. მეცხოველეობის დარგის წარმოქმნასთან ერთად ადამიანმა მიწის გამოყენება დაიწყო არა მარტო სანადიროდ და გარეული ნაყოფის შესაგროვებლად, არამედ პირუტყვის გამოსაზრდელად. ხელოსნობის განვითარებამ განაპირობა სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების აუცილებლობა. [7] მიწა, როგორც ბუნებრივ-ისტორიული სხეული წარმოების საშუალებად იქცა მას შემდეგ, რაც მას შეუერთდა ადამიანის მიერ გაწეული ცოცხალი და წარსული შრომა, წარმოების საშუალებად და ყოფა-ცხოვრების საყოველთაო პირობად მოეკლინა მოღვაწეობის ყველა სფეროს. თუმცა მისი როლი მოღვაწეობის სხვადასხვა სფეროში არაერთგვაროვანია.

მრეწველობაში (მომპოვებელ მრეწველობაში) ის გამოდის, როგორც საოპერაციო ბაზისი, თავისებური საწყობი. ამ შემთხვევაში, წარმოების პროცესი ნიადაგის ნაყოფიერებასთან კავშირში არ არის.

გადაამუშავებელ მრეწველობაში მიწა გამოდის, როგორც საოპერაციო ბაზისი, ფუნდამენტი, შენობა-ნაგებობის საძირკველი. აქ მნიშვნელოვანია გრუნტის შემადგენლობა და მისი ვარგისიანობა მშენებლობისათვის. ნიადაგის ნაყოფიერებას აქაც მნიშვნელობა არა აქვს. [5]

ნაყოფიერება გამოიყენება სოფლის და სატყეო მეურნეობაში, იქ სადაც მიწა გამოდის, როგორც შრომის საშუალება და საგანი ანუ წარმოების მთავარი საშუალება, მასში კოლოსალური ზომითაა თავმოყრილი, არა მარტო მიწის ბუნებრივი ნაყოფიერება, არამედ ადამიანთა საზოგადოების მიერ წარსულში დახარჯული შრომა.

როგორც რეალურად არსებული ბუნებრივი ობიექტი-მიწა ასრულებს ეკოლოგიურ და რესურსულ ფუნქციებს; სოციალურ ფუნქციას, როგორც ადამიანის ცხოვრების ადგილი და პირობა; სივრცობრივ-პოლიტიკურ ფუნქციას, როგორც სახელმწიფოს ტერიტორია; ეკონომიკურ ფუნქციას, როგორც მეურნეობრიობის ობიექტი.

როგორც ცნობილია ბუნებრივ რესურსებს მიეკუთვნება:

-ბუნებრივი ობიექტები და მოვლენები გამოყენებული პირდაპირი და შუალედური სარგებლობისათვის, რაც ხელს უწყობს მატერიალური დოვლათის შექმნას, შრომითი რესურსების კვლავწარმოებას, ადამიანის არსებობის ხელსაყრელი პირობის შენარჩუნებას და ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

-სხეულები და ბუნების ძალები (ბუნების სიკეთე), რომელთა საზოგადოებრივი სარგებლიანობა იცვლება ადამიანის შრომითი მოღვაწეობის პროცესში. ისინი გამოიყენება (ანუ პოტენციალურად

ვარგისია გამოსაყენებლად) შრომის საშუალების სახით (მიწა, სანაოსნო გზები, წყალი სარწყავად). ენერჯის წყაროები (ჰიდრომარაგი, საწვავი), ნედლეული და მასალები (მინერალები, ტყე და სხვ), უშუალო მოხმარების საგნები (წყალი, მცენარეები), როგორც დასვენების ადგილი, გაჯანსაღების, ტურიზმის, ბიოფონდის აღდგენისა და შენარჩუნებისათვის (ბიოსფერული ნაკრძალები, ბუნების რიგი ძეგლები, ნაციონალური პარკები). ინფორმაციის შეგროვება გარემომცველი სამყაროს შესახებ (ბუნების ეტალონური ნაკვეთები, სამონიტორინგო ნაკვეთები და სხვა). როგორც ბუნებრივი რესურსების განმარტებიდან ჩანს, ყველა ისინი მჭიდროდაა დაკავშირებული მიწასთან. საბოლოო ჯამში მიწის თვისება განსაზღვრავს მათი გამოყენების ეფექტიანობას. თავის მხრივ, მიწის რესურსები შეიძლება განისაზღვროს როგორც მიწა სისტემატურად გამოყენებული ან გამოსაყენებლად ვარგისი, კონკრეტული სამეურნეო მიზნებისათვის და განსხვავებული ბუნებრივ-ისტორიული ნიშნების მიხედვით. ეს რესურსები შეიძლება დავახასიათოთ, როგორც არა კვლავწარმოებადი და (დიდ ფართობებზე) არა აღდგენადი, ასევე შეუნაცვლებელი. [26]

მიწა, რომელიც ჩართულია მატერიალური წარმოების პროცესში ან ადამიანის ეკონომიკური მოღვაწეობის სხვა სფეროში, ეროვნული მეურნეობის ცალკეული დარგებისა და გამოყენების მიზნის მიხედვით ასრულებს სხვადასხვა ეკონომიკურ ფუნქციას.

გამოყენების დროს შენარჩუნებულია მიწის განსაკუთრებული თვისებები, რომელიც გამოყოფს მას საწარმოო ძალების ელემენტების შემადგენლობიდან:

პირველი-მიწის როლი, როგორც სივრცობრივი ბაზისი, არა მარტო წარმოებაში, არამედ ადამიანთა საზოგადოების მთელ ყოფა-ცხოვრებაში. მეორე-მისი თვისებაა, შექმნას ახალი ფასეულობები, რომელთა წარმოქმნა, ნიადაგში შეფარული გარკვეული

ბუნებრივი ძალების მონაწილეობის გარეშე შეუძლებელია; მესამე-მიწის ფართობების ბუნებრივი შეზღუდულობა და მათი ხელოვნურად გაზრდის შეუძლებლობა. [6]

მიწა, როგორც წარმოების საშუალება და შრომის ბუნებრივი პირობა, ნებისმიერი წარმოების პროცესის აუცილებელი მატერიალური წანამძღვარია. ამ გაგებით ის წარმოების უმნიშვნელოვანეს ფაქტორად გვევლინება. სოფლის მეურნეობასა და სატყეო მეურნეობაში მიწას გააჩნია რიგი თავისებურებები, რომლებიც სერიოზულ გავლენას ახდენს საწარმოო პროცესებზე და ურთიერთობათა ხასიათზე, რომელიც წარმოიქმნება მიწის გამოყენების პროცესში. კერძოდ, ვინაიდან ყოველი მიწის ნაკვეთი სივრცობრივად გადაუადგილებელია, მისი მწარმოებლური თვისებები განისაზღვრება უკვე ჩამოყალიბებული ეკონომიკური, კლიმატური და სხვა ფაქტორების ურთიერთქმედებით.

მიწის ძირითადი თვისება, რომელიც წარმოაჩენს მას სოფლის მეურნეობაში წარმოების ძირითად საშუალებად, არის ნაყოფიერება ანუ თვისება უზრუნველყოს მცენარის აღწარმოება. ამისათვის საჭიროა საკვები ნივთიერებები, ტენი, ნიადაგის ზედა ფენის გარკვეული სტრუქტურა, რომელიც უზრუნველყოფს ნიადაგში ჰაერისა და მიკროორგანიზმების შეღწევას. თავიდან მიწის ნაყოფიერება გროვდება სუფთა ბუნებრივი პროცესების გავლენით. დრო და დრო ადამიანი სულ უფრო მეტად ერევა ამ ბუნებრივ სფეროში, არღვევს ჩამოყალიბებულ წონასწორობას.

მეცნიერებისა და ტექნიკის პროგრესმა ადამიანს მისცა მცენარეთა მაღალმოსავლიანი ჯიშები და პროდუქტიული პირუტყვი, რომელთა წარმოება მეტ ბიოლოგიურ და მინერალურ ენერჯიას მოითხოვს, რისი კომპენსირებაც ბუნებრივი საშუალებით ყოველთვის შეუძლებელია. ნიადაგში მაკომპენსირებელი ნივთიერებების შეტანით, დამუშავების პროგრესული მეთოდების დანერგვით და სხვა პროგრესული

საშუალებებით იწყება მიწის ნაყოფიერების აღდგენისა და ზრდის ხელოვნური პროცესი. ეკონომიკური თვალსაზრისით ეს პროცესი ნიადაგის ნაყოფიერებაში ინვესტიციას გულისხმობს.

მიწის ბუნებრივი და ხელოვნური მწარმოებლური შესაძლებლობების რაციონალური შეთანაწყობაა მისი ნაყოფიერების ამადლების უმნიშვნელოვანესი პირობა, სწორედ ნიადაგის პროდუქტიულობა ანუ ეკონომიკური ნაყოფიერება იქმნება ამ ორი ფაქტორის საფუძველზე. [17]

მიწა შრომის საგანი მაშინ ხდება, როდესაც დამუშავების პროცესში იქმნება მცენარის ზრდისა და სრულყოფილი მოსავლის ფორმირების აუცილებელი პირობები (ხვნი-თესვა და ა.შ.), ასევე შენარჩუნდება ან გაიზრდება მიწის ნაყოფიერება (მინერალური და ორგანული სასუქების, მიკროელემენტების, გაჯის შეტანა, მოკირიანება, დაშრობა-გასარწყავება და სხვა), ამ მიზეზით მიწა არ შეიძლება განვიხილოთ, როგორც ბუნების საჩუქარი. ფაქტობრივად ის ადამიანის მოღვაწეობის პროდუქტად გვევლინება.

მიწის უნიკალური თვისებაა მისი სწორად გამოყენებით ბუნებრივი ნაყოფიერების გაფართოებული კვლავწარმოების შესაძლებლობა. წარმოების ყველა სხვა საშუალება, პირიქით, ცვდება, იმტვრევა და დრო და დრო საჭიროებს შეცვლას.

მიწის ნაყოფიერება სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში სხვადასხვაა. კონკრეტული მიწის ნაკვეთის ადგილმდებარეობა, ასევე მნიშვნელოვან გავლენას ახდენს შემოსავლის სიდიდეზე. საბაზრო ეკონომიკის პირობებში მიწა საქონელთბრუნვის სტაბილური, საიმედო და ძვირად ღირებული ობიექტია. მას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს, როგორც უძრავმა ქონებამ სხვადასხვა ოპერაციებში—ყიდვა-გაყიდვა, იჯარით გაცემა, დაგირავება, გაჩუქება, მემკვიდრეობით გადაცემა და ა.შ., რაც მისი ფასის სწორად განსაზღვრის აუცილებლობაზე მიგვითითებს.

მიწას საქონლის სხვა ჯგუფებისაგან განასხვავებენ ორი არსებითი მომენტით:

–პირველი მათგანი გამოიხატება იმაში, რომ მიწის ნაკვეთი განსხვავებით სხვა სახის საქონლისაგან არ შეიძლება გადაადგილდეს სივრცეში, გადამუშავდეს სხვა პროდუქტად, გამოიყენო ნარჩენის გარეშე, ამიტომ მიწის მესაკუთრის უფლება, ობიექტურად უფრო შეზღუდულია, ვიდრე სხვა სახის საკუთრების მფლობელის, მათ შორის უძრავი ქონების. მაშასადამე, საზოგადოება მთლიანად რჩება მიწის ტერიტორიული რესურსის მთავარ “მესაკუთრედ”. მათი საკუთრების უფლების საზღვრებში გამანაწილებელი და სხვა ფუნქციების მხრივ, დელეგირებას უწევს კონკრეტულ მიწათმესაკუთრეებს, მიწათმფლობელებს და მიწათმოსარგებლებს. ამიტომ საბაზრო ოპერაციების მთელი სისტემა მიწის საკუთრებასთან ატარებს შეზღუდულ ხასიათს. მესაკუთრეს უტოვებს მიწის ფლობისა და განკარგვის უფლებას არა მარტო კონკრეტული მიწის ნაკვეთით, არამედ მხოლოდ მისი გამოყენების უფლებით. [5]

–მეორე მომენტი მდგომარეობს იმაში, რომ მიწა, როგორც საქონელი არის ცენტრალური, საზოგადოებრივი ინტერესებისა და ურთიერთობების საბაზო ობიექტი. საადგილმამულო ურთიერთობა–ეს საზოგადოებრივი ინტერესების მთლიანი ერთობის რეგულატორია. მოიცავს არა მარტო ეკონომიკურს, არამედ სოციალურ–დემოგრაფიულს, პოლიტიკურს, ეკოლოგიურს და ადამიანური ცხოვრების სხვა სფეროებს.

ეს მდგომარეობა იძულებულს ხდის სახელმწიფოს დააარსოს მიწების გამოყენებაზე განსაკუთრებული წესებისა და შეზღუდვების მთელი სისტემა. სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროების შემთხვევაში მიწის ნაკვეთი შეიძლება მეპატრონეს ჩამოერთვას (სათანადო ანაზღაურებით) ნებისმიერ დროს. სახელმწიფოს უფლება

აქვს ჩაერიოს იმ პირთა საქმიანობაში, რომელიც მიწას იყენებს ისეთი ხერხებით, რაც აუარესებს მიწის ნაკვეთის მდგომარეობას, მიიღოს სხვადასხვა სანქციები მიწათმესაკუთრების, მიწათმფლობელების და მიწათმოსარგებლების მიმართ.

კანონით დადგენილია მიწის გამოყენების წესი მკაცრად, მხოლოდ მიზნობრივი დანიშნულების მიხედვით. მაგალითად, ნაკვეთი, რომლის გამოყენება გამიზნულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების სათვისად, არ შეიძლება გამოყენებული იქნეს მშენებლობისათვის და ა.შ. [14]

იმისათვის, რომ მიწის თითოეული ნაკვეთის სიდიდე განსაზღვრული და ფიქსირებული იყოს დოკუმენტალურად და არ მოხდეს მიწის ფონდის უქმად ხარჯვა-განიავება, სახელმწიფო ატარებს მიწების რაოდენობრივ და ხარისხობრივ აღრიცხვას. მიწის სავარგულებში პერიოდულად მომხდარი ცვლილებების, ტრანსფორმირების შედეგების დასადგენად ტარდება მიწების მონიტორინგი. მონიტორინგის მონაცემები გამოიყენება მიწის ფონდის რაციონალურად მართვისა და საადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირების მიზნით.

ამდენად, მიწის დაცვისა და გამოყენების თეორიული ასპექტის ცოდნა საჭიროა ქვეყნის მიწის ფონდის შენარჩუნების, გაუმჯობესების და პროდუქტიულობის ამაღლების უზრუნველსაყოფად.

ბუნებრივი ნიშან-თვისებებით მეტად სპეციფიკური და გამორჩეული სამეგრელოს ტერიტორიის ნიადაგური საფარი განაპირობებს მიწების გამოყენებისადმი განსაკუთრებული მიდგომის აუცილებლობას, მიწის სავარგულების ტრანსფორმაცია – გაუმჯობესების და სასოფლო-სამეურნეო მრავალი სახეობის კულტურების გაადგილების საკითხების რაციონალურად გადაწყვეტის საჭიროებას და ფართო მასშტაბით სამედიორაციო სამუშაოების წარმოებას. გამომდინარე ზემოთ თქმულიდან,

სამეგრელოს მიწის ფონდის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების კომპლექსური ღონისძიებების შემუშავებისას გათვალისწინებული უნდა იქნეს ამ ტერიტორიის მიწების გამოყენების ისტორიული გამოცდილებები, ქართველი მეცნიერების მიერ მრავალი წლის მანძილზე ჩატარებული ნაცადი და დანერგილი ღონისძიებები, რომლებმაც პრაქტიკულად გაამართლა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ორგანიზაციის ხაზით კარგი შედეგიც იყო მიღწეული. დაშრობილი და გასარწყავებული იყო ბევრი ფართობები, მოწყობილი სფერული კვლები და ნაწარმოები მრავალი სახის სუბტროპიკული კულტურული მცენარეულობა.

მიწის ფონდის ტრანსფორმაცია-გამოყენების საილუსტრაციოდ გამოკვლეული გვაქვს მიწების დინამიკა სხვადასხვა პერიოდში, წლების მიხედვით. (იხ. ცხრ. 5) როგორც ქვემოთ მოტანილი ცხრილიდან ჩანს დაწყებული 1970 წლიდან ტერიტორიის საერთო ფართობში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ აღინიშნება. წარმოჩენილი უმნიშვნელო კლება-მატება (2-3 ათასი ჰექტარის ფარგლებში) გამოწვეულია ტერიტორიის სხვადასხვა დროს აგეგმვისა და ფართობების სხვადასხვა სიზუსტის ხერხებით დაანგარიშების გამო.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში მომხდარი კლება-მატება ცხადყოფს, რომ 1970 წელთან შედარებით 1980 წლისათვის გაზრდილია 6377 ჰექტარით, ანუ 3.6 %-ით; 1980 წელთან შედარებით 1990 წლისათვის აღნიშნულია კლება 2311 ჰექტარით ანუ 1.3 %-ით; 1990 წელთან შედარებით 2000 წლისათვის კიდევ კლება აღინიშნება 5112 ჰექტარით ანუ 2.8 %-ით; 2000 წელთან შედარებით 2009 წლისათვის გაზრდილია ფართობი 872 ჰექტარით ანუ 0.5 %-ით. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კლება-მატება გამოწვეულია სამედიორაციო სამუშაოების წარმოებით, 70-80-იან წლებში მიმდინარეობდა ფართობების დაშრობა, ბუჩქნარებისა და

ეკალ-ბარდების ათვისება, მომდევნო წლებში სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზების გამო იკლო აღნიშნული სამუშაოების წარმოებამ და ზოგან მოხდა მეორადი დაჭაობება და შემცირდა სასოფლო-სამეურნეო სავარგული.

სახნავი ფართობის დინამიკაში 1970 წელთან შედარებით 1980 წლისათვის შემცირებულია ფართობი 1101 ჰექტარით ანუ 1.6 %-ით; 1980 წელთან შედარებით 1990 წლისათვის 639 ჰექტარით ანუ 0.9 %-ით; 1990 წელთან შედარებით 2000 წლისათვის გაზრდილია სახნავი ფართობი 2053 ჰექტარით ანუ 3.1 %-ით; 2000 წელთან შედარებით 2009 წლისათვის სახნავის ფართობი გაზრდილია 2171 ჰექტარით ანუ 3.2 %-ით. 70–90-იან წლებში სახნავის კლება გამოწვეული იყო მრავალწლიანი ნარგავების გაშენებით, ხოლო შემდგომში კლება, მრავალწლიანი ნარგავების ფართობების შემცირების ხარჯზე სახნავი მიწის ფართობის გაზრდით.

მრავალწლიანი ნარგავების ფართობი მატულობდა 1970 წლიდან 1990 წლამდე—12882 ჰექტარით ანუ 34.4 %-ით. ხოლო 1990 წლიდან 2009 წლამდე შემცირდა 7115 ჰექტარით ანუ 14.1 %-ით. კლება—მატება ძირითადად გამოწვეული იყო სახნავი მიწის ხარჯზე. განსაკუთრებით ამ ხნის განმავლობაში მკვეთრად შემცირდა ჩაის ფართობი—13036 ჰექტარით ანუ 58 %-ით.

1990 წელთან შედარებით 2009 წ. გაზრდილია ციტრუსების ფართობი 616 ჰექტარით ანუ 66 %-ით; 2009 წ. მონაცემებით გაშენდა თხილის ნარგავები 22402 ჰექტარზე, კივი—718 ჰექტარზე, ფეიხოა—821 ჰექტარზე; ვენახის ფართობი 1990 წელთან შედარებით 2009 წელს შემცირებულია 4042 ჰექტარით ანუ 81 %-ით. 1990 წელთან შედარებით ხეხილის ბაღის ფართობი 2009 წლისათვის შემცირებულია 3271 ჰექტარით ანუ 46 %-ით. განსაკუთრებით აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია თხილის, ციტრუსების, კივის, ხურმის და

ფეხიას კულტურების ფართობის გაზრდის ტენდენციები. ღრმად შესწავლას და გააზრებას მოითხოვს ჩაის კულტურის წარმოების პერსპექტივა, მისი ფართობის ოპტიმალური ზომის დადგენა.

ცხრილი 5

სამეგრელოს რეგიონის მიწების გამოყენების დინამიკა

/ფართობი ჰა-ში/

წლები	ფართობი სულ	მ ა თ შ ო რ ი ს											
		სასოფლო-სამეურნეო საფ.	ა ქ ე დ ა ნ										
			სახნავი	ძრწ.ნარგ	მ. შ ო რ ი ს								
					ბაღი	ვენახი	თხილი	ქივი	ფეხიას	ციტრუსები	დაფნა	ჩაი	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13	
1970	443298	176605	67675	37443	5018	3772					679		20495
1980	445720	182982	66574	44834	7118	4793					1193		22508
1990	445720	180671	65935	50325	7100	4980	16440	140	401	920	2000		9411
2000	442375	175556	67988	38435	3439	1200	18120	230	700	1200	1600		9500
2009	442375	176428	70159	43210	3829	938	22402	718	821	1536	1587		9472

ცხრილი 5-გაგრძელება


სურმა	ბამბუკი	თუთა	სხვა ნარგ.	ნასვენი	სათობი	საძოვარი	ტყე	ბუჩქნარი	შენობები	გზები	წყალი	სხვა მიწები
		484	6995	5764	1481	64242	145548	46012	1931			73202
		662	8560	1140	1241	69193	162128	19049	1906			79655
900	10	820	7203		1000	63411	159500	18500	5000	12500	14500	55049
1100	50	300	996		1700	67433	160689	13123	8891	13114	15002	56000
1404	103	200	200		1200	61859	163291	18032	6963	14131	17200	46330

წყარო: საქართველოს მიწის ფონდი, 1973. მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის საარქივო მასალები /1980, 1990/. საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის კრებული-საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009.

განსაკუთრებით აღსანიშნავი და გასათვალისწინებელია თხილის, ციტრუსების, კივის, ხურმის და ფეიხოს კულტურების ფართობის გაზრდის ტენდენციები. ღრმად შესწავლას და გააზრებას მოითხოვს ჩაის კულტურის წარმოების პერსპექტივა, მისი ფართობის ოპტიმალური ზომის დადგენა.

დიაგრამა 1

სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების
დინამიკა



საკვლევი ობიექტის მიწის ფონდის შემადგენლობაში მცირედი, მაგრამ დიდი მნიშვნელობის ადგილი უჭირავს “ტრასეკას”, დიდი აბრეშუმის გზის მიერ დაკავებულ ფართობს 319 კა. რეგიონის განვითარების პერსპექტივები მჭიდროდაა დაკავშირებული ამ გზასთან, როგორც ევროპა-კავკასია-აზიის სატრანსპორტო დერეფნის განვითარების მომავალს, მისი ფუნქციონირების ამოცანებს და დანიშნულებას. აღნიშნული აბრეშუმის გზა უხსოვარი დროიდან იყო სახმელეთო, საზღვაო და სამდინარო გზების ერთიანი სისტემა,

რომელსაც დიდი წვლილი შეჰქონდა რეგიონის განვითარების სოციალურ-ეკონომიკური და სულიერი განვითარების მთელ სპექტრში. დღესაც ტრასეკა ევრაზიის მთელი რეგიონის ინტეგრაციის, დაბალანსებული განვითარებისა და სოციალურ-პოლიტიკური სტაბილიზაციის ფაქტორი უნდა იყოს, საკვლევი ობიექტის უტყუარი და საიმედო პერსპექტივა.

მიწის ფონდის დაცვისა და გამოყენების მდგომარეობის შესწავლა-ანალიზის პროცესში დიდი მნიშვნელობა აქვს ქვეყანაში ჩატარებული მიწის რეფორმის შედეგებსა და მისი გავლენის შეფასებას ფონდის გამოყენების ხარისხზე, რაზედაც საუბარი გვექნება ქვემოთ.

1.2 ეკონომიკური პირობები.

სამეგრელოს რეგიონის ეკონომიკის ფორმირებაში სასოფლო-სამეურნეო წარმოებასთან ერთად მნიშვნელოვანი წილი უჭირავს არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების წარმოება – დაწესებულებებსა და ორგანიზაციებს. 2007 წლის სტატისტიკური მონაცემების მიხედვით რეგიონში წარმოებული 389.7 მლნ. ლარის პროდუქციიდან 75.2 მლნ ლარი ანუ 19.3 % მრეწველობის წილად მოდიოდა. რეგიონის ეროვნულ მეურნეობაში ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს წარმოებული პროდუქციის მოცულობა მოტანილია ქვემოთ ცხრილში 6.

2003 წელს რეგიონში წარმოებული მთლიანი პროდუქციის 12.7 % მოდიოდა მრეწველობაზე, 2004 წელს–12.1 %; 2005 წელს–21.7 %; 2006 წელს–18.3 %, 2007 წელს–19.3 %. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი 2003 წელთან შედარებით პროდუქციის წარმოება 2007 წლისათვის–78.9 %-ით, აქედან სოფლის მეურნეობაში 65.4 %, ხოლო მრეწველობაში–171.5 %-ით, რაც არასასოფლო-სამეურნეო სექტორის მნიშვნელოვან

წარმატებაზე მიგვიითებებს. განსაკუთრებით დიდი ეკონომიკური პოტენციალით გამოირჩევა კირქვის საბადოები მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონში, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი შეფასებულია 248 მლნ დოლარად. სამშენებლო ქვიშა სენაკის, აბაშის, ჩხოროწყუსა და წალენჯიხის რაიონებში, რომელთა ეკონომიკური პოტენციალი შეფასებულია 250 მლნ დოლარად; თაბაშირის და ანჰიდრიტის საბადოები წალენჯიხის რაიონში, რომლის ეკონომიკური პოტენციალი შეფასებულია 319 მლნ დოლარად; სამკურნალო წყლების, სამკურნალო მინერალების და მტკნარი სასმელი წყლის 3439.4 მლნ დოლარს.

ცხრილი 6


რეგიონის ეროვნულ მეურნეობაში ხუთი წლის განმავლობაში ყოველ წელიწადს წარმოებული პროდუქციის მოცულობა

და რ გ ე ბ ი	წ ლ ე ბ ი				
	2003 მლნ. ლარი	2004 მლნ. ლარი	2005 მლნ. ლარი	2006 მლნ. ლარი	2007 მლნ. ლარი
1.სოფლის მეურნეობა	190.1	220.2	250.1	280.2	314.5
2.მრეწველობა	27.7	30.4	69.4	62.8	75.2
ს უ ლ	217.8	250.6	319.5	343.0	389.7

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური-საქართველოს სოფლის მეურნეობა . სტატისტიკური ანგარიშების კრებული /2003, 2004, 2005, 2006, 2007/.

გარდა ამისა მოიპოვება მოსაპირკეთებელი ქვების, მარმარილოს, ბარიტის საბადოები, რომელთა ზუსტი შეფასება არაა ნაწარმოები. სულ ჯამური ეკონომიკური პოტენციალი შეფასებულია 6436.3 მლნ დოლარად. მრავალფეროვანი და მდიდარი რესურსული პოტენციალი რეგიონის ეკონომიკის განვითარების საიმედო და უტყუარი გარანტია.

სამეგრელოს რეგიონის ეროვნულ მეურნეობაში წარმოებული პროდუქციის მოცულობა /2003–2007 წ.წ./



შრომითი რესურსები. სამეგრელოს, როგორც კოლხეთის ქვეყნის გულის დიად წარსულზე, მიწათმოქმედების მაღალი კულტურის, ხელოსნობის განვითარების და სხვა კეთილდღეობის შესახებ მეტად მნიშვნელოვანი და მრავლის მთქმელი ცნობები დაგვიტოვებს ცნობილმა ბერძენმა მწიგნობრებმა. განსაკუთრებით აღსანიშნავია პირველ საუკუნეში მოღვაწე სახელოვანი ბერძენი გეოგრაფის და ისტორიკოსის სტრაპონის მიერ აღწერილი კოლხეთის სამეურნეო და კულტურული ყოფა-ცხოვრება. მემცენარეობისა და მეცხოველეობის განვითარების მაღალი დონე, გემოვნებით მოწყობილი დამშრობი და სარწყავი არხები, სანაოსნო გზები, სამკურნალო და სხვა კულტურულ მცენარეთა ნაირგვარობა და მიწის პროდუქტიულობის მაღალი დონე. ყველაფერი ეს ნათლად მეტყველებს სამეგრელოს მდიდარი რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების ასპექტზე და საკვლევ ობიექტზე მცხოვრები ხალხის მაღალ კულტურულ სამეურნეო

საქმიანობაზე, ნიჭსა და უნარზე, რაც იმედს იძლევა პერსპექტივაში რეგიონის განვითარების დიდ შესაძლებლობაზე და ეროვნული მეურნეობის განვითარების შანსზე. [51]

საზოგადოების განვითარებაზე დიდ გავლენას ახდენს შრომითი რესურსების სტრუქტურული შესაძლებლობები, ადამიანთა ასაკი, სქესი და ჯანმრთელობა, რაც თავის მხრივ დამოკიდებულია ბუნებრივ პირობებზე და სოციალურ-ეკონომიკურ ფაქტორებზე.

საბაზრო ეკონომიკის პირობებში შრომითი რესურსების ცნება გულისხმობს ეკონომიკურად აქტიურ მოსახლეობას, რომელიც ქმნის შრომის ბაზარს, დასაქმების პროცესში ყალიბდება უკვე საქონლად. აქ აუცილებელი მომენტია სამუშაო ძალის მისი მფობელის მიერ წარმოების საშუალებათა მესაკუთრეზე მიქირავება, რაც გაცვლით ხასიათს ატარებს. საბაზრო ეკონომიკის დამკვიდრებამ შეცვალა შრომითი რესურსების მდგომარეობა და ცხოვრების პირობები. თავისუფალი ადამიანი უფრო მაღალ შრომით შედეგს აღწევს. სწორედ, შრომის ბაზარზეა შერწყმული დამქირავებელ-დაქირავებულთა ინტერესები. მუშაკს ეძლევა თავისუფალი არჩევანის უფლება, იზრდება შრომის ნაყოფიერება და ინტერესი შრომისადმი.

შრომისადმი დამოკიდებულების ფორმირება და სამუშაო ძალის ეფექტურად გამოყენება განისაზღვრება საქმიანობის მოტივაციით-შინაგანი (მოთხოვნილება, ინტერესი, ფასეულობა და ა.შ.) და გარეგანი (მუშაკთა აქტიურობის ამადლების (სტიმული). [35]

ქვეყანაში მომხდარმა პოლიტიკურმა და სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა მნიშვნელოვნად შეცვალა შრომის მთელი პროცესი. დაიშალა ბევრი მსხვილი საწარმო, დაიკარგა მნიშვნელოვანი ბაზრები, დაიჭრა სამექანიზაციო ფართობები, გაუქმდა ბევრი სამუშაო ადგილი, იმატა უმუშევრობამ. რა თქმა უნდა მეურნეობა თანდათან ფეხზე

დგება, ტარდება ღონისძიებები, რაც თავის მხრივ გარკვეულ დროს საჭიროებს. საჭიროა ეროვნული მეურნეობის ყველა სფეროს აღდგენა, განსაკუთრებით სოფლის მეურნეობის მდიდარი რესურსული პოტენციალის ამუშავება, სამუშაო ადგილების შექმნა, სასურსათო უსაფრთხოების საკითხების მოგვარება და ადამიანის საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესება.

2009 წლის იანვრის თვის მონაცემებით მრეწველობაში დასაქმებული იყო შრომისუნარიანი მოსახლეობის 5 %, სოფლის მეურნეობაში – 52 %, ვაჭრობაში – 5 %, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში – 4 %, მშენებლობაში – 1 %, მატერიალური წარმოების სხვა დარგში – 16 %, არამატერიალური წარმოების სფეროში კი – 17 %. სადღეისოდ, სამეგრელოს მოსახლეობის რაოდენობისა და სტრუქტურული შედგენილობის საილუსტრაციოდ მოგვეყავს მონაცემები ცხრილში 7. მოსახლეობის სიმჭიდროვე ერთ კვ. კილომეტრზე 97 კაცია.

ცხრილი 7

სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობა

რაიონები	მოსახლეობის რაოდ. სულ /ათ.სული/	მათ შორის		მოსახლეობის პროცენტული კლასიფიკაცია %-ში	
		ქალაქის მოსახლეობა/ათ.სული/	სოფლის მოსახლეობა/ათ.სული/	ქალაქის	სოფლის
1	2	3	4	5	6
ზუგდიდის	167,760	68,894	98,866	41.1	58.9
სენაკის	52,112	28,082	24,030	53.9	46.1
წალენჯიხის	40,133	13,750	26,383	34.3	65.7
მარტვილის	44,627	5,609	39,018	12.6	87.4
ჩხოროწყუს	30,124	5,040	25,084	16.7	83.3
აბაშის	28,707	6,430	22,277	22.4	77.6
ხოზის	41,240	5,604	35,636	13.6	86.4
ქალაქი ფოთი	47,149	47,149	-	100.0	-
სამეგრელო	451.852	180.604	271.294	39.3	60.7

წყარო: საქართველოს ეკონომიკური განვითარების სამინისტროს სტატისტიკის დეპარტამენტი. მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური დახასიათება, თბილისი 2008.

მიწის რეფორმა. საზოგადოებრივი წყობილების ფორმაციის შეცვლამ, საბაზრო ეკონომიკის რელსებზე გადასვლამ და მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ მნიშვნელოვნად შეცვალა რეგიონის ეკონომიკური და სოციალური და პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური გარემო. მიწაზე აღიარებული იქნა და უფლება მოიპოვა ნებისმიერი სახის გარიგებამ. მიწა გახდა საქონელთბრუნვის ერთ-ერთი და მნიშვნელოვანი ობიექტი, ფულადი შემოსავლის წყარო, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტში (გარიგებებიდან შემოსული მოსაკრებლები), ასევე თითოეული მიწათმესაკუთრის თუ მიწათმოსარგებლის მიერ მიწაზე წარმოებული გარიგების შედეგად.

სოციალისტურ პერიოდთან შედარებით, მიწამ შეიძინა დამატებითი ფუნქცია, გახდა გარიგების ობიექტი. ამდენად, მიწის რეფორმამ რადიკალურად შეცვალა ადამიანის დამოკიდებულება მიწის მოვლა-პატრონობისადმი, აღადგინა ქართველი კაცის სიყვარული მიწისადმი. მიწის რეფორმას დადებითთან ერთად, გააჩნია მრავალი ნაკლოვანი მხარე: მიწა განაწილდა მისი ფართობის რაოდენობის მიხედვით, ხარისხის გათვალისწინების გარეშე. სათანადო მოსამზადებელი სამუშაოების ჩატარების გარეშე ბევრი ცდომილება იქნა დაშვებული-ფართობების არაზუსტი აზომვა, საზღვრების დამყარება, ზოგ შემთხვევაში სამართლიანობის უგულვებელყოფა, სამექანიზაციო ფართობების დაჭრა-დაქუცმაცება და სხვა. მიუხედავად მიწის რეფორმის წარმოების მრავალი ნაკლოვანი მხარისა და ზოგჯერ უარყოფითი შედეგებისა, მიწის რეფორმა შედგა. მიწაზე დაარსდა საკუთრების ორი ფორმა-სახელმწიფო და კერძო. [64] მიწის კერძო საკუთრება გახდა მიწაზე მომუშავე კაცის იმედის მომცემი და თავისუფლების მიმნიჭებელი უტყუარი გარანტი. სწორედ, კერძო საკუთრების მიწებში გადავიდა რეგიონის მაღალინტენსიური მიწის სავარგულების ძირითადი და საუკეთესო ნაწილი. საკუთრების

ფორმების მიხედვით მიწის ბალანსის მონაცემები მოტანილია ცხრილი 10-ში. როგორც ცხრილიდან ჩანს, კერძო საკუთრებაშია გადასული რეგიონის მთლიანი ფართობის 17.4 %, სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 41.3 %, სახნავი მიწის-72.1 %, მრავალწლიანი ნარგავების-39.6 %, ბაღი-93.5; ვენახი-16.6; თხილი-30.7; კივი-100; ფეხსოა-100; ციტრუსები-48.5; დაფნა-100; ჩაი-8.7; ხურმა-100; თუთა-52; სათიბი-26.1; საძოვარი-7.8 და შენობა-ნაგებობები-47.7 %.

ანალიზი ნათელყოფს, რომ კერძო სექტორში მრავალწლიანი ნარგავებიდან გაშენებულია კივი, ფეხსოა, დაფნა, ხურმა, ბამბუკი, რაც საზოგადოებრივ სექტორში არ ფიგურირებს. აღნიშნული კულტურები პერსპექტიულია და გასათვალისწინებელი პერსპექტივაში. დიდი რაოდენობითაა განკერძოებული ბაღები და სახნავი მიწები, მცირედი წილი უჭირავს კერძო სექტორის ჩაის პლანტაციებს. იჯარით გაცემულია 3265 ჰექტარი სახნავი მიწა და 2869 ჰექტარი

ცხრილი 8

მიწების განაწილება საკუთრების ფორმების მიხედვით 2009 წ. მდგომარეობით /ფართ. ჰა/

მიწის საკუთრ. ფორმები	საერთო ფართ. /ჰა/	მ ა თ შ ო რ ი ს										
		სასოფლო-სამეურნეო საგ	ა ქ ე დ ა ნ									
			სახნავი	მრწ.ნარგავები	მ. შ ო რ ი ს							
					ბაღი	ვენახი	თხილი	კივი	ფეხსოა	ციტრუსუ-ები	დაფნა	ჩაი
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12	13
სულ მიწები	442375	176428	70159	43210	3829	938	22402	718	821	1536	1587	9472
კერძო საკ. გაცემული მიწები	77115	72839	50551	7115	3580	156	875	718	821	745	1587	822
%-ში	17.4	41.3	72.1	39.6	93.5	16.6	30.7	100	100	48.5	100	8.7
სახ.საკ. მიწები	365260	103589	19608	26095	249	782	15527	-	-	791	-	8650
%-ში	82.6	58.7	27.9	60.4	6.5	83.4	69.3			51.5		91.3
მ.შ.იჯარით	7154	7154	3265	2869	249	182	540		791	-	510	

ცხრილი 8—გაგრძელება

				ნასვენი	სათობი	საძოვარი	ტყე	ბუჩქნარი	შენობები	გზები	წყალი	სხვა მიწები
სურ-მა	ბამბუკი	თუთა	სხვა ნარგ.									
14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24	25	26
1404	103	200	200		1200	61859	161291	18032	8963	14131	17200	46330
1404	103	104	200		313	4860		4276				
100	100	52.0	100		26.1	7.8		47.7				
–	–	96	–		887	56999	161291	18032	4687	14131	17200	46330
		48.0			73.9	92.2	100	100	52.3	100	100	100
						1020						

წყარო: საქართველოს სტატისტიკროვნული სამსახური. საქ. სოფლის მეურნეობა, 2009. მრავალწლიანი ნარგავებით და 1020 ჰა სხვადასხვა საგარეულით დაკავებული მიწის ფართობი, რომელთა პრივატიზება დღესაც ინტენსიურად მიმდინარეობს. რაიონების მიხედვით განკერძოებული და იჯარით გაცემული მიწები ნაჩვენებია ცხრილში 9.

ცხრილი 9

სასოფლო–სამეურნეო საგარეულის განაწილება საკუთრების ფორმებისა და ტერიტორიული ერთეულების მიხედვით 2009 წლის 1 იანვრის მდგომარეობით

/ფართობი ჰა/

	ტერიტორიული ერთეულები	სასოფლო სამეურნეო საგარეული სულ /ფართ. ჰა/	მათ შორის		
			კერძო სექტორში /ჰა/	სახელმწიფო სექტორში /ჰა/	მათ შორის იჯარით გაცემული ფართ./ჰა/
1	ზუგდიდი	36833	13884	22949	3493
2	სენაკი	22531	10447	12084	1026
3	წალენჯიხა	12168	6220	5948	0
4	ჩხოროწყუ	19704	8069	11635	0
5	ხობი	29160	14933	14227	815
6	აბაშა	20105	8901	11204	1146
7	მარტვილი	34913	9563	25350	674
8	ფოთი	1014	822	192	0
9	რეგიონი სულ	176428	72839	103589	715

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009.

1.3 მიწის რესურსული პოტენციალის გამოყენების შეფასება.

მიწის გამოყენების ეკონომიკური და ეკოლოგიური შეფასება განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მეტად მომძლავრებული უარყოფითი ბუნებრივი მოვლენებისა და ეკონომიკური კრიზისის მძვინვარების პერიოდში. იმისათვის, რომ ზუსტად და შეუცდლომლად განისაზღვროს რესურსული პოტენციალის პერსპექტიული გამოყენების შესაძლებლობები კარგად უნდა ვიცოდეთ მისი თანამედროვე მდგომარეობა—უარყოფითი და დადებითი მხარეები. მოვლენათა აღრიცხვიანობის ესოდენ უკმარისობისა და მოუწესრიგებლობის პირობებში შორსა ვართ იმისაგან, რომ ვამტკიცოთ კვლევის წარმოების იდეალური სიზუსტე. ჩვენ მხოლოდ გვინდა არსებული სააღრიცხვო მასალების გამოყენებით და მოვლენათა პირადი შესწავლის კვალობაზე დავადგინოთ რეგიონის რესურსული პოტენციალის გამოყენების დონე და დავსახოთ მისი სრულყოფის პარამეტრები. რა თქმა უნდა, პირველ რიგში სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულების გამოყენების დონის ეკონომიკური შეფასება და მასთან ერთად არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების გამოყენების დონის დადგენა.

მ ე მ ც ე ნ ა რ ე ბ ა . მაღალი კულტურის მიწათმოქმედების მხარე სამეგრელო, მუდამ იყო მრავალსახეობის მცენარეული საფარის ბინადრობის ხელსაყრელი და უნიკალური ადგილი. ცნობილი ვაზის, ხორბლის, ღომის, ბოსტნეულის, ბროწეულის, ლეღვის და სხვა ხეხილის და სუბტროპიკულ კულტურათა წარმოების კერა. აღნიშნულზე არა ერთი ცნობილი ისტორიკოსი, მწიგნობარი და მეცნიერი წერდა, რომელიც შემონახულია ცივილიზებული ქვეყნების წიგნსაცავებში. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ნაირგვარობა და მრავალსახეობა ნაწილობრივ შეამცირა სოციალისტური წყობილების დროინდელმა დარგების სპეციალიზაციის გატარებამ, გეგმურმა

მეურნეობრიობამ, შრომის საკავშირო განაწილებამ და ქვეყნისათვის ზოგიერთი სასოფლო-სამურნეო კულტურის პრესტიჟულობამ, საკავშირო მოთხოვნებისა და ადგილობრივი პირობების ხელსაყრელობის გათვალისწინებამ. პრესტიჟული გახდა ჩაის, ვენახის და ციტრუსების წარმოება. ამან თავისთავად შეამცირა მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების წარმოების მოცულობა, რასაც ხელს უწყობდა ფართო მასშტაბის მქონე და ძვირადღირებული ბაზრის არსებობა. დღეს, როდესაც საქართველომ მოიპოვა დამოუკიდებლობა, მკვეთრად შემცირდა წარმოებული პროდუქციის გასადგების არეალი, ხშირად იმპორტი გვთავაზობს უხარისხო, ჯანმრთელობისათვის არასაიმედო პროდუქტებს, დღის წესრიგში დადგა საკითხი ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციის წარმოების საჭიროებაზე, ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფაზე, მეტ წილად მარცვლეული და ბოსტნეული კულტურების წარმოების გაზრდაზე, მაღალმოსავლიანი ადგილობრივი ჯიშების თესვა-მოყვანის აუცილებლობაზე. 2009 წლის საშობაო ეპისტოლეში, საქართველოს პატრიარქი-უწმინდესი და უნეტარესი ილია მეორე წერს: ”საქართველო ყოველთვის იყო და კვლავაც უნდა გახდეს ვაზისა და ხორბლის ქვეყანა.” “ჩვენი წინაპრებისათვის ღვინო და პური გარდა თავისი ჩვეულებრივი მნიშვნელობისა, მაცხოვრის ხორცისა და სისხლის სიმბოლოს უკავშირდებოდა და ამიტომ ქართველ გლეხს მათდამი ყოველთვის განსაკუთრებული დამოკიდებულება ჰქონდა და განსაკუთრებულად უვლიდა, და ეს უნდა აღდგეს”. [38] შიდა მოხმარებისათვის პურეულისა და მისი შემცველი სხვა მარცვლეულის წარმოების გაზრდა და საექსპორტოდ მევენახეობის პროდუქციის წარმოების წინა პლანზე წამოწევა ქართველი კაცის დღენიადაგ საზრუნავი და საშური საქმეა. ამდენად, დრო დადგა სულ ახლებურად გავიაზროთ და დავაყენოთ საკითხი, ანგარიში გავუწიოთ

ეროვნულ მოთხოვნილებებს, ბაზრის უზრუნველყოფის საკითხს და ისე წარმართოთ ქვეყნის მეურნეობა.

საკვლევი ობიექტის რესურსული პოტენციალის გამოყენების სადღეისო დონის შესწავლა, მემცენარეობის განვითარების ტენდენციების გაანალიზება საჭიროა სამომავლოდ დარგის განვითარების გზების უშეცდომოდ განსაზღვრისა და ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

თუ მხარის მემცენარეობის დინამიკას გადავხედავთ, გასული 40 წლის მანძილზე (იხ. ცხრ. 10) დაგრწმუნდებით, რომ რეგიონში 1970 წელს მიღებული იყო 39 722 ტონა მარცვლეული და პარკოსნები, 1980 წელს აღნიშნული პროდუქციის წარმოება გაიზარდა 62 878 ტონით ანუ 2.58-ჯერ; 1990 წლისათვის 1980 წელთან შედარებით წარმოება შემცირდა 65 847 ტონით ანუ 2.79-ჯერ; 2000 წლისათვის 1990 წელთან შედარებით წარმოება ისევ გაზრდილია 81 958 ტონით ანუ 3.22-ჯერ; 2009 წლისათვის 2000 წელთან შედარებით 11 784 ტონით ანუ 1.09-ჯერ; 2009 წელს 1970 წელთან შედარებით მარცვლეულისა და პარკოსნების წარმოება გაზრდილია 90 773 ტონით ანუ 3.28-ჯერ. აქედან შეიძლება გაკეთდეს დასკვნა, რომ სოციალისტური წყობილების პერიოდთან შედარებით მკვეთრად გაიზარდა მარცვლეული და პარკოსანი კულტურების წარმოება. გამოიკვეთა ძირითადი მიმართულება და ტენდენცია. ბოსტნეულ კულტურებში 1970 წელთან შედარებით 1980 წლისათვის მატებაა 19 467 ტონით ანუ 15.03-ჯერ; 1980 წელთან შედარებით 1990 წლისათვის შემცირდა 17 079 ტონით ანუ 5.52-ჯერ; 2000 წელს 1990 წელთან შედარებით ბოსტნეულის წარმოება გაიზარდა 14 624 ტონით ანუ 4.87-ჯერ. 2009 წლისათვის 2000 წელთან შედარებით საერთო მოსავალი შემცირდა 7 419 ტონით ანუ 1.67 -ჯერ. საერთო ჯამში 1970 წელთან შედარებით ბოსტნეულის წარმოება 2009 წელს

გაზრდილია 9 595 ტონით ანუ 7.91-ჯერ. კვლევა ადასტურებს რეგიონში ბოსტნეული კულტურების წარმოების ზრდის ტენდენციებს.

ცხრილი 10

მემცენარეობის პროდუქტების წარმოების დინამიკა

წლები	მარცვლოვანი კულტურები	სოიო	ლობიო	ბოსტნეული	ძირხვენები	ერთწლი-ანი ბალახ. თივად
	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/
1	2	3	4	5	6	7
1970	39722	546	90	1387	2941	8162
1980	102600	3866	109	20854	2052	20760
1990	36753	2036	30	3775	839	14661
2000	118711	96	78	18401	–	30
2009	130495	1453	434	10982	–	546

ცხრილი 10–გაგრძელება

წლები	მრავწ-ლიანი ბალახ.თივად	ხილი	თხილი	ციტრუსები	ყურძენი	ჩაი
	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/	საერთო მოსავალი /ტ/
1	8	9	10	11	12	13
1970	620	815	106	725	1379	81080
1980	662	26541	837	1497	4165	202572
1990	2364	639	120	910	5100	156402
2000	–	400148	139	3160	6930	11453
2009	465	39633	7840	9360	7758	13000

წყარო: სტატისტიკური ინფორმაციები /1970-2000/. სოფლის მეურნეობა, გარემო და სასურსათო უსაფრთხოება, 2009.

მატებაა სოიოს კულტურის წარმოებაში. 2009 წელს 1970 წელთან შედარებით სოიას წარმოება გაზრდილია 907 ტონით ანუ 2.66-ჯერ. მატებაა ლობიოს დამზადების საქმეში. 1970 წელთან შედარებით 2009


წლისათვის გაზრდილია 344 ტონით ანუ 4.82–ჯერ. მთლიანად შეწყდა საკვები ძირხვენების წარმოება; შემცირებულია ერთწლიანი ბალახების დამზადება თივად 2009 წლისათვის 1970 წელთან შედარებით 155 ტონით ანუ 1.33–ჯერ. დიდი რაოდენობის თივა იყო დამზადებული 1990 წელს–2364 ტონა, რაც აღნიშნული საკვების დამზადების დიდ შესაძლებლობაზე მეტყველებს. მნიშვნელოვნადაა გაზრდილი ხილის წარმოება. თუ 1970 წელს მიღებული იყო ხილის საერთო მოსავალი 815 ტონა, 2009 წლისათვის გაზრდილია 38818 ტონით ანუ 48.62–ჯერ. ხილის წარმოების ასეთი დიდი მასშტაბით ზრდა გამოწვეულია მიწების კერძო საკუთრებაში გადასვლით და მეტწილად ჩაის კულტურის წარმოების შემცირებით. მკვეთრად იზრდება თხილის კულტურის გავრცელება 1970 წელთან შედარებით 2009 წლისათვის თხილის წარმოება გაიზარდა 7734 ტონით ანუ 73.96–ჯერ, რაც თხილის წარმოების ზრდის დიდ შესაძლებლობებზე და ტენდენციებზე მიგვანიშნებს. მნიშვნელოვნად გაიზარდა ციტრუსების წარმოება 1970 წელთან შედარებით 2009 წელს მომატებულია 8935 ტონით ანუ 12.91–ჯერ. მატებაა ყურძნის წარმოებაში 1970 წელთან შედარებით. ყურძნის წარმოება გაიზარდა 6379 ტონით ანუ 5.62–ჯერ. მკვეთრად შემცირდა ჩაის პროდუქციის წარმოება. თუ 1970 წელს დამზადებული იყო 81080 ტონა ჩაი, 2009 წელს დამზადდა 13000 ანუ 79780 ტონით ნაკლები, შემცირდა 6.24–ჯერ. 1980 წელს დამზადებული იყო 202572 ტონა ჩაი (იხ. ცხრ. 12), რაც მართლაც ჩაის კულტურის წარმოების დიდ შესაძლებლობებზე მეტყველებს. გარდა აღნიშნულისა, ბოლო დროს რეგიონში დაინერგა ისეთი ძვირფასი სასოფლო–სამეურნეო კულტურების წარმოება, როგორცაა: კივი, ეთერზეთოვანი კულტურები, ფეიხოა, დაფნა, სამკურნალო მცენარეები და სხვა ძვირადღირებული კულტურების წარმოება. დღეს თითქმის სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოების 90 % მემცენარეობაზე

მოდის. მემცენარეობის პროდუქციის წარმოების ანალიზი განვლილი 40 წლის მანძილზე, ცხადყოფს, რომ რეგიონის მიწისა და სხვა მდიდარი ბუნებრივი პირობების არსებობას ხელეწიფება მემცენარეობის განვითარების დიდი შესაძლებლობების რეალობა. მთავარია მოთხოვნილებისა და ეკონომიკურად ხელსაყრელობის მიხედვით დალაგდეს მემცენარეობის დარგობრივი სტრუქტურული ელემენტები, თანამედროვეობის დონემდე იქნეს აყვანილი წარმოების ინტენსიფიკაცია, მიწის მოვლა-პატრონობის კულტურა, რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს ქვეყნის სასურსათო უსაფრთხოებისა და რეგიონში მცხოვრები ხალხის კეთილდღეობას.

ამდენად, მემცენარეობის დინამიკის შესწავლა ცხადყოფს, რომ მხარეს მემცენარეობის მრავალი ხელსაყრელი დარგის განვითარების შესაძლებლობა აქვს, რაზედაც საუბარი გვექნება ქვემოთ.

დიაგრამა 3

სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების დინამიკა



მ ე ც ხ ო ვ ე ლ ე ო ბ ა . მეცხოველეობა სამეგრელოს მხარის ერთ-ერთი უძველესი და უძვირფასესი დარგია. რეგიონის მდიდარი ბუნებრივი მიწის საკვებ-სავარგულები და ნათესებში საკვები კულტურების ჩართვის სოლიდური შესაძლებლობები, საშუალებას იძლევა მეცხოველეობის დარგის წარმატებით განვითარების

უზრუნველსაყოფად. მხარე მდიდარია როგორც ზამთრის, ასევე ზაფხულის საძოვრებით. ქვედა ზონის ანუ ზღვისპირეთის ზამთრის საძოვრები და მთის-ზაფხულის საძოვრები: წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, და სენაკის ტერიტორიაზე განლაგებულია სულ 2000 ჰა. საძოვრები გამოირჩევა როგორც მოსავლიანობით, ასევე ბალახნარის ყუათიანობით, რაც მეცხოველეობის წარმატებით განვითარების უტყუარი და საიმედო პირობაა. მეცხოველეობის დარგებიდან წინა პლანზეა მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის, მათ შორის კამეჩის მოშენება. წარმატებულია მეღორეობა, მეთხეობა, მეფრინველეობა და მეფუტკრეობა, მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს ცხენების მოშენებას. პირუტყვის სულადობის დინამიკის საილუსტრაციოდ მოტანილი გვაქვს გასული 40 წლის სააღრიცხვო მონაცემები (იხ. ცხრ. 11).

–მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1970 წელთან შედარებით 1980 წლისათვის გაზრდილია 42 412 სულით ანუ 23.4 %-ით; მ.შ. ფური–4939 სულით ანუ 6.3 %-ით; 1980 წელთან შედარებით 2000 წლისათვის შემცირებულია უმნიშვნელოდ–299 სულით, მ.შ. მატებაა ფურების რიცხოვნობაში–9892 სულით ანუ 11.3 %-ით; 2000 წელთან შედარებით 2009 წლისათვის მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა გაზრდილია 17003 სულით ანუ 9 %-ით. მ.შ. ფური 40761 სულით ანუ 8%-ით. 1970 წელთან შედარებით 2009 წლისათვის პირუტყვის სულადობა გაზრდილია 59116 სულით ანუ 30 %-ით. მ.შ. ფური 55492 სულით ანუ 43.3 %-ით. საერთო ჯამში მნიშვნელოვანი რაოდენობით იზრდება მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა, მათ შორის ფურის.

–ღორის სულადობის მატებაა აღრიცხული 1970 წელთან შედარებით 1990 წლისათვის 71945 სულით ანუ 38.4 %-ით. მ.შ. დედა ღორის–2136 სულით ანუ 31 %-ით. 1990 წელთან შედარებით 2009 წლისათვის აღრიცხულია ღორის სულადობის შემცირება

მნიშვნელოვნად 61931 სულით ანუ 33 %-ით. მ.შ. დედა ღორი 954 სულით ანუ 14 %-ით.

–თხა და ცხვრის რიცხოვნობის მიხედვით 1970 წელთან შედარებით 1990 წლისათვის სულადობა შემცირებულია 17540 სულით ანუ 54.5 %-ით. მ.შ. დედა ცხვარი და თხა 6900 სული ანუ 57.5 %-ით. 1990 წელთან შედარებით 2009 წლისთვის გაიზარდა სულადობა 7908 სულით ანუ 35.1 %-ით. მ.შ. დედა ცხვარი და თხა 4820 სულით ანუ 48.6 %-ით. კლებაა 1970 წელთან შედარებით 2009 წელს 9632 სულით ანუ 30 %-ით. მ.შ. დედა ცხვარი და თხა 2080 სულით ანუ 17.4 %-ით. საბოლოო ჯამში საზოგადოებრივი წყობილების ახალ ფორმაციაზე გადასვლამ თხისა და ცხვრის სულადობა შეამცირა.

–ფრინველის სულადობა 1970 წელთან შედარებით 1990 წლისათვის გაზრდილია 414000 ფრთით ანუ 24 %-ით. მ.შ. მოქცეული პირიქით შემცირდა 37000 ფრთით ანუ 10 %-ით. 1990 წელთან შედარებით 2009 წლისათვის სულადობა გაზრდილია 346.2 ათასით ანუ 10 %-ით. მ.შ. მოქცეული 279.8 ათასი ფრთით ანუ 45.6 %-ით.

–მატებაა ფუტკრის ოჯახების რიცხვის მხრივ 1970 წელთან შედარებით 1980 წლისათვის ოჯახების რაოდენობა გაზრდილია 1000 ოჯახით ანუ 10 %-ით, ხოლო 1980 წელთან შედარებით 2009 წლისათვის მატებაა 7411 ოჯახით, ანუ 42.4 %-ით. გამოკვლევა ცხადყოფს, რომ მხარე მეფუტკრეობის განვითარების საიმედო ბაზაა.

–მატებაა ცხენების სულადობაში 1970 წელთან შედარებით 2009 წლისათვის სულადობა გაზრდილია 7715 სულით ანუ 58 %-ით. როგორც ზემოთ მოტანილი რიცხვებიდან ჩანს მატებაა მეცხოველეობის ყველა დარგში, გამონაკლისია თხა და ცხვარი, აქ მნიშვნელოვანი კლებაა. საერთო ჯამში ბალანსი დადებითია და იმედს იძლევა მესაქონლეობის განვითარების დიდ შესაძლებლობებზე.

მეცხოველეობის პროდუქციის წარმოების დინამიკის განხილვა

გასული 40 წლის მანძილზე მეტყველებს შემდეგზე: –ხორცი ცოცხალი წონით 1970 წელთან შედარებით 1990 წელს ნაწარმოებია 12 022 ტონით მეტი ანუ გაზრდილია წარმოება 82.7 %-ით; 1990 წელთან შედარებით 2009 წლისათვის ნაწარმოებია 6124 ტონით მეტი ანუ გაზრდილია 30 %-ით.

ცხრილი 11

პირუტყვის სულადობის დინამიკა

წლები	მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა სულ		ღორის სულადობა		თხა და ცხვარი /სული/		ცხენი /სული/	ფრინველი /ფრთა/		ფუტკარი /ოჯახი/
	სულ	მ.შ. ფური	სულ	მ.შ. დედა ღორი	სულ	მ.შ. დედა ცხვარი და თხა		სულ	მ.შ. მოქცეული	
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
1970	139119	72899	115486	4764	32179	12000	5623	1300112	371200	9100
1980	181531	77738	171087	6871	22124	7740	7100	1122110	391102	10100
1990	160493	70283	187431	6900	14639	5100	605	1714118	334201	5438
2000	181232	87636	113743	7700	14192	4260	9100	1762950	411200	8720
2009	198235	128391	125500	5946	22547	9920	13338	2060364	614011	17541


წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები. სტატისტიკური ანგარიშების კრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009.

1970 წელთან შედარებით 2009 წელს ხორცის წარმოება გაზრდილია 18146 ტონით ანუ 88 %-ით. რძის წარმოება 1970 წლის მონაცემებთან შედარებით 1980 წელს გაზრდილია 8848 ტონით ანუ 43.4 %-ით. 1990 წელთან შედარებით 2009 წელს – 96541 ტონით ანუ 81.7 %-ით და 1970 წელთან შედარებით 2009 წელს ნამატი შეადგენს 106663 ტონას, რაც რძის წარმოების გაზრდის დიდ შესაძლებლობებზე მიგვანიშნებს.

კვერცხის წარმოების დინამიკის ანალიზი ცხადყოფს, რომ თანმიმდევრულად იზრდება კვერცხის წარმოება. 1970 წელთან შედარებით 1980 წელს მიღებულია 18387 ათასი ცალით ანუ 82 %-ით მეტი; კლებს 1980 წელთან შედარებით 1990 წელს 3487 ათასი ცალით ანუ 16 %-ით; 1990 წელთან შედარებით 2000 წელს გაზრდილია კვერცხის წარმოება 44437 ათასი ცალით ანუ 72.7 %-ით; 2000 წელთან შედარებით 2009 წელს მატებაა 9573 ათასი ცალით ანუ 12.2 %-ით.

დიაგრამა №4

პირუტყვის სულადობის დინამიკა



1990 წელთან შედარებით 2009 წლის მონაცემების შედარება ნათელიყოფს, რომ კვერცხის წარმოება საბაზრო ეკონომიკაზე გადასვლის შემდეგ გაზრდილია 60010 ათასი ცალით ანუ 76 %-ით, რაც დარგის დიდ გამოცოცხლებასა და პერსპექტივაზე მიგვანიშნებს.

გაზრდილია თაფლის წარმოება. 1990 წლის მონაცემების შედარება 2009 წლის მაჩვენებლებთან გვაუწყებს, რომ თაფლის წარმოება გაზრდილია 129 ტონით ანუ 54.3 %-ით, რაც დარგის განვითარების სოლიდურ პერსპექტივაზე მეტყველებს. (იხ. ცხრ. 12)

მეცხოველეობის პროდუქციის დინამიკა


წლები	ხორცი (ცოცხალი წონით) /ტ/	რძე /ტ/	კვერცხი ათასი ცალი	თაფლი /ტ/
1	2	3	4	5
1970	2516	11574	4034	107
1980	12721	20422	22421	111
1990	14538	21696	18934	109
2000	13198	91527	69371	90
2009	20662	118237	78944	238

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემები. სტატისტიკური ანგარიშების კრებული. საქართველოს სოფლის მეურნეობა, 2009.

სამეგრელოს რეგიონის რესურსული პოტენციალის გამოყენების თანამედროვე დონის შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს, რომ ის დიდი შესაძლებლობები, რომელიც გააჩნია მხარეს მდიდარი ბუნებრივი და შრომითი რესურსების მხრივ, ასევე კაპიტალის სხვადასხვა საშუალებით მოზიდვა-დაბანდების ორგანიზაციის კუთხით, საშუალებას იძლევა მეცხოველეობის დარგის წარმატებით განვითარების უზრუნველსაყოფად.

დიაგრამა 5

მეცხოველეობის პროდუქციის დინამიკა



რეგიონის მიწის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურული შემადგენლობა ცხადყოფს, რომ მეტი წილი ეკუთვნის სახნავ მიწებს და საძოვრებს, რაც მთავარია 59.68 % უკავია დამუშავებაში არსებულ მიწებს, რაც სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურული შედგენილობის დადებითობაზე და ხელსაყრელობაზე მიგვითითებს.

საკმაოდ კარგი მაჩვენებლებითაა წარმოდგენილი მაღალინტენსიური სავარგულების ხვედრითი წილი საქართველოს საშუალო მაჩვენებლებთან შედარებით, რეგიონში სოფლად მცხოვრებ თითოეულ მოსახლეზე მოდის სახნავი 0.26 ჰა და საერთოდ დამუშავებაში არსებული მიწები 0.42 ჰა.

ცხრილი 13.

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების სტრუქტურა და მიწით უზრუნველყოფის მაჩვენებლები

სას.- სამ. სავარგ. /ჰა/	მ ა თ შ ო რ ი ს									
	სახნავი /ჰა/		მრწ.ნარგავ.		სათიბი		საძოვარი		დამუშ.მყოფი მიწები	
	მთლია ნი ფართ ობი /ჰა/	კერძო საკუთ- რებაში %-ში	მთლია ნი ფართ ობი /ჰა/	კერძო საკუთ- რებაში %-ში	მთლია ნი ფართ ობი /ჰა/	კერძო საკუთ- რებაში %-ში	მთლია ნი ფართ ობი /ჰა/	კერძო საკუთ- რებაში %-ში	მთლია ნი ფართ ობი /ჰა/	კერძო საკუთ- რებაში %-ში
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11
176428	70159	72.1	43210	39.6	1200	26.1	61859	7.8	113369	59.68

ცხრილი 13-გაგრძელება

სასოფლო- სამეურნეო სავარგ./ჰა/	მოდის სოფლის მოსახლეობის ერთ სულზე				
	სას. სამ.სავარ- გული/ჰა/	სახნავი ჰა	მრავალწლ. ნარგ. /ჰა/	დამუშავე- ბაში მყ.მიწა/ჰა/	სოფლის მოსახლ. რაოდენობა /კაცი/
1	12	13	14	15	16
176428	0.65	0.26	0.16	0.42	271294

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009.

სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების გამოყენების დონის ეკონომიკური შეფასებისათვის ვიყენებთ სოფლის მეურნეობის მთლიან პროდუქციას, სასოფლო-სამეურნეო მიწის სავარგულებს, პირობით სახნავს და სოფლად მცხოვრებ მოსახლეობას. [53]

ცხრილი 14

სოფლის მეურნეობის მთიანი პროდუქტის წარმოება სასოფლო-სამეურნეო სავარგულების მიხედვით /2003–2008 წწ./

წლები	სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია მლნ.ლარი	საანგარიშო მონაცემები					
		სას.სამ. სავარგ. კა	სახნავი კა	მრწლ.ნარ გავები კა	პირობითი სახნავი კა	დამუშავებაში მყოფი მიწა კა	სოფლის მოსახლეობის რაოდენობა
1	2	3	4	5	6	7	8
2003	190.1	142608	68500	39100	103619	107600	271300
2004	220.2	176428	68409	38375	101984	106784	271220
2005	250.1	177190	68900	38400	102025	107300	271500
2006	280.2	181430	69531	38579	102318	108110	271400
2007	314.5	181560	69600	38600	102619	102200	271190
2008	290.5	182219	69950	43973	113439	113923	2721294

ცხრილი 14 – გაგრძელება

წლები	სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია /მლნ.ლარი/	წარმოებული სოფლის მეურნეობის პროდუქცია					
		ერთ ჰა ფიზიკურ სავარგ. /ლარი/	ერთ ჰა სახნავზე /ლარი/	ერთ ჰა მრწლ.ნარგ/ლარი/	ერთ ჰა პირობითი სახნავზე /ლარი/	ერთ ჰა დამამუშავებაში მყოფი მიწაზე /ლარი/	მოსახლ. ერთ სულზე /ლარი/
1	2	9	10	11	12	13	14
2003	190.1	1333	2775	4861	1833	1766	700
2004	220.2	1248	3218	5738	2157	2062	811
2005	250.1	1411	3629	6513	2450	2330	921
2006	280.2	1544	4029	7263	2736	2592	1032
2007	314.5	1732	4518	8147	3059	2906	1159
2008	290.5	1594	4152	6606	2556	2549	1070

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა 2009.

როგორც ცხრილიდან ჩანს, დაწყებული 2003 წლიდან 2007 წლამდე თითქმის ყოველწლიურად იზრდებოდა სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია. 2007 წლამდე გაზრდილია 39.5 %-ით, მატებაა ერთ ჰექტარ სასოფლო-სამეურნეო სავარგულიდან მიღებული შემოსავლის 13.7 %-ით, ერთ ჰა სახნავზე-31.2 %-ით, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ ფართობზე-33.1 %-ით, ერთ ჰა დამუშავებაში მყოფი მიწებიდან-31.9 %-ით. მცირედი კლებაა 2007 წლის მაჩვენებლებსა და 2008 წლის მაჩვენებლებს შორის. კერძოდ, ერთ ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგულზე შემცირებულია შემოსავალი 8 %-ით, ერთ ჰა სახნავზე-8.1 %-ით, ერთ ჰა მრავალწლიან ნარგავზე 9 %-ით, ერთ ჰა დამუშავებაში მყოფ მიწებზე -12 %-ით, ერთ სულ მოსახლეზე 7.7 %-ით.

მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა . მიწის ფუნქცია, როგორც სივრცობრივი საოპერაციო ბაზისი, ფუნდამენტი და საძირკველი, მეტად დიდია და გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს გადამამუშავებელ მრეწველობაში. ნებისმიერი საწარმოს ფორმირებისა და გამართული ფუნქციონირების ერთ-ერთი უტყუარი და საიმედო გარანტი ხელსაყრელი ტერიტორიული პირობებია. აღნიშნულზეა დამოკიდებული ინფრასტრუქტურის კეთილმოწყობა, საწარმოს მუშახელით უზრუნველყოფა, ნაწარმის გასადების პუნქტების სიახლოვე და მრავალი სხვა, რაც თავისთავად განსაზღვრავს საწარმოს შემოსავლიანობას და საწარმოში დასაქმებული ხალხის კეთილდღეობას.

რეგიონში 240-მდე სამრეწველო საწარმო ფუნქციონირებს, რომელიც საშუალოდ 35 მლნ ლარის პროდუქციას უშვებს. მრეწველობის დარგებიდან განვითარებულია: ხე-ტყის გადამამუშავება; ჩაის გადამამუშავება; თხილის გადამამუშავება; ეთერზეთების, საშენ მასალათა წარმოება; კვების მრეწველობა, თევზის მრეწველობა.

მხარის მცირე ბიზნესის ფუნქციონირების არსებითი სფეროა კვების მრეწველობა და სოფლის მეურნეობა, რომლებიც ქმნიან გადამამუშავებელი მრეწველობის მაპროფილებელ დარგს—ჩაის, ღვინის, ციტრუსების, ხილბოსტნეულის კონსერვების, მინერალური წყლების, თამბაქოს, ასევე ადგილობრივი მნიშვნელობის დარგების პროდუქციის წარმოება. მრეწველობის 75 %-მდე მოდის კვების მრეწველობაზე. ფუნქციონირებს 20–მდე ჩაის ფაბრიკა; ელექტროტექნიკური, ჰიდრომექანიზმების, გემთსარემონტო ქარხნები და წისქვილკომბინატი.

მინერალური რესურსები. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, საკვლევი ობიექტი საკმაოდ მდიდარია მინერალური რესურსებით. მიწის ფონდი, როგორც სივრცობრივი საოპერაციო ბაზისისა და თავისებური ბუნებრივი საწყობის ფუნქციონალური როლი საკმაოდ დიდი წვლილითაა წარმოდგენილი რეგიონში.

სათბობ–ენერგეტიკული ნედლეულის, კეთილშობილი ფერადი და იშვიათი მეტალების, სამშენებლო მასალების და მინერალური წყლების გამოყენების საკითხის შესწავლა ცხადყოფს, რომ წიაღისეულის კვლევა–ძიება და მნიშვნელოვანი წილის მოპოვება ჯეროვნად იყო ორგანიზებული სოციალისტური წყობილების პერიოდში. განსაკუთრებით ეს ითქმის სამკურნალო და სასმელ წყალზე.

ქვეყანაში მომხდარმა ცვლილებებმა, სოციალურ–ეკონომიკური და კულტურული ცხოვრების რადიკალურად შეცვლამ, მიმდინარე კატაკლიზმებმა მთლიანად გააჩერა და გაყინა რეგიონის წიაღისეულის კვლევა–ძიებისა და მოპოვების სამუშაოები. დღეს ნაწილობრივ, უსისტემოდ და ველური წესებით წარმოებს ძირითადად სასმელი და სამკურნალო მინერალური წყლების გამოყენება. არა და ის დიდი პოტენციალი და შესაძლებლობები, რაც რეგიონის წიაღისეული სიმდიდრეს გააჩნია დიდი როლის შემსრულებლად შეიძლება

წარმოჩნდეს მხარის სოციალურ-ეკონომიკურ და კულტურულ ცხოვრებაში. საჭიროა ამ საქმის ახლებური გააზრებითა და მიდგომით წარმართვა და საქმის წარმოების საერთო ეროვნულ მეურნეობაში ჩართვა.

მინერალური წყლების საბადოებიდან ზუგდიდის რაიონის ტერიტორიაზე ნაწილობრივ ფუნქციონირებს ძველი ხიბულის, ურტას, ძველი აბასთუმანის და ცაიშის საბადოები. სულ 2002 მ³ დღე-ღამეში; ასევე ხობის რაიონის ტერიტორიაზე-ბიის, ყულევის, ხორგას მიდამოებში-სულ 656 მ³ დღე-ღამეში; სენაკის რაიონის ტერიტორიაზე-მენჯის და სახარბედიოს მიდამოებში სულ 768 მ³ დღე-ღამეში; მარტვილის რაიონის ტერიტორიაზე-ლებარდეს, ნაქალაქევის საბადოები-სულ 10 მ³ დღე-ღამეში; ჩხოროწყუს რაიონში-ლუგელა-22 მ³ დღე-ღამეში; და წალენჯიხის რაიონის ტერიტორიაზე-სქური-64 მ³ დღე-ღამეში; სასმელი და სამკურნალო წყლის ჯამური ეკონომიკური პოტენციალი 3439.4 მილ. დოლარია.

-ტორფის ძირითადი საბადოები განთავსებულია ოთხ ადგილზე: ზუგდიდის რაიონში ანაკლიის, ხობის რაიონში ჭურის და ნაბადის; მარტვილის რაიონში ოცანცალეში. გარდა ამისა რეგიონში ცნობილია ტორფის მცირემასშტაბიანი საბადოები: ზუგდიდის რაიონში-ჩათაუკალას; მარტვილის რაიონში ჩხოფის და ეწერის საბადოები, წალენჯიხის რაიონში-წაკიპულის საბადო. საერთო მარაგი 48 მლნ ტონაა. ამ სფეროს ეკონომიკური პოტენციალი სულ 333.2 მლნ აშშ. დოლარია.

-ფერადი ლითონების საბადოებიდან აღსანიშნავია: ოქროს 103.7 ტონის ოდენობით; ტყვიის-300 ათასი ტონა, თუთიის-370 ათასი ტონა, სპილენძის-376 ტონა, კობალტის-6 ტონა და ვერცხლის-8.4 ტონა. სულ-1046 ათას 118 ტონა. ამ სფეროს ეკონომიკური პოტენციალი 2985.86 მლნ აშშ. დოლარს შეადგენს.

–მოსაპირკეთებელი ქვები მაგმური ქანების საბადოები მოიპოვება მარტვილის, ჩხოროწყუს რაიონებში სულ 7111 ათასი მ³. მარაგის ეკონომიკური პოტენციალი შეფასებულია 317 მლნ დოლარად.

–საკირე კირქვის საბადოები განთავსებულია სენაკის და ზუგდიდის რაიონში 10326 ათასი მ³ მოცულობით.

–სააგურე თიხა მოიპოვება წალენჯიხის, ჩხოროწყუს, ზუგდიდის, სენაკის, მარტვილის და ხობის რაიონებში–სულ 13267 ათასი მ³. მარაგი შეფასებულია 249.8 მლნ დოლარად.

–თაბაშირის საბადო განთავსებულია წალენჯიხის რაიონში 12584 ათასი ტონა მარაგით. შეფასებულია 319 მლნ. დოლარად.

–სახერხის ქვის და ღორღის ნედლეული–კირქვის საბადოებია მარტვილის, სენაკის, ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონებში–მარაგი 25033 ათასი მ³, მარაგის ეკონომიკური პოტენციალი 248 მლნ. აშშ. დოლარი.

–სამშენებლო ქვიშა–ხრეშის საბადოები განლაგებულია–სენაკის, წალენჯიხის და აბაშის რაიონის ტერიტორიებზე–119162 ათასი მ³. მისი ეკონომიკური პოტენციალი შეადგენს 952 მლნ დოლარს.

–სათბობ–ენერგეტიკული ნედლეულიდან ნავთობისა და გაზის საბადოები განლაგებულია ფოთი–ნაბადის დასავლეთით–ჭალადიდის, ქვალონის და აღმოსავლეთ ჭალადიდის მიდამოებში; ფოთი–ნაბადის უბანზე დღე–ღამეში ჭაბურღილიდან მიღებულია რამოდენიმე ასეული კუბური მეტრი ნავთობი, ჭალადიდის უბანზე 10 მ³ დღე–ღამეში.

–ნახშირის მარაგი განლაგებულია წალენჯიხის რაიონის ნუდინის მიდამოებში–324 ათასი ტონის რაოდენობით. მდ. მაგანას ხეობაში ნახშირის წყლების სიმძლავრე 20–120 მეტრამდე აღწევს. ექსპერტები რეგიონის წიაღისეულის ჯამურ ეკონომიკურ პოტენციალს 6436.3 მლნ. აშშ. დოლარად აფასებენ. რა თქმა უნდა ზემოთ მოტანილი ციფრები მიახლოებითია. ნაწილი საბადოებისა შეფასებული არ არის.

რეკრეაციული რესურსები. მიწას, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ობიექტს და მატერიალურ საფუძველს განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს რეკრეაციული მეურნეობის სივრცობრივი საოპერაციო ბაზისის ფორმირებაში. საქართველოს სინამდვილეში მიწის აღნიშნული ფუნქცია საზოგადოებრივი ცხოვრების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ატრიბუტია. ქვეყნის უნიკალური და იშვიათი ბუნებრივი პირობები იძლევა ადამიანის დასასვენებელი და გამაჯანსაღებელი გარემოს შექმნის ყველა საშუალებას. მეტად მიმზიდველი და თვალწარმტაცია საკვლევი ობიექტის მრავალფეროვანი პირობები, მთიანი სამეგრელო და ოდიშის ბარი თავისი ნაირგვარი და მდიდარი ლანდშაფტებით—ზღვით, მთებით, მთისწინებით და გაშლილი ვაკეებით, ნოტიო, ზომიერი, რბილი და სუბტროპიკული ჰავით. მხარის ლამაზი ტყის ლანდშაფტები და მათი ვერტიკალური ზონალობა განსაზღვრავს რეკრეაციულ-ტერიტორიულ ღირებულებებს. მხარე მდიდარია მდინარეებით, ტყით, ტბებით, ნაირგვარი მინერალური წყლებით და ზღვით. [51] ოდიშგანვე არსებობდა და ფუნქციონირებდა სამეგრელოს სამკურნალო-გამაჯანსაღებელი კურორტები: მენჯი, ლეზარდე, სქური, ნოქალაქევი. საქართველოს პრეზიდენტის 2005 წლის 22 ივლისის №655 ბრძანებით დამტკიცებულ საკურორტო ადგილების ნუსხაში შეტანილია სამეგრელოს პერსპექტიული კურორტების დასახელება: ანაკლია, ლეზარდე, მალთაყვა, მენჯი, ნოქალაქევი, სქური, ცაიში, ჭკადუაში და ქვალონი. ყველა აღნიშნული ადგილები დამშვენებულია საკვლევი რეგიონის თვალწარმტაცი ტბებით, კასტრული მღვიმეებით, ჩანჩქერებით, ისტორიულ-არქიტექტურული ძეგლებით და კოლხეთის ეროვნული პარკით, რომელიც მოქცეულია მდ. ენგურისა და ხობის წყლის შესართავს შორის, იქმნება ტურისტულ-რეკრეაციული

კომპლექსი, რომელსაც რეგიონში საკმაოდ მნიშვნელოვანი ფართობი უჭირავს.

რეგიონის რეკრეაციული რესურსების პოტენციალის შესწავლა და ანალიზი ნათელყოფს, რომ მხარე საკმაოდ მდიდარია სამკურნალო (გოგირდ – წყალბადოვანი, ქლორ – ნატრიუმიანი და სულფატ – ქლორიან, ნატრიუმიან – კალციუმიანი) თერმული და ჰიპოთერმული წყლებით, სასმელი წყლებით, ტბებით, მდინარეებით, ზღვით, ტყით, თბილი, რბილი და სუბტროპიკული ჰავით, რაც თავის მხრივ რეკრეაციული მეურნეობის განვითარების დიდ შესაძლებლობაზე მეტყველებს და მომავალში რეგიონის ეროვნული მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული წინსვლის უტყუარ და საიმედო გარანტად გვესახება.

ტყის რესურსები. რეგიონის ტყეებს 161 ათასი ჰექტარი ფართობი უკავია. თავისი მრავალფუნქციური მნიშვნელობით – მერქნის დამზადება, დაცვითი, წყალშენახვითი, სანიტარულ – ჰიგიენური, რეკრეაციულ – გამაჯანსაღებელი და სხვა. ტყეს რეგიონის განვითარების არეალში დიდი მნიშვნელობა აქვს. ოდიშის სატყეო მეურნეობაში გამოყოფილია: საკურორტო ტყეები–3356 ჰა და ნიადაგდაცვითი ტყეები 70220 ჰა. მ.შ. ბარის ტყეები 2427 ჰა. მარტვილის სატყეო მეურნეობაში გამოყოფილია: მწვანე ზონის ტყეები 1295 ჰა, საკურორტო ტყეები 1462 ჰა და ნიადაგდაცვითი ტყეები 42869 ჰა, მ.შ. ბარის ტყეები 229 ჰა, კოლხეთის სატყეო მეურნეობაში გამოყოფილია მწვანე ზონისა 5050 ჰა და ნიადაგდაცვითი ტყეები 36754 ჰა, მ.შ. ბარის ტყეები 15083 ჰა. რეგიონის ტყეების მერქნის მარაგი ნაანგარიშებია სულ 19915 ათასი კუბური მეტრი. აქედან წიწვოვანები – 3789, მაგარფოთლოვანები – 13290, რბილფოთლოვანები – 2542, დანარჩენი მერქნიანი სახეობები – 294 ათასი კუბური მეტრი.

რეგიონის მრავალფეროვანი და მდიდარი ტყის რესურსები მხარის სოციალურ-ეკონომიკური და კულტურული განვითარების მრავალმთქმელი და საიმედო გარანტია.

თავი II. მიწის გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრის კრიტერიუმები და მაჩვენებლები

2.1 მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა.

დედამიწაზე დღეისათვის არსებულ გლობალურ პრობლემათა შორის სასურსათო პრობლემას განსაკუთრებული ადგილი უკავია. იგი უფრო აქტუალური გახდა მოსახლეობის ზრდამ და ბოლო წლებში განვითარებულმა უარყოფითმა ბუნებრივმა მოვლენებმა. ამ პრობლემის აქტუალურობას აძლიერებს თანამედროვე მსოფლიოში სახნავი მიწის თანდათანობითი შემცირების ტენდენცია (სამრეწველო დანიშნულებით, ქალაქშენებლობისათვის და სხვ).

საზოგადოებისათვის საჭირო მატერიალური დოვლათის შექმნაში მიწას ფასდაუდებელი მნიშვნელობა ენიჭება. განსხვავებით წარმოების სხვა ძირითადი საშუალებებისაგან, მიწა მუდმივად გამოყენებადი და წარმოების შეუცვლელი ძირითადი საშუალებაა. მისი სრული პოტენციალის ეკონომიკური რეალიზება შესაძლებელია მხოლოდ მეურნეობის რაციონალურად გაძღოლის, სასოფლო-სამეურნეო წარმოების თანმიმდევრული ინტენსიფიკაციის, სპეციალიზაციის და სხვა ფაქტორების კომპლექსური მოქმედების პირობებში. წინააღმდეგ შემთხვევაში, არასწორი ანთროპოგენული ზემოქმედება, ქარისმიერი და წყლისმიერი ეროზიული პროცესების განვითარება და სხვა ნეგატიური მოვლენები მინიმუმამდე ამცირებს მიწის ნაყოფიერებას და საბოლოოდ გამოუსადეგარს ხდის მას სასოფლო-სამეურნეო მიზნებისათვის.

მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მასზე წარმოებული ნატურალური პროდუქციის მოცულობით ან ღირებულებით. ამასთან, მიწის, როგორც წარმოების განსაკუთრებული რესურსის, თავისებურებების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ბრუნვაში ჩადებული მიწის რეალური ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენისათვის. კერძოდ, თანამედროვე პირობებში აუცილებელია ფართობის ერთეულზე არა მარტო მეტი პროდუქციის მიღება, ხარისხის ამაღლება და დანახარჯების შემცირება, არამედ მიწის მდგრადი გამოყენება, რაც უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებასა და გარემოს რაც შეიძლება ნაკლებ დაბინძურებაში გამოიხატოს.

წარმოების ეფექტიანობა ზოგადი კატეგორიაა და მოიცავს ტექნიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ ეფექტიანობას. წარმოების ტექნიკური ეფექტიანობა დაკავშირებულია პროდუქციის წარმოების პროცესში წარმოების იარაღების არსებით გაუმჯობესებასთან, რომელიც საშუალებას მოგვცემს ავამაღლოთ ტექნიკის გამოყენების ეფექტიანობა.

წარმოების სოციალური ეფექტიანობა გულისხმობს მეცნიერულ-ტექნიკური სიახლეების დანერგვის შედეგად წარმოების პროცესში დასაქმებულ მომუშავეთა შრომის შემსუბუქებას და შრომისუნარიანობის შენარჩუნებას.

წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობა უკავშირდება რესურსების რაციონალურ გამოყენებას. მოცემულ შემთხვევაში ყოველგვარი ეფექტიანობა ერთობლივ კომპლექსში უზრუნველყოფს წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას. ეკონომიკური ეფექტი გვიჩვენებს წარმოების შედეგებს აბსოლიტურ მაჩვენებლებში (კილოგრამებში, მეტრებში, ლიტრში და ა.შ.). ეკონომიკური ეფექტიანობა შეფარდებითი

მაჩვენებელია და გვიჩვენებს წარმოების შედეგი რა რაოდენობის რესურსების (დანახარჯების) გამოყენების საფუძველზე იქნება მიღებული, ე.ი. ეკონომიკური ეფექტიანობის განსაზღვრისათვის პროდუქციის წარმოების პროცესში მიღებული შედეგები (ნატურალურ და ღირებულებით ფორმაში) შევუფარდოთ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს.

მოგება-წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მნიშვნელოვანი მაჩვენებელია და საბაზრო ეკონომიკის საბოლოო მიზანს წარმოადგენს. საწარმოს დონეზე განასხვავებენ: მთლიან (საბალანსო) მოგებას, საწარმოს წმინდა მოგებას; ეკონომიკურ მოგებას და ნორმალურ მოგებას.

მთლიანი (საბალანსო) მოგება მოიცავს საწარმოს ყოველგვარი საქმიანობიდან მიღებულ და (ყოველგვარი დაქვითვების გარეშე) ბალანსში სრულად ასახულ მოგების მთელ თანხას.

საწარმოს წმინდა მოგება არის საწარმოს მთლიან მოგებას გამოკლებული სავალდებულო გადასახადები, იგი საწარმოს განკარგულებაშია და მთლიანად გამოიყენება საწარმოს ხელმძღვანელობის შეხედულების მიხედვით.

ეკონომიკური მოგება არის სხვაობა მთლიან შემოსავალს და პირდაპირ (აშკარა) და ფარულ (ალტერნატიული) დანახარჯების ჯამს შორის.

ნორმალური მოგება არის ის დონე, რომელიც ნაკლები არ არის იმასთან შედარებით, რაც შეიძლება მეწარმემ მიიღოს რესურსების უფრო ეფექტიანი ვარიანტით გამოყენებისას. [38]

ფერმერს საქმიანობის პროცესში ხშირად უჩნდება კითხვა, გააგრძელოს თუ არა დაწყებული საქმიანობა. პასუხი გამომდინარეობს წარმოების რენტაბელობის მაჩვენებლიდან. საწარმოს რენტაბელობა გულისხმობს ისეთ მუშაობას, როდესაც პროდუქციის

რეალიზაციის შედეგად მიღებული ამონაგები ფარავს პროდუქციის წარმოებაზე და რეალიზაციაზე გაწეულ დანახარჯებს. სამეურნეო საქმიანობის რენტაბელობის დასადგენად მოგების მასას უფარდებენ ამ პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ დანახარჯებს და გამოსახავენ პროცენტებში. სწორედ რენტაბელობის მაჩვენებელი არის წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის მთავარი მაჩვენებელი.

რენტაბელობის ამაღლებაზე უამრავი ფაქტორი მოქმედებს, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდ არიან დაკავშირებული. რენტაბელობის დონეზე მოქმედებს სამი ფაქტორი:

1. მთლიანი პროდუქციის წარმოების ზრდა. 2. წარმოებული პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. 3. სარეალიზაციო ფასები. რენტაბელობის მთავარი და გადამწყვეტი გზაა პროდუქციის თვითღირებულების შემცირება. სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის თვითღირებულებაში აისახება ამა თუ იმ პროდუქციის წარმოებაზე სასოფლო-სამეურნეო საწარმოების მიერ გაწეული დანახარჯების ერთობლიობა ფულად ფორმაში გამოხატული, ხოლო პროდუქციის ერთეულის თვითღირებულებაში კი წარმოების დანახარჯები გაანგარიშებული წარმოებული პროდუქციის ერთეულზე.

მოწინავე ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა, პირველ რიგში წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, წარმოადგენს წარმოების რენტაბელობის ამაღლების ძირითად გზას. ტექნიკური პროგრესის უმნიშვნელოვანესი შედეგი და შრომის ნაყოფიერების ერთ-ერთი ძირითადი გზაა არსებული საწარმოო სიმძლავრეების გამოყენების გაუმჯობესება. გაუმჯობესებული მანქანა-დანადგარების, მექანიზაციის გამოყენებით მცირდება საერთო დანახარჯები, შენობა-ნაგებობების ამორტიზაციის ანარიცხები, აგრეთვე სხვა ზედნადები ხარჯები პროდუქციის ერთეულზე.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ერთ-ერთი მაჩვენებელია ასევე, შრომის ნაყოფიერება. შრომის ნაყოფიერების პრობლემა ნებისმიერი საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციის ძირითად საკვანძო საკითხთა რიცხვს მიეკუთვნება და მას განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა. ვინაიდან, რაც უფრო ნაკლები შრომაა დახარჯული ამა თუ იმ პროდუქციის შექმნაზე, მით მეტია მისი კონკურენტუნარიანობა ბაზარზე. სასოფლო-სამეურნეო შრომის ეფექტიანობა გამოიხატება ერთობლივი (ცოცხალი და განივთებული) შრომის ეკონომიით. ამასთან, ტექნიკური აღჭურვილობის ზრდასთან ერთად იზრდება განივთებული შრომის წილი და მცირდება ცოცხალი შრომის წილი. თავის მხრივ შრომის ნაყოფიერების ამაღლება ამ დარგში დამოკიდებულია წარმოებული პროდუქციის მოცულობაზე, მის ხარისხობრივ პარამეტრებზე და გაწეულ შრომით დანახარჯებზე. ამდენად, აღნიშნულ დარგში შრომის ნაყოფიერების ამაღლების ღონისძიებებს მიეკუთვნება ის კომპლექსი, რომელიც მიმართულია პროდუქციის მოცულობის ზრდის, ხარისხის გაუმჯობესების და შრომითი დანახარჯების შემცირებისაკენ.

როგორც ცნობილია, სხვადასხვა ნიადაგზე ერთი და იმავე კულტურის წარმოება განსხვავებულ შედეგს იძლევა, რაც იმითაა გამოწვეული, რომ ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს ნიადაგს (მასში შემავალ საკვებ ნივთიერებებს). ერთი კულტურისათვის ვარგისი ნიადაგი შეიძლება ნაკლებად გამოსაყენებელი იყოს მეორე კულტურისათვის. ეს თავისებურება განპირობებულია მცენარეთა ფიზიოლოგიური განსხვავებით და, აქედან გამომდინარე, ნიადაგში არსებულ საკვებ ნივთიერებებზე მათი სხვადასხვა მოთხოვნილებით. ამიტომ გამოთქმა ნაყოფიერი ნიადაგი არ შეიძლება იყოს ერთნაირად მისაღები ყველა სასოფლო-სამეურნეო კულტურისათვის. სასოფლო-სამეურნეო

დანისწულების მიწების სწორად და რაციონალურად გამოყენებისათვის აუცილებელია არა მარტო საერთო ეკონომიკური, არამედ ცალ-ცალკე ძირითადი სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ეფექტიანობის მიხედვით შეფასება, რასაც ამჟამად განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს, რადგანაც სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარებისათვის სახელმწიფო მარეგულირებელი ღონისძიებები გამიზნულია როგორც ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების, ასევე დარგების წარმოების საუკეთესო პირობებში ჩასაყენებლად.

მიწის ეკონომიკური შეფასება სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ეფექტიანობის მიხედვით, კონკრეტულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში გამოიყენება სასოფლო-სამეურნეო წარმოების რაციონალურად გაადგილების უზრუნველსაყოფად, რომლის დროსაც დახარჯული შრომისა და წარმოების საშუალებების ერთეულზე მიღებული იქნება მაღალი ეფექტი.

სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინაშე დასახული ამოცანების წარმატებით გადაჭრის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ფაქტორს მიწის რაციონალური გამოყენება წარმოადგენს, რაშიც განსაკუთრებული როლი მიწის სახელმწიფო კადასტრს ეკუთვნის.

კადასტრი გულისხმობს ბუნებრივი რესურსების რაოდენობრივ-ხარისხობრივ აღრიცხვას და შესწავლას, რესურსების ეკონომიკურ შეფასებას. მიწის ეკონომიკურ შეფასებაში იგულისხმება მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, შემოსავლიანობის დონე მიწის ხარისხისა და მიწის ნაკვეთის მდებარეობის გათვალისწინებით. მიწების ეკონომიკური შეფასება მოითხოვს მრავალი სახისა და დიდი რაოდენობის მასალების მოპოვება-დამუშავებას. საწარმოთა წლიური ანგარიშებიდან აიღება ნათესი ფართობების, მოსავლის, კონკრეტული პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების, მომუშავეთა რაოდენობის, ძირითადი

ფონდების ღირებულებისა და შეტანილი სასუქების მონაცემები. ხდება ნიადაგების ხარისხის შეფასება მისი ბუნებრივი ნიშან-თვისებებისა და სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის კორელაციური კავშირის მიხედვით, ანუ ნიადაგების ბონიტრებით. ბონიტრებაში იგულისხმება ნიადაგების კლასიფიკაცია პროდუქტიულობის მიხედვით, რაც ხორციელდება სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობაზე მოქმედი ბუნებრივი ნიშან-თვისებების საფუძველზე. ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურები განსხვავებულ მოთხოვნებს უყენებს ნიადაგურ პირობებს. ამიტომ ნიადაგის ბონიტრება უნდა განხორციელდეს კონკრეტული კულტურების მიხედვით, რადგან ერთი კულტურისათვის ნიადაგის განსაზღვრული თვისებები შეიძლება შეფასდეს მაღალი ბალით, ხოლო მეორისათვის-პირიქით. ამასთან შეფასება მარტო მოსავლიანობით არ ხორციელდება, რადგანაც ნიადაგის ხარისხთან ერთად მას განსაზღვრავს მცენარის ზრდა-განვითარებისათვის საჭირო პირობები, აგროტექნიკის დონე და ეკონომიკური მაჩვენებლები.

სამეგრელოს რეგიონის მიწების შეფასება სასოფლო-სამეურნეო
სავარგულების მიხედვით ბალებში

ცხრილი 15

№	რაიონების დასახელება	სახნავი	მრწ.ნარგ.
1	აბაშა	75	90
2	მარტვილი	71	83
3	ზუგდიდი	76	83
4	ხობი	71	80
5	წალენჯიხა	82	87
6	სენაკი	75	84
7	ჩხოროწყუ	77	82

ცხრილი შედგენილია საქართველოს ადმინისტრაციული რაიონების საშემფასებლო უწყისების საფუძველზე.

მიწის ეკონომიკური შეფასების შედეგი გამოიხატება ასბალიანი სისტემით და გვიჩვენებს, ესა თუ ის მიწა რამდენად კარგია ან ცუდი სხვა მიწასთან შედარებით. ამავე დროს განისაზღვრება ნიადაგის ხარისხის გავლენის დონე ისეთ ეკონომიკურ მაჩვენებლებზე, როგორცაა მთლიანი პროდუქცია, საერთო და წმინდა შემოსავალი, მოგება და სხვა.

მიწის შეფასების ძირითადი კრიტერიუმების შერჩევის საკითხებზე (1960-80-იანი წლები) მიმდინარეობდა ფართო დისკუსია. 1976 წელს სახელმწიფოს მიერ განისაზღვრა მიწების ეკონომიკური შეფასების ასპექტები და ძირითადი კრიტერიუმები. დადგინდა, რომ მიწის შეფასება უნდა ჩატარებულიყო ორ ასპექტში: 1. მიწის საერთო შეფასება, 2. მიწის შეფასება ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების ეფექტიანობის მიხედვით. პირველ შემთხვევაში შეფასების კრიტერიუმად მიღებულ იქნა მთლიანი პროდუქციის ღირებულება, დანახარჯების უკუგება და დიფერენციალური შემოსავალი. მეორე შემთხვევაში—მოსავლიანობა, დანახარჯების უკუგება და დიფერენციალური შემოსავალი (მაღალი ნაყოფიერებისა და უკეთესი ადგილმდებარეობის ნაკვეთებზე მიღებული დამატებითი წმინდა შემოსავლის ნაწილი).

ცალკეული სასოფლო-სამეურნეო კულტურების წარმოების ეფექტურობის მიხედვით მიწის ეკონომიკური შეფასება გვიჩვენებს განსხვავებული ხარისხის მქონე მიწების მწარმოებლურ შესაძლებლობას სხვადასხვა კულტურის მიმართ და მათი წარმოების ეკონომიკურ ეფექტიანობას. ამ მონაცემებზე დაყრდნობით შეიძლება განისაზღვროს სასოფლო-სამეურნეო კულტურათა საუკეთესო შემადგენლობა და ურთიერთშეფარდება, დადგინდეს ნათესების ყველაზე საუკეთესო სტრუქტურა საწარმოო სპეციალიზაციის ზონების, რაიონებისა და ცალკეული სასოფლო-სამეურნეო

საწარმოებისათვის, მიღწეულ იქნეს სასოფლო-სამეურნეო კულტურების ისეთი გაადგილება, რომლის დროსაც მოცემულ ბუნებრივ-ეკონომიკურ პირობებში შესაძლებელია ყველაზე მაღალი უკუგება დახარჯული შრომისა და წარმოების მატერიალური საშუალებებისა. [12]

სოფლის მეურნეობის დაგეგმვაში მიწის ეკონომიკური შეფასების მონაცემების გამოყენების ერთ-ერთი ძირითადი ამოცანაა იმ დონის განსაზღვრა, სადამდისაც შეიძლება გადიდდეს სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოება ფართობის ერთეულზე ნიადაგის ეკონომიკური ნაყოფიერების სრულყოფილი გამოყენებით. რა თქმა უნდა, ამ შემთხვევაში მხედველობიდან არ უნდა გამოგვრჩეს ის ღონისძიებები (მაგალითად, გასარწყავება, დაშრობა, გაკირიანება და ა.შ.), რომელთა გატარება განაპირობებს ნიადაგის ნაყოფიერების შემდგომ ამაღლებას.

როგორც ცნობილია, ესა თუ ის ნიადაგი თავის ნაყოფიერებას ავლენს ფართობის ერთეულზე მიღებული პროდუქციის რაოდენობით, ანუ კულტურების მოსავლიანობით. მ.ე. მოსავლიანობა არის ნიადაგის მწარმოებლობის უნარის გამომხატველი. მასში აისახება სხვადასხვანაირი ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებით გამოწვეული ნიადაგის განსხვავებული ნაყოფიერება, ამიტომ ცალკეულ კულტურათა წარმოების ეფექტიანობის მიხედვით მიწის ეკონომიკური შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად ავიღეთ ძირითად კულტურათა მოსავლიანობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურათა ეფექტიანობის მიხედვით მიწის ეკონომიკური შეფასება მოსავლიანობით აშუქებს საკითხის ერთ მხარეს-ნიადაგის ეკონომიკურ ნაყოფიერებას, მაგრამ სავსებით ვერ პასუხობს საკითხის მეორე მხარეს-მოცემული კულტურის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯების რაოდენობას, ე.ი. მოსავლიანობის სიდიდე მასზე გაწეული დანახარჯების გაუთვალისწინებლად არ იძლევა სრულ წარმოდგენას მიწის

ნაყოფიერების ხარისხზე. ამიტომ ფართობის ერთეულზე მიღებული მოსავლიანობის რაოდენობასთან ერთად მხედველობაში უნდა მივიღოთ მის წარმოებაზე გაწეული დანახარჯები.

ამრიგად, მიწის ეკონომიკური შეფასების კრიტერიუმად მოსავლიანობასთან ერთად უნდა ავიღოთ პროდუქციის ერთეულის თვითღირებულება და მოცემული კულტურის წმინდა შემოსავალი ერთ ჰექტარზე. თვითღირებულება ღირებულების ნაწილია და თავის თავში ასახავს შრომით და მატერიალურ დანახარჯებს კონკრეტულ პროდუქციაზე.

სოფლის მეურნეობის დამუშავებაში მყოფი მიწების ეკონომიკური შეფასება და მისი მონაცემების პრაქტიკაში გამოყენება ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის გაფართოებული კვლავწარმოების ტემპების დაჩქარებას, ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლებისათვის საჭირო ღონისძიებების სწორად გატარებას, ყოველი ჰექტარი მიწის გონივრულ გამოყენებასა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის განუხრეველ ზრდას. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის მაჩვენებლების ანალიზი საშუალებას გვაძლევს ობიექტურად შევაფასოთ არსებული მეურნეობის ეკონომიკური საქმიანობა.

მიწის, როგორც წარმოების ძირითადი საშუალების, გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობა განისაზღვრება მასზე წარმოებული ნატურალური პროდუქციის მოცულობით ან ღირებულებით. ამასთან, მიწის, როგორც წარმოების განსაკუთრებული რესურსის, თავისებურებების გათვალისწინებას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სამეურნეო ბრუნვაში ჩადებული მიწის რეალური ეკონომიკური ეფექტიანობის დადგენისათვის. კერძოდ, თანამედროვე პირობებში აუცილებელია ფართობის ერთეულზე არა მარტო მეტი პროდუქციის მიღება, ხარისხის ამაღლება და დანახარჯების შემცირება, არამედ

მიწის მდგრადი გამოყენება, რაც უპირველეს ყოვლისა, მიწის ნაყოფიერების შენარჩუნებასა და გარემოს რაც შეიძლება ნაკლებ დაბინძურებაში გამოიხატოს. [47]

მიწის ეკონომიკური შეფასების ობიექტია რეგიონის მიწის ფონდი, რომელიც იყოფა მიწათსარგებლობის კატეგორიებად და საოფლო-სამეურნეო სავარგულებად. სავარგულებს ახასიათებთ განსხვავებული ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერება. ბუნებრივი და ხელოვნური ნაყოფიერება ერთად ქმნიან ეკონომიკურ ნაყოფიერებას, რომელიც საბოლოო ანგარიშით აისახება საწარმოო ურთიერთობების ხარისხზე.

მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის გაანგარიშება ხდება სასოფლო-სამეურნეო სავარგულის ან მისი შემადგენელი ელემენტების (სახნავი, მრავალწლიანი ნარგავები, სათიბი და ა.შ.) ერთეულზე საერთო პროდუქციის, შემოსავლის და მოგების მიხედვით.

საკვლევი რეგიონის მიწების გამოყენების ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებლების გაანალიზების მიზნით, ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ოჯახური, ფერმერული მეურნეობები და სასოფლო-სამეურნეო საწარმოები.

მარტვილის რაიონის სოფ. დიდი ჭყონში ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ჩაის მწარმოებელი და გადამამუშავებელი კომპანია “ჯი-ჯი-ჯი”. მის საკუთრებაშია ჩაის პლანტაციები 200 ჰა-ზე, თანამედროვე ჩაის გადამამუშავებელი აპარატურით აღჭურვილი ფაბრიკა და საავტომობილო პარკი. პლანტაციები ქარხნიდან რამოდენიმე კილომეტრით არის დაშორებული, სადაც საუკეთესო ბუნებრივი პირობებია. კომპანიაში დასაქმებულია 400 ადამიანი. მუშაობა სეზონურია. თანამედროვე ტექნოლოგიით იწარმოება უმაღლესი ხარისხის პროდუქცია, რომელსაც მინიჭებული აქვს ევროპული

ხარისხის სერთიფიკატი. 2009 წლის მონაცემებით, კომპანიის წლიური დანახარჯი შეადგენს 100 000 ლარს, აქედან 37 200 ლარი მატერიალურ ხარჯებს ეკუთვნის, /200 ჰა-ზე საჭიროა 60 ტ. სასუქი. 1 ტ. სასუქის ფასი 620 ლარი/. პლანტაციაში სრულდება ხელით სამუშაოები. 200 ჰა-დან მოსავლიანია 105 ჰა. საჰექტარო მოსავლიანობა შეადგენს 3 ტონას. ე. ი. წელიწადში კომპანია ღებულობს 315 ტონა ჩაის ნედლეულს. გადამუშავებული პროდუქციის გატანა ხდება უკრაინაში. 1 კგ. პროდუქციის სარეალიზაციო ფასი 1.80 ლარია. მიღებული პროდუქციის მთლიანი ღირებულება შეადგენს 142 200 ლარს. წლიური დანახარჯებისა და გადასახადის გადახდის შემდეგ კომპანიის განკარგულებაში რჩება 35 870 ლარი. მოგება ერთ ჰა-ზე შეადგენს 342 ლარს. რენტაბელობის დონე 35.8 %-ია. /იხ. ცხრ. 16/

ჩაის პლანტაციაზე ჩატარებული იყო მძიმე გასხვლა, რაც აისახა ამჟამინდელ მოსავლიანობაზე, ამიტომ კომპანიის თანამშრომლები უახლოეს ორ-სამ წელიწადში ვარაუდობენ მოსავლიანობის გაზრდას 5 ტონამდე. შესაბამისად მოსავლიანობის გაზრდასთან ერთად მოიმატებს მოსავლიანი პლანტაციის ფართობიც და კომპანია საკმაოდ მომგებიანი იქნება.

ჩაის მწარმოებელი და გადამამუშავებელი კომპანია “ჯი-ჯი-ჯი“-ის
ეკონომიკური მაჩვენებლები

№	მაჩვენებლების დასახელება	ზომის ერთეული	წ ლ ე ბ ი		
			2007	2008	2009
1	ფართობი	ჰა	200	200	200
2	მ.შ. მოსავლიანი ფართობი	ჰა	80	90	105
3	დასაქმებული მუშახელის რაოდენობა	კაცი	400	400	400
4	მ.შ. მუდმივი	კაცი	15	15	15
5	სეზონური	კაცი	385	385	385
6	მოსავლიანობა	ტ/ჰა	2.8	3.0	3.0
7	მთლიანი მოსავალი	ტ.	224	270	315
8	გადამუშავებული პროდუქციის რაოდენობა	ტ.	56	68	79
9	გადამუშავებული 1 ტონა მზა ჩაის გასაყიდი ფასი	ლარი	1 500	1 650	1 800
10	პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა	ლარი	84 000	112 200	142 200
11	ჩაის წარმოებაზე გაწეული მთლიანი ხარჯები	ლარი	76 000	87 000	100 000
12	მ.შ. მოსავლიან ფართობზე დანახარჯი	ლარი	50 000	56 250	65 500
13	1 ტონა მზა ჩაის თვითღირებულება	ლარი	893	827	829
14	კომპანიის მოგება	ლარი	8 000	25 200	42 200
15	მოგების გადასახადი	ლარი	1 200	3 780	6 300
16	კომპანიის წმინდა მოგება	ლარი	6 800	21 420	35 870
17	მოგება 1 ჰა-ზე	ლარი	34	107	342
18	რენტაბელობის დონე	%	9	24	35.8

სენაკის რაიონში მერქეული მეცხოველეობის მეურნეობა
კოოპერატივი “ტყირი. “

1998 წ. განხორციელდა პროექტი “რძის სექტორის განვითარება საქართველოში–თანმიმდევრული მიდგომა”. ბიუჯეტი 1 196 000 ლარი. პროექტი განხორციელდა ჰოლანდიურმა ფირმა “ინტერნეიშენმა”. დონორი ორგანიზაცია იყო ჰოლანდიის ურთიერთდახმარების სააგენტო “სენტესი”. 2000 წელს ამავე ობიექტზე განხორციელდა II პროექტი “ქართული ფერმენტირებული რძის გადამუშავება და მარკეტინგი”.

I პროექტით შემოყვანილი იქნა ჰოლუმბინოფრიზის ჯიშის 68 სული უშობელი ორ პარტიად. ყველა 20–22 თვის, 7–8 თვის მაკეობით. შემოტანილი იქნა სასოფლო–სამეურნეო მანქანა–იარაღები, საკვებწარმოებისათვის საჭირო ტექნიკით და ტექნოლოგიით. პროექტის ფარგლებში ადგილობრივი სამი სპეციალისტი მიწვეული იყო ჰოლანდიაში და მათ გაიარეს 2 თვიანი სწავლება ლარენშტეინის სასოფლო–სამეურნეო კოლეჯში.

ამავე პროექტით დაინერგა ნიადაგის მართვის ტექნოლოგია, რომელიც ითვალისწინებდა პროტეინით მდიდარი საკვების წარმოებას, ისეთი ანგარიშით, რომ პიურუტყვს უნდა მიეღო თავისი ცოცხალი წონის 4 % მშრალი ნივთიერება, საიდანაც 16–17 % პროტეინი იქნებოდა. საკვების დასაბალანსებლად დამუშავებული იქნა სიმინდის სილოსის წარმოების ევროპული ტექნოლოგია, რომელიც გულისხმობს, მის წარმოებას შემავრების პროცესში. სიმინდის ადგება ხდება სპეციალური კომბაინით ე.წ. “ჩოპერით”, რომელიც სასილოსე მასას აქუცმაცებს ისეთ დონეზე, რომ დაუზიანებელი არ რჩება სიმინდის არცერთი მარცვალი. სიმინდის გარდა სილოსი მზადდება მრავალწლიანი ბალახებისგანაც, რომლისთვისაც შეირჩა კონდრის ოჯახის ბალახები. ევროპული ტექნოლოგიები დაინერგა ჯოგის

მართვაში, სანაშენო საქმეში უშობლების გამოზრდა, რაც ნიშნავს 14 თვის ასაკში 400–450 კგ-მდე მისვლას და ამ წონაში დაგრილებას.

აღნიშნულის დანერგვით 2009 წლისათვის შესაძლებელი გახდა საფურაჟე წველადობა 6 670 ლიტრამდე გაზრდილიყო. /305 ლაქტაციის დღე/.

ფერმის ტერიტორია მთლიანობაში განლაგებულია 208 ჰექტარზე, აქედან სახნავს უკავია 158 ჰა. რძის წლიური წარმოება შეადგენს 1000 ტონას. დანახარჯი 420 000 ლარია. ერთი ლიტრი რძის თვითღირებულება 42 თეთრია. წარმოებული რძე 60 თეთრად მიეყიდება რძის გადამამუშავებელ საწარმოს. კომპანიის წლიური შემოსავალი 600 000 ლარს შეადგენს.

მერძეული ფერმის მთლიანი ხარჯის სტრუქტურა ასე გამოიყურება:

საკვებწარმოების წილი–60 %,

თანამშრომელთა ხელფასი–30 %.

სხვა ზედნადები ხარჯები–10 %.

თანამშრომელთა საშუალო ხელფასი 450 ლარია. კომპანიის წმინდა მოგება შეადგენს 153 000 ლარს. რენტაბელობის დონე 36.4 %-ია. /იხ. ცხრ. 17/

სენაკის რაიონის მერქეული მეცხოველეობის მეურნეობა კოოპერატივი “ტყირო“-ს
ეკონომიკური მაჩვენებლები

№	მაჩვენებლების დასახელება	ზომის ერთეული	წ ლ ე ბ ი		
			2007	2008	2009
1	ფართობი	ჰა	208	208	208
2	მ.შ. სახნავი	ჰა	158	158	158
3	კომპანიაში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობა	კაცი	8	8	8
4	ფურების რაოდენობა	სული	110	125	150
5	წლიური წველადობა ერთ ფურზე	კგ	5 200	6 200	6 670
6	წარმოებული რძის რაოდენობა წელიწადში	ტონა	572	775	1 000
7	ერთი ტონა რძის სარეალიზაციო ფასი	ლარი	560	580	600
8	კომპანიის წლიური შემოსავალი	ლარი	320 320	449 500	600 000
9	პროდუქციის წარმოებ. გაწეული ხარჯები	ლარი	270 000	350 000	420 000
10	მ.შ. საკვებწარმოების ხარჯები	ლარი	146 000	190 000	252 000
11	ხელფასი	ლარი	93 000	120 000	126 000
12	ზედნადები ხარჯები	ლარი	31 000	40 000	42 000
13	ერთი ტ. რძის თვითღირებულება	ლარი	541	516	420
14	კომპანიის მოგება	ლარი	50 320	99 500	180 000
15	მოგების გადასახადი /15 %/	ლარი	7 548	14 925	27 000
16	კომპანიის წმინდა მოგება	ლარი	42 772	84 575	153 000
17	მოგება ერთ ფურზე	ლარი	388.8	676	1 020
18	მოგება ერთ ჰა სახნავზე	ლარი	205.6	406.6	968
19	ერთ საშ. წლიურ მუშაკზე წარმოებ. როდუქტ. ღირებულება	ლარი	40 040	56 188	75 000
20	რენტაბელობის დონე	%	15.8	24.16	36.4

ჩხოროწყუს რაიონის სოფელი ხაბუმე-რევაზ შენგელიას ოჯახური მეურნეობა. საქმიანობა-მეფუტკრეობა. 2009 წლის მონაცემებით, 1 000 მ² ფართობზე განთავსებული აქვს ფუტკრის 100 ოჯახი. ფუტკრის მოვლა-თაფლის წარმოება ოჯახს წელიწადში უჯდება 6 500 ლარი. მეურნეობას ყავს ორი ძირითადი მუშა /მომვლელი/. ზაფხულში უწევთ ფუტკრის ოჯახების გადაყვანა მთაში, ხოლო ზამთარში ჭაღადიდის ტერიტორიაზე. ამ პროცესში მათ ეხმარებათ დამატებით 3 მუშა. წელიწადში ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა მატულობს დაახლოებით 30 ოჯახით. წარმოებული თაფლის რაოდენობა შეადგენს 1 200 კგ-ს. ერთი კგ თაფლის სარეალიზაციო ფასი ადგილზე 10 ლარია. ამდენად, წლიური შემოსავალი შეადგენს 12 000 ლარს, მოგება კი 5 500 ლარს უტოლდება. /იხ. ცხრ. 18/

ცხრილი 18

ოჯახური მეურნეობის ეკონომიკური მონაცემები /მეფუტკრეობა/

№	დასახელება	ზომის ერთეული	წ ლ ე ბ ი		
			2007	2008	2009
1	ფართობი	ჰა	0.05	0.08	0.1
2	ფუტკრის ოჯახთა რაოდენობა	სკა	50	80	100
3	დასაქმებული მუშახელი	კაცი	3	4	5
4	მ.შ ძირითადი	კაცი	2	2	2
5	დამხმარე	კაცი	1	2	3
6	წლიური დანახარჯი სულ	ლარი	2 500	4 500	6 500
7	წარმოებული პროდუქციის რაოდენობა	კგ	500	800	1 200
8	ერთეული პროდუქციის გასაყიდი ფასი	ლარი	7	8	10
9	პროდუქციის რეალიზაც. ამონაგები	ლარი	3 500	6 400	12 000
10	მოგება	ლარი	1 000	1 900	5 500
11	რენტაბელობის დონე	%	40	42	84

ამავე რაიონში შევისწავლეთ სიმინდის მწარმოებელი ოჯახური მეურნეობა. კვლევის მონაცემები მოცემული გვაქვს ცხრილში 19.

ცხრილი 19

სიმინდის წარმოებაზე გამოვლენილი ეკონომიკური მაჩვენებლები
ჩხოროწყუს რაიონის სოფ. მუხურში გ. გახარიას ოჯახური მეურნეობის
მაგალითზე

№	მაჩვენებლების დასახელება	ზომის ერთეული	წ ლ ე ბ ი		
			2007	2008	2009
1	ფართობი	ჰა	1.25	1.6	1.6
2	მოსავლიანობა	ტ/ჰა	3.2	3.1	3.3
3	მთლიანი მოსავალი	ტონა	4	4.96	5.28
4	ერთი ტონის საბაზრო ფასი	ლარი	350	480	510
5	პროდუქციის რეალიზაც. ამონაგები თანხა	ლარი	1400	2381	2692
6	პროდუქციის წარმოების ხარჯები	ლარი	720	900	1100
7	მოგება	ლარი	680	1481	1592
8	მოგება ერთ ტონაზე	ლარი	170	298	310
9	მოგება ერთ ჰექტარზე	ლარი	544	925	995

ფერმერულ მეურნეობათა სიცოცხლისუნარიანობის საფუძველი თვით ფერმერთა და მისი ოჯახის წევრთა შრომაა, რაც ევროპის ეკონომიკური გაერთიანების ქვეყნების გამოცდილებით არის დადასტურებული. აქ, სოფლის მეურნეობაში შრომითი დანახარჯების თითქმის ნახევარი თვით ფერმერების წილად მოდის. 30–40 %-მდე ოჯახის წევრების წილად, ხოლო დანარჩენი კი–დაქირავებულ პირებზე.

ზემოთ მოტანილი სასოფლო–სამეურნეო საწარმოთა სამეურნეო საქმიანობის ეკონომიკური ეფექტიანობის მაჩვენებელთა გაანალიზება

ნათელყოფს მეურნეობრიობის ახალი ფორმების განვითარების პერსპექტიულობას, მიწების გამოყენების ეფექტურობის წარმოჩენის რეალობას და საქმიანობის ხელსაყრელობის ტენდენციურობას.

დისერტაციაში დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის დანერგვა, ნიადაგის გაუმჯობესება, მიწების ტრანსფორმაცია და სასოფლო-სამეურნეო კულტურათა სწორად გაადგილება ხელს შეუწყობს ნიადაგის ნაყოფიერების და პროდუქტიულობის ზრდას და მიწის ეკონომიკური ეფექტიანობის მკვეთრად ამაღლებას.

2.2 მიწის ბაზარი და მისი გავლენა მიწის გამოყენების ეფექტიანობაზე

მიწა, როგორც სიცოცხლის არსებობის აუცილებელი პირობა და წარმოების ძირითადი საშუალება შეუნაცვლებელი მატერიალური რესურსია. მიწა, ისე როგორც მრავალი საგანი და ნივთი ადამიანის მუდამ მზარდი მოთხოვნილების კატეგორიას ეკუთვნის. მოთხოვნილების დაკმაყოფილების ერთ-ერთი საშუალება მიწის ბაზარია. სწორედ, მიწის ბაზარია მიწის შექმნა-გასხვისების საუკეთესო და საიმედო ინსტრუმენტი. მიწის ბაზრის წარმოქმნა იმთავითვე განაპირობა მოთხოვნილებასთან შედარებით მიწის ბუნებრივმა შეზღუდულობამ და განსაზღვრულობამ. ასე მაგალითად, მიწის ერთი რომელიმე სფეროში გამოყენება გამორიცხავს მის იმავდროულად გამოყენებას სხვა სფეროში. ამდენად, მიწის შეზღუდულობა თავის თავად განაპირობებს მიწის ბაზრის აუცილებლად არსებობას. [59] სხვა ფუნქციებთან ერთად მიწის ბაზრის ერთ-ერთი მთავარი ფუნქცია ფასწარმოქმნაა. ფასწარმოქმნა არის ბაზარზე მიწის მოთხოვნისა და მიწოდების შესაბამისად გაწონასწორებული ფასის დადგენის პროცესი. ფასი შეიცავს

ოპერატიულ, ვრცელ და კომპაქტურ ინფორმაციას ბაზრის გაჯერებისა და დეფიციტის არსებობის შესახებ. ბაზარზე მიწის მიწოდების სიჭარბისას ფასი მცირდება, ხოლო სიმცირისას ფასი მატულობს. მიწოდებისა და მოთხოვნის ფასობრივი წონასწორობის მექანიზმი არეგულირებს ბაზარს, განსაზღვრავს ფასს. მოთხოვნა მიწოდების უმნიშვნელოვანესი ორიენტირია და პირიქით მიწოდება და მოთხოვნა იდენტურად ურთიერთქმედებს. ხშირად საბაზრო სისტემის მოქმედების მარეგულირებელ მექანიზმად გვევლინება სახელმწიფო, რომელიც ადგენს კანონებს, ფასებს, სამეწარმეო საქმიანობის ფორმებს, აწესებს შეზღუდვას და ა.შ. ამდენად, მიწის ბაზარი საადგილმამულო ურთიერთობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი მარეგულირებელი მექანიზმია.

საქართველოში მიწის ბაზრის ფუნქციის აღდგენა მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ განაპირობა. ბაზარი გახდა საკუთრებისა და სარგებლობის მიხედვით მიწის ფონდის განაწილებისა და გადანაწილების უტყუარი და საიმედო ინსტრუმენტი. მიწის რეფორმის წარმოების მრავალმა ნაკლოვანმა მხარემ ბევრი უხერხულობა შექმნა მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციის კუთხით. დადგენილი ნორმატივების მიხედვით მიწა განაწილდა ფართობის ზომით ხარისხის გაუთვალისწინებლად (სათანადო საკადასტრო მონაცემების არ არსებობის გამო) ბევრი მესაკუთრე თუ მოსარგებლე დაზარალდა, მიიღო თანაზომადი, მაგრამ დაბალი ხარისხის მიწა, ნაწილმა პირიქით ხელი მოითხო, დაეპატრონა მაღალი ხარისხის მქონე მიწის ნაკვეთებს. მიწის საკუთრების თუ სარგებლობის უფლება მიიღო ქალაქად მცხოვრებმა თუ სხვამ მიწით დაინტერესებულმა პირმა, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზის გამო ნაწილმა მიწა დატოვა დაუმუშავებელი, ზოგმაც მიწა გასცა ქვეიჯარით. დაიჭრა და დაქუცმაცდა სამექანიზაციო მიწის ნაკვეთები.

ფართობის მნიშვნელოვანი პროცენტი დაიკავა გზებმა და არსებმა. ერთ მესაკუთრეზე საშუალოდ სხვადასხვა ადგილზე ოთხი ნაკვეთი გაიცა. ყველაფერმა ამან მიწების გამოყენებაში წარმოქმნა ხარვეზიანობა, შორსმიწიანობა, ჩაქსასულობა, საზღვრების ტეხილობა და სხვა მრავალი ნაკლოვანება, რამაც დღის წესრიგში დააყენა საკითხი მიწების დაცვისა და გამოყენების საქმეში გარკვეული ტერიტორიული პირობების შექმნის აუცილებლობის შესახებ—სისტემური მიდგომით მიწების კონსოლიდაციისა და რაციონალური ზომის მეურნეობების ფორმირების თაობაზე. სადღეისოდ მიწის გამოყენებისა და დაცვის საქმეში უამრავი ნაკლოვანებათა აღმოფხვრის თუ მინიმუმამდე დაყვანის რეალიზაციის საქმეში, სადგილმამულო ურთიერთობათა დარეგულირებაში, მნიშვნელოვანი ადგილი სწორედ მიწის მაღალორგანიზებულ და მოწესრიგებულ ბაზარს ეკუთვნის. მოწინავე ცივილიზებულ ქვეყნებში მიწის ბაზრის ფუნქციონირების გამოცდილება ნათელყოფს, რომ იქაც კი, სადაც უკვე დიდი ხანია ჩამოყალიბდა მიწის ბაზრის სრულყოფილი სისტემა, აღინიშნება ხარვეზები. ძირითადად, გასაყიდი ობიექტის ფასის ხელოვნურად შემცირებაში, რათა თავი აარიდონ სახელმწიფო ბიუჯეტში თანხის საჭირო რაოდენობით შეტანას. მით უმეტეს საქართველოში, სადაც მიწის ბაზარი მხოლოდ ფორმირების პროცესშია—ჯერ კიდევ გაუმართავია სამართლებრივი ბაზა, დაბალია მოსახლეობის მყიდველობითი უნარი, სუბიექტური თუ ობიექტური მიზეზებით თავს იკავებენ ინვესტორები ინვესტიციაზე, დაბალია ინფორმაციული უზრუნველყოფის დონე. [83]

საქართველოს საგადასახადო კოდექსის მიხედვით, სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გასაყიდი ფასი ტოლია ამავე მიწაზე ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ათმაგი ოდენობის. და თუ მოიჯარემ მიწის

გამოსყიდვაზე უარი განაცხადა, მიწა გასაყიდად გადის აუქციონზე, სადაც მისი საწყისი ღირებულება ქონების გადასახადის საბაზისო წლიური განაკვეთის ორმაგი ღირებულება იქნება. დამუშავებაში არსებული მიწის საჰექტარო ღირებულება მაქსიმუმ 570 ლარს აღწევს (მარნეული), დანარჩენ რაიონებში უფრო დაბალია. საიჯარო მიწის ქირა ღირებულების 10 %-ია დადგენილი. რა თქმა უნდა აღნიშნული განაკვეთები ვერ ასახავს რეალურ საფასურს, რაც თავის მხრივ აზარალებს მიწის მესაკუთრის და იჯარით გამცემის ბიუჯეტს. ქ. თბილისის საკრებულომ 2007 წლის 13 აპრილის №4-33 გადაწყვეტილებით ზონებისა და ქვეზონების მიხედვით 1მ² არასასოფლო – სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი განსაზღვრა 12-დან 500 ლარამდე და საიჯარო ქირა 0.36-დან 8.42 ლარამდე. როგორც სასოფლო – სამეურნეო, ასევე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების მიწის საბაზისო ფასი გაცილებით მეტია. მიწის ბაზრის ფუნქციონირების დონის შესწავლა ცხადყოფს, რომ ძალზე დაბალია მიწის გასხვისებისას ბიუჯეტში შემოსული მოსაკრებლების სიდიდე.

ცხრილი 20

გარიგებათა პროცესში მიწაზე მოსაკრებლებიდან შემოსული თანხა (ათ.ლარი)

წლები	გარიგებათა რაოდენობა	სულ ათ.ლარი	მათ შორის	
			სას.სამ.მიწებიდან	არასას.სამ.მიწებიდან
1	2	3	4	5
2004	7040	880	308	572
2005	7502	937	271	666
2006	8607	1093	328	765
2007	8715	1108	388	720
2008	9901	1257	378	879

წყარო: საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეგისტრის ეროვნული სააგენტო. საფინანსო-ეკონომიკური სამსახური, 2008. /საარქივო მასალები/.

ზემოთ მოტანილი მონაცემები ცხადყოფს, რომ მიწის ბაზრის ფუნქციონირების ხარისხი ყოველწლიურად მატულობს, იზრდება

გარიგებათა რიცხვი. 2004 წელთან შედარებით 2008 წლისათვის გარიგებათა რიცხვი გაზრდილია 29 %-ით, თანაც მატება თითქმის ყოველ წელიწადს აღირიცხება. შესაბამისად მატულობს გადასახადიდან და სხვა სახის მოსაკრებებიდან ბიუჯეტში შემოსული თანხის ოდენობა. 2004 წლის მონაცემებთან შედარებით 2008 წელს შემოსულია 377 ათასი ლარით ანუ 30 %-ით მეტი თანხა. მატებაა სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების კუთხით შემოსულ მოსაკრებებში 70 ათასი ლარით, ხოლო არასასოფლო-სამეურნეო სავარგულებიდან 307 ათასი ლარით.

ანალიზი ცხადყოფს, რომ მიწის ბაზრის ფუნქცია თანდათან იზრდება, გარიგებათა რიცხვი მატულობს და საბაზრო კონიუნქტურა უმჯობესდება. ბაზარი დიდ გავლენას ახდენს რაციონალური ზომის მიწის ფართობების შექმნაზე და მიწების კონსოლიდაციაზე. რა თქმა უნდა დაბალია ერთ გარიგებაზე შემოსული თანხის სიდიდე, საშუალოდ 125 ლარია, რაც ფაქტობრივ მდგომარეობას არ ასახავს და საჭიროა ამ მეურნეობის სრულყოფა. თუმცა ზოგ ნაწილში მოსაკრებების სიდიდე მომატებული გვეჩვენება და საჭიროა მისი დარეგულირება.

მოსაკრებლების სიდიდის გაზრდის უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს 2004 წლის 29 დეკემბრის №987 კანონმა დაადგინა: მართლზომიერ მფლობელობაში არსებულ მიწაზე საკუთრების უფლების აღიარებით საკუთრების უფლების რეგისტრაცია-300 ლარი, უფლების შეწყვეტის და მასში ცვლილების შეტანის რეგისტრაცია 30 ლარი; ყადაღის რეგისტრაცია-20 ლარი; ამონაწერის მომზადება-15 ლარი; საკადასტრო გეგმის მომზადება-5 ლარი; არქივიდან ინფორმაციის მიღება-10 ლარი. აღნიშნული მოსაკრებლების სიდიდის გაზრდით მნიშვნელოვნად იზრდება მოსაკრებლების ჯამი და შემოსავალი სახელმწიფო ბიუჯეტში. თავის მხრივ გაზრდილმა

თანხებმა ბევრად დააზარალა მიწათმესაკუთრე და მიწათმოსარგებლე. თუ ადრე საკუთრების უფლების რეგისტრაცია 51 ლარი იყო, დღეს 300 ლარია, ანუ გაზრდილია 6-ჯერ და ა.შ. ჩვენის ღრმა რწმენით, საჭიროა არსებული საკანონმდებლო აქტის გადასინჯვა და გადასახადის შემცირება.

მიწის ბაზრის საშუალებით, მიწის ერთიდაიგივე ნაკვეთზე დაუსრულებლად მრავალი სახის და მრავალჯერადი გარიგების წარმოება, როგორც სახელმწიფოს ასევე თითოეული ფიზიკური პირის მიერ სხვადასხვა სახის შემოსავლის მიღება, მიწის თვისების როგორც მუდმივი და შეუნაცვლებელი წარმოების ძირითადი საშუალების და საქონელთბრუნვის ობიექტის რაციონალურად გამოყენების ორგანიზაცია და საბოლოო ჯამში მიწის ფონდის ეფექტურად გამოყენება რეალური და უტყუარი საქმეა. [63] ჩვენის აზრით მიწის ბაზრის ფუნქციონირების სრულყოფისათვის, პირველ რიგში გასატარებელია შემდეგი ღონისძიებები:

1. სამართლებრივი ბაზის დახვეწა–სრულყოფა.
2. ქვეყნის ცალკეული ბუნებრივი კომპლექსების მიხედვით, დიფერენცირებულად მიწის ხარისხის და პროდუქტიულობის კვალობაზე ნორმატიული ფასის განსაზღვრა; ასევე მიწის გასხვისებისას რეალური საბაზრო და გასაყიდი ფასის გათვალისწინება.
3. მიწათსაკუთრებისა და მიწათსარგებლობის უფლების სარეგისტრაციო მოსაკრებლების ოდენობის დაზუსტება – შემცირება;
4. საკრედიტო სისტემის სრულყოფა.
5. მიწის ფასის რეალური ღირებულების მიხედვით გადასახადების გაწერა–ამოღების ორგანიზაცია;
6. ინფორმაციული უზრუნველყოფა: მიწათმესაკუთრების და მიწათმოსარგებლების, მიწის კატეგორიებისა და სავარგულების,

ტერიტორიის ბუნებრივ-სამეურნეო დახასიათების, პოზიტიური და ნეგატიური მოვლენების, მეურნეობრიობის ფორმების, მიწის პროდუქტიულობის და წარმოების სპეციალიზაციის, ფინანსური მდგომარეობის, გეგმურ-კარტოგრაფიული, ნიადაგური, გეობოტანიკური, საქმის წარმოების ხერხებისა და მეთოდების შესახებ.

7. მიწების მიზნობრივად გამოყენების უზრუნველყოფაზე მკაცრი სახელმწიფო კონტროლის დამყარება.

8. მიწის ბაზრის რეგულირება სახელმწიფოს მიერ.

9. მიწის ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფა უნდა მოხდეს თანამედროვე კომპიუტერული ტექნიკის გამოყენებით.

ეფექტობთ, დასახული ღონისძიებების რეალიზაცია უზრუნველყოფს მიწის ბაზრის სრულყოფას და სრულყოფილი ბაზარი თავის მხრივ ხელს შეუწყობს მიწის ფონდის გამოყენების ეფექტიანობის ამაღლებას.

თავი III. მიწის რესურსების გამოყენების ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების ძირითადი მიმართულებები.

3.1 მიწების გაუმჯობესება-ტრანსფორმაცია

საკვლევი ობიექტის ესოდენ მდიდარი და მრავალფეროვანი მიწის რესურსები, როგორც ზემოთ ავლნიშნეთ, ნამდვილად არაა სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენებული. რაც შეეხება მიწების გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებების წარმოებას, ამაზე საუბარიც ზედმეტია. თუ წინა პერიოდში, 1950-80-იან წლებში სახელმწიფო ცდილობდა რეგიონში ჩაეტარებინა მიწების გაუმჯობესების რიგი ღონისძიებები (დაშრობა, მორწყვა, რეკულტივაცია, ეროზიასაწინააღმდეგო, თესლბრუნვების მოწყობა,

სათიბ–საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება, ხელსაყრელი ზომის სამექანიზაციო ფართობების შექმნა და სხვა), რომლებიც ერთიანი სახელმწიფო გეგმით სრულდებოდა და ნაწილობრივ ამ საქმეში მიღწევებიც იყო, დაწყებული 1980 წლიდან ამ საკითხებზე მუშაობა საგრძნობლად შემცირდა. 1992 წლიდან ქვეყანაში მიწაზე დამკვიდრდა კერძო საკუთრების ინსტიტუტი. ჩატარდა მიწის რეფორმა, დანაწილდა მიწები. მსხვილი სამექანიზაციო ფართობები დაიჭრა წვრილ ნაკვეთებად, მოიშალა სარწყავი და დამშრობი ქსელი, გაიჩეხა ქარსაფრები, დაიშალა თესლბრუნვები, გაძვირდა სასუქები, შხამქიმიკატები და ტექნიკა, ბევრმა ფართობმა განიცადა მეორადი დაჭაობება, მკვეთრად შემცირდა ნიადაგის ნაყოფიერება და მიწის პროდუქტიულობა.

იმისათვის, რომ აღსდგეს და დაფუძნდეს მიწების რაციონალურად გამოყენების წესები, სათანადო (შესაძლო) დონეზე ავიდეს მიწის პროდუქტიულობა და ნაყოფიერება, საჭიროა მიწის ყველა მესაკუთრემ და სახელმწიფომ, ფიზიკურმა და იურიდიულმა პირმა, ერთობლივად წარმართონ მიწების გაუმჯობესების კომპლექსური ღონისძიებები. სამუშაოს წარმოებაში მთავარი როლი სახელმწიფო რეგულირებას ეკუთვნის. მოსაგვარებელია ფინანსური საკითხები, საკრედიტო სისტემა, სამუშაოს შემსრულებელი ორგანიზაცია – დაწესებულებების შექმნა – გამართვა, კადრების მომზადება, ინვესტიციების მოზიდვა. ასევე ინსტრუქციების, მითითებების და სხვა სახის ლიტერატურის გამოცემა, რომლითაც ისარგებლებს ყველა მეურნე და უზრუნველყოფს ინტენსიური მეურნეობის ფორმირებას.

ნაშრომის ამ ნაწილში მოკლედ გვინდა განვიხილოთ მიწების გაუმჯობესების ღონისძიებათა ფართო სპექტრი, რამაც უნდა უზრუნველყოს მიწების დაცვისა და გამოყენების

ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობა და ეროვნული მეურნეობის განვითარების თანამედროვეობის დონემდე აყვანა.

საკვლევი ობიექტის მიწების გაუმჯობესებაში, პირველ რიგში იგულისხმება მიწების სამელიორაციო ღონისძიებები-დაშრობა, მორწყვა, ნაკვეთების გაწმენდა ბუჩქნარებისაგან და ქვებისაგან, მიწების მოკირიანება, რეკულტივაცია, გამიწიანება. ასევე დიდი მნიშვნელობა აქვს ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების კომპლექსის დანერგვას.

სამეგრელოს რეგიონის მიწები განიცდის მეორად დაჭაობებას, არხები დაფარულია ეკალ-ბარდით, დასილულია, წამოზრდილია ხე-მცენარეები. შემცირებულია წყალგამტარიანობა. [3.8] მოშლილია სფერული კვლების ფუნქცია, საჭიროა მათი აღდგენა და სხვა გადაუდებელი ღონისძიებების ჩატარება, რათა ესოდენ დიდი რაოდენობის მიწის ფონდი გადაურჩეს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოვარდნას და მწყობრიდან გამოსვლას.

ცხრილი 21

სამეგრელოს რეგიონში მეორად დაჭაობებას დაქვემდებარებული ფართობები რაიონების მიხედვით /ათ.ჰა/

2004 წლის მდგომარეობით

№	რაიონები	ფართობი
1	ზუგდიდი	9.50
2	ხობი	16.50
3	სენაკი	9.08
4	ჩხოროწყუ	0.50
5	აბაშა	8.50
6	მარტვილი	1.40
7	წალენჯიხა	0.50
	სულ	45.98

წყარო: საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს ყოფილი სამელიორაციო სისტემების მართვის დეპარტამენტი. /საარქივო მასალები/

მსოფლიო ბანკის პროექტით კოლხეთის დაბლობის ზონაში და მ.შ. სამეგრელოს რეგიონში დაგეგმილია აღდგენითი სამუშაოების ჩატარება ეტაპობრივად, სადაც გარკვეულ სამუშაოებს სახელმწიფო დააფინანსებს. ჩასატარებელია ისეთი სახის სამუშაოები, როგორცაა: ტექნიკის გადასასვლელი მილხიდების მოწყობა, სხვადასხვა ტიპის ჰიდროტექნიკური ნაგებობების შეკეთება, სატუმბო სადგურების აღდგენა, ახალი დამბების მოწყობა და არსებულის შეკეთება და სხვ.

მსოფლიო ბანკის დაფინანსებით აღდგენით-დამშრობი სამუშაოები უნდა ჩატარდეს სამ ეტაპად. სულ შესასრულებელი სამუშაოების ღირებულება შეადგენს 19.91 მლნ ლარს, მ.შ. სამეურნეობათაშორისო ქსელების რეაბილიტაციისთვის საჭიროა 15 184 ათ. ლარი, ხოლო შიდასამეურნეო ქსელების ფუნქციონირების აღსადგენად 4 724 ათ. ლარი.

რეგიონში არსებული დამშრობი სისტემა მოიცავდა: წყალმიმღებებს-მდინარეები, ხეხეები, ტბები, ხრამები და ზღვა; გამტარ ქსელს-მაგისტრალური არხები, კოლექტორები, რომლებითაც შეგროვილი წყალი ჩაედინებოდა წყალმიმღებში; არხებისა და დრენაჟის მარეგულირებელ ქსელს, რომლითაც მასივზე შეგროვილი წყალი ჩაედინებოდა გამტარ ქსელში; არხებისა და ზვინულების ქსელს, რომელიც იცავდა დამშრალ ტერიტორიას წყალშემკრებიდან ჩამონადენისა და გრუნტის წყლისაგან; ჰიდროტექნიკურ ნაგებობებს-ჩანჩქერები, სწრაფმდენები, შთანთქმელები, ჭები; საექსპლოატაციო ნაგებობებს-გზები, ხიდები, მილგადასასვლელები და სხვ. დიდი შრომისა და დანახარჯების ფასად იყო მოწყობილი და კარგადაც ფუნქციონირებდა სამეგრელოს რეგიონის დამშრობი ქსელი, რასაც ბოლო ათწლეულებზე ვერ ვიტყვი. ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, მნიშვნელოვნად იკლო არსებული დამშრობი ქსელის მოვლა-პატრონობის ხარისხმა. ფულადი სახსრების

არ ქონამ, მანქანა-იარაღების სიმცირემ, სპეციალისტების ნაკლებობამ და ქვეყანაში მძვინვარე სოციალურ-ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა კრიზისმა განაპირობა დამშრობი ქსელის დაზიანება და მწყობრიდან გამოსვლა, ჭარბტენიანობისა და მეორადი დაჭაობების წარმოქმნა, რამაც თავის მხრივ განაპირობა მიწის ნაყოფიერებისა და პროდუქტიულობის მკვეთრი დაცემა. არადა, სწორედ ესოდენ დიდი ფართობი არის რეგიონის აგრარული სექტორის მამოძრავებელი ძალა. ჩვენის ღრმა რწმენით ასეთი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობის დიდი საქმის მოწესრიგება მხოლოდ სახელმწიფო რეგულირების ღონეზე უნდა გადაწყდეს. თითქმის იგივე მდგომარეობაშია რეგიონის სარწყავი ქსელი. სარწყავი ფართობის სიმცირე /2707-ჰა/ ძირითადად განპირობებულია რეგიონის კლიმატური პირობების თავისებურებებით, ტენიანობის მაღალი კოეფიციენტის არსებობით. სარწყავი ქსელი ძირითადად ორმხრივი რეგულირების, დაშრობა-მორწყვის ერთიანი სისტემის არსებობითაა განპირობებული. სარწყავად წარმატებით გამოიყენებოდა დამშრობი არსებიდან მიღებული წყლის მარაგი, რაც ყოველმხრივ ხელსაყრელი და მომგებიანი საქმიანობა იყო. სარწყავი ქსელის დაზიანებასა და აღდგენა-განახლების თაობაზე იგივე ითქმის, რაც დამშრობ ქსელზე. ბევრი სარწყავი არხი გამოსულია მწყობრიდან. საჭიროა მათი აღდგენის კომპლექსური ღონისძიებების დასახვა და რეალიზაცია.

რეგიონის ტერიტორიის 238 ჰა ფართობი საჭიროებს მიწების სარეკულტივაციო სამუშაოების ჩატარებას-ტორფის დასამუშავებელი ადგილების, კარიერების, არხების, გზების, მილსადენების და სხვათა გვერდებზე ნაყარი მიწების გაწმენდა-მოსწორება, ტექნიკური და ბიოლოგიური რეკულტივაციის კომპლექსის დანერგვა და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან გამოსული მიწების მწყობრში ჩაყენება.

მიწის ფონდის დაცვისა და გამოყენების ეფექტიანობის ამაღლების საქმეში დიდი მნიშვნელობა ენიჭება ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვას და მიწათმოქმედების საერთო კულტურის ამაღლებას. განსაკუთრებულ მდგომარეობას საჭიროებს ეროზიასაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობების მოწყობა. დიდი ზიანი მიაყენა რეგიონის მიწის ფონდს წყალდიდობამ, მეწყერულმა და სელურმა მოვლენებმა, ხშირია შემთხვევა, როდესაც ნაპირებიდან გადმოდის წყალუხვი მდინარეები—რიონი, ხობი, ტეხური, ენგური, ცხენისწყალი და სხვა. მწყობრიდან გამოდის მაღალინტენსიური მიწის სავარგულები, ნადგურდება შენობა-ნაგებობები და სხვა მატერიალური დოვლათი. ჰიდროტექნიკურმა ნაგებობებმა უნდა უზრუნველყოს ზედმეტი წყლის შეკავება, უნდა მოეწიოს ნაპირსამაგრები, არხები, ტბორები, წყალმიმმართველი, ნაკადის დამრფქვევი ტაფობები და ღარტაფები, ასევე წყალშემკრებები, სწრაფმდენი, ვარდნის კედელი, ზღურბლი და სხვა. ეროზიასაწინააღმდეგო ჰიდროტექნიკური ნაგებობები საჭიროებს, როგორც აღდგენას, ასევე ნაწილი ნაგებობების ხელახლა მოწყობას. რეგიონში სელური მოვლენები დარეგისტრირებულია მდ. ენგურზე 57, ხობის წყალზე-3, რიონზე-80 და ცხენისწყალზე-41. გამოკვლევებით დადგენილია, რომ ზედაპირული ანუ სიბრტყითი, ჭავლისებური ანუ ნაკადისებური და დახრამვითი ანუ ხაზობრივი ეროზია გავრცელებულია საკვლევი რეგიონის ყველა რაიონში. სამეგრელოში 2004 წლის მონაცემებით, ეროზირებული და დამეწყრილია 13570 ჰა სასოფლო-სამეურნეო სავარგული. ეროზირებული და დამეწყრილია სენაკის რაიონში 1500 ჰა სასოფლო-სამეურნეო მიწები, მარტვილის რაიონში-680 ჰა, აბაშის რაიონში 1841 ჰა, წალენჯიხის რაიონში-484 ჰა და ზუგდიდის რაიონში 559 ჰექტარი ფართობი. ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებათა კომპლექსის დანერგვა და გატარება (აგროტექნიკური, სატყეო

–სამელიორაციო, მდელსამელიორაციო, ჰიდროტექნიკური და ორგანიზაციულ-სამეურნეო) მეტად საშური და გადაუდებელი საქმეა, რათა თავიდან ავიცილოთ ნიადაგის რღვევა, გამოფიტვა, დეგრადაცია და საბოლოო ჯამში სასოფლო-სამეურნეო ბრუნვიდან ამოვარდნა. [57]

მიწის სავარგულების პერსპექტიული გამოყენების შესაძლებლობების დადგენის მიზნით, ჩვენს მიერ მოძიებული და შესწავლილი იქნა საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ფართობების დახრილობის (ქანობების) მაჩვენებლები და დადგინდა, რომ რეგიონის 24243 ჰექტარი სახნავი მიწიდან 15⁰-მდე დახრილობისაა 90.5 %. ამდენად, მაღალინტენსიური მიწის სავარგულები ძირითადად განლაგებულია სასოფლო-სამეურნეო კულტურების საწარმოებლად ხელსაყრელი დახრილობის ფართობებზე. (იხ. ცხრილი 22).

ცხრილი 22

სამეგრელოს სას.-სამ. სავარგულების განაწილება დახრილობის მიხედვით

სახნავი სუელ /ჰა/	ა ქ ე დ ა ნ					მრავალწლიანი ნარგავები სუელ/ჰა/	ა ქ ე დ ა ნ ბ ა ლ ე ბ ი				
	0–2 ⁰	2–5 ⁰	5–10 ⁰	10–15 ⁰	15 ⁰ - ზევით		0–2 ⁰	2–5 ⁰	5–10 ⁰	10–15 ⁰	15 ⁰ - ზევით
1	2	3	4	5	6	7	8	9	10	11	12
24243	17719	2039	22189	1291	976	14562	7361	1721	2494	1613	1373
100%	73.1 %	8.4 %	9.1 %	5.3 %	4.1 %	100 %	50.5 %	11.8 %	17.1 %	11.1 %	9.5 %

ცხრილი 22–გაგრძელება

სათიბი სუელ /ჰა/	ა ქ ე დ ა ნ					სამოცარი სუელ/ჰა/	ა ქ ე დ ა ნ				
	0–2 ⁰	2–5 ⁰	5–10 ⁰	10–15 ⁰	15 ⁰ - ზევით		0–2 ⁰	2–5 ⁰	5–10 ⁰	10–15 ⁰	15 ⁰ - ზევით
13	14	15	16	17	18	19	20	21	22	23	24
216	108	64	20	16	8	25117	10396	1990	4315	3690	4726
100%	50.0%	29.6%	9.2 %	7.4%	3.8%	100 %	41.4%	7.9%	17.2 %	14.7%	18.8%

წყარო: მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის საარქივო მასალები, 1985.

ცხრილი 23

აღრიცხული ეროზირებული სახნავი რაიონების მიხედვით /ათ.ჰა/

№	რაიონი	სულ სახნავი/ათ.ჰა/	მ.შ ეროზირებულობის ხარისხი/ათ.ჰა/		
			სუსტად	საშუალოდ	ძლიერ
1	აბაშა	12,5	–	–	–
2	სენაკი	10,9	0,2	0,1	0,1
3	მარტვილი	11,3	0,3	0,2	0,1
4	ზუგდიდი	9,9	0,1	0,2	–
4	სობი	13,5	–	–	–
6	წალენჯიხა	3,7	0,2	0,1	0,1
7	ჩხოროწყეუ	4,8	0,3	0,3	0,3

წყარო: მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის საარქივო მასალები, 1985.

ცხრილი 24

აღრიცხული ეროზირებული საძოვარ-საბალახოები რაიონების მიხედვით /ათ.ჰა/

№	რაიონი	სულ საძოვრების ფართობი /ათ.ჰა/	მ.შ ეროზირებულობის ხარისხი/ათ.ჰა/		
			სუსტად	საშუალოდ	ძლიერ
1	აბაშა	6,2	–	–	–
2	სენაკი	7,1	0,3	0,2	0,1
3	მარტვილი	16,3	0,2	0,2	0,1
4	ზუგდიდი	8,7	0,7	0,5	0,2
4	სობი	12,6	0,3	0,6	0,1
6	წალენჯიხა	5,0	0,6	0,1	0,4
7	ჩხოროწყეუ	11,4	0,4	0,6	0,8

წყარო: მიწათმოწყობის საპროექტო ინსტიტუტის საარქივო მასალები, 1985.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მეტ წილად ეროზირებული ფართობები აღრიცხულია რეგიონის ზედა ზონაში, მთისწინების ადგილებში, რაც შეეხება ქვედა ზონას, ეროზირებულობის ხარისხი ნაკლებია.

მიწის სავარგულების დაცვისა და გამოყენების გაუმჯობესების კომპლექსური ჰიდრო, აგროსამედიორაციო და აგროტექნიკური

ღონისძიებების გატარება მიწის პროდუქტიულობის ამაღლების უცილობო პირობაა. დაშრობის მთავარი მიზანი ჭარბი ტენის მოცილება, ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებების გაუმჯობესებაა. დაშრობილ მიწებზე პირველი ორი წლის განმავლობაში, მაღალი მოთხოვნილების მქონე კულტურებისათვის ნიადაგის მომზადების მიზნით მიზანშეწონილია მრავალწლიანი ბალახების თესვა, შემდეგ ამ ფართობის მინდვრის, სპეციფიკურ და საკვებ თესვებში ჩართვა. თესვებში უნდა მოეწიოს რეკომენდირებული სქემების მიხედვით, ნიადაგის სახესხვაობის გათვალისწინებით. ჭაობიან ნიადაგებზე, მექანიკური შედგენილობის გამსუბუქების, არის რეაქციის შეცვლის, საკვები ელემენტების შემცველობის ოპტიმიზაციის მიზნით საჭიროა პირველ ხანებში დაითესოს ბალახი და სიმინდი, შემდეგ შეიძლება ბოსტნეულის, ბაღჩეულის და ყაზარლიყის ვარდის საწარმოებლად გამოვიყენოთ. ყვითელმიწა-ეწერ ნიადაგებზე, ნიადაგის ეროზიის თავიდან აცილების მიზნით, საჭიროა კულტურათა განლაგება ფერდობის გარდი-გარდმო, ნიადაგის ღრმად დამუშავება, მუავე ნიადაგების მოკირიანება, ორგანული სასუქების (ტორფი და ნაკელი) გამოყენება. ნეშომპალა კარბონატულ ნიადაგებზე უნდა ვაწარმოოთ ფოსფორიანი და აზოტოვანი სასუქების გამოყენება. ძოვების მოწესრიგება, ალუვიურ ნიადაგებზე კარგ შედეგს იძლევა ორგანულ-მინერალური სასუქების გამოყენება, სიდერაცია, მრავალწლიანი და ერთწლიანი ბალახების თესვა. მრავალწლიანი ნარგავების გასაშენებლად რეგიონის დაბლობ ნაწილში რეკომინდირებულია სფერული კვლების მოწყობა, უფრო მაღლობ ადგილებში ფერდა მიწების დატერასება. ეროზირებულ და ეროზიასაშიშ ფართობებზე საჭიროა ნიადაგდაცვითი მნიშვნელობის თესვების მოწყობა. სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაადგილებისა და დამუშავების დროს ზუსტად უნდა იქნეს დაცული

ინსტრუქციით გათვალისწინებული ხვნის სიღრმე, დამუშავების ვადები, ორგანული და მინერალური სასუქების შეტანის დოზები. აგროტექნიკური ღონისძიებების სწორად გატარება უზრუნველყოფს ისეთი ძვირადღირებული კულტურების წარმატებით წარმოებას, როგორცაა ციტრუსები, ჩაი, დაფნა, ფეიხოა, ხურმა, თხილი და ტუნგო. სწორედ ზონისათვის რეკომენდირებული აგროტექნიკური ღონისძიებების დაცვა უზრუნველყოფს ნიადაგის დაცვასა და მიწების რაციონალურად გამოყენებას. [36]

მიწების გამოყენების გაუმჯობესების ღონისძიებებიდან საკვლევი რეგიონისათვის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ელემენტი სატყეო-სამეღიორაციო ღონისძიებაა. სატყეო-სამეღიორაციო ღონისძიებები ხელს უწყობს არა მარტო წყლისმიერი ეროზიული მოვლენების, არამედ ქარისმიერი ეროზიის თავიდან აცილებას. საკვლევი ობიექტის ტერიტორია დასავლეთ საქართველოს ქარების სიძლიერის პირველ და მეორე კატეგორიაში შედის. პირველი კატეგორიისაა მარტვილის, სენაკის, აბაშის, ხობის და ზუგდიდის რაიონები. მეორე კატეგორიის ქარებია გავრცელებული ჩხოროწყუს და წალენჯიხის რაიონებში. ცხადია წყლისმიერ ეროზიასთან ერთად მხარის მეურნეობას მნიშვნელოვან ზიანს აყენებს ქარისმიერი ეროზიაც.

ტყის დაცვითი ნარგავების სისტემის შექმნამ ტერიტორიაზე უნდა უზრუნველყოს ჩამონადენი წყლების შეკავება და მავნე ქარების ძალის შესუსტება. დაცვითი ტყის ნარგავები იყოფა ორ ჯგუფად: პირველს ეკუთვნის მთლიანი გატყვევების ნაკვეთები, ხევებისა და ხრამისპირა ზოლები, დასახლებული პუნქტების, წყალსაცავებისა და წყალსატევების ირგვლივ განლაგებული ნარგავები. მეორე ჯგუფში შედის ნარგავები, რომლებიც უნდა გაშენდეს სახნავში, მრ.წ. ნარგავებში წყალმარეგულირებელი და ქარგამტეხი ტყის ზოლები;

მეცნიერები ამტკიცებენ, რომ მინდორსაცავი ტყის ზოლები მოსავლიანობას ზრდის დაახლოებით 23 %-ით.

დაბალინტენსიური მიწის სავარგულის გადაყვანა მაღალინტენსიურში, საშუალებას გვაძლევს ძირეულად შეიცვალოს ნიადაგის ფიზიკური, ქიმიური და ბიოლოგიური თვისებები. გარდა სახნავი და მრავალწლიანი ნარგავების ქვეშ დაკავებული მიწებისა, გაუმჯობესებას საჭიროებს საკვები სავარგულების ხარისხი-ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესების ღონისძიებების ჩატარებით.

მიწების გაუმჯობესების ღონისძიებათა კომპლექსის გატარება უზრუნველყოფს, როგორც ახალი მიწების ათვისებასა და სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩართვას, ასევე მიწის საპექტარო მოსავლიანობის ზრდას და შემოსავლიანობის მატებას. გარდა ამისა, გატარებულ ღონისძიებათა ეფექტიანობა აისახება კაპიტალდაბანდების ამოგების ვადისა და ნამატი პროდუქციის ერთეულზე გაწეული დანახარჯების შემცირებაში, ასევე ნიადაგის ხარისხობრივი მაჩვენებლების მატებაში. [26]

სამეგრელოს რეგიონის მიწებიდან ასათვისებლად ვარგისი და სატრანსფორმაციო ფართობებში შედის დაჭაობებული და ჭარბტენიანი მიწები, ბუჩქნარები, დაბალპროდუქტიული ტყეები, ქვიშრობები, ნასვენი მიწები, ფერდა ადგილები, ხრამ-ხევეები და სარეკულტივაციო ფართობები. საკმაოდ ბევრია დაბალინტენსიური მიწის სავარგული, რომელთა გადაყვანა შესაძლებელია მაღალინტენსიურში. მიწების ტრანსფორმაციის პროცესმა უნდა უზრუნველყოს შემდეგი ძირითადი მიმართულებების რეალიზაცია: პირველი – არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის სავარგულების გადაყვანა სასოფლო-სამეურნეო სავარგულებში; მეორე – სახნავი ფართობის მაქსიმალურამდე გაზრდა; მესამე – თითოეული მიწის ნაკვეთის კონფიგურაციის გაუმჯობესება,

საზღვრების გასწორება, წვრილკონტურიანობის აღმოფხვრა, ნაკვეთების კონსოლიდაციით სამექანიზაციო ფართობების ფორმირება, ხრამ-ხეების მოსწორება, დაბლობი ადგილების ამოვსება, ნაკვეთების გაწმენდა ქვებისაგან, ბუჩქებისაგან, კოლბოხებისაგან და სხვა სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება. მეოთხე – საინჟინრო ნაგებობების მოწყობა. ამ მიზნისათვის უმჯობესია მაქსიმალურად იქნეს გამოყენებული არასასოფლო – სამეურნეო და დაბალინტენსიური სასოფლო – სამეურნეო სავარგულები.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საკვლევი რეგიონის მიწის სავარგულების სტრუქტურული შედგენილობა მეტად რთული და მრავალფეროვანია. საკმაოდ ბევრია ისეთი მიწები, რომელთა გაუმჯობესება და ათვისება სრულიად შესაძლებელი და ხელსაყრელია. ამ მიზნებისათვის 1984–1985 წლებში საქართველოს სახელმწიფო მიწათმოყვობის ინსტიტუტის სპეციალისტებმა ჩაატარეს გამოკვლევა და ასათვისებლად ვარგისი სხვადასხვა სახის მიწის სავარგულებიდან გამოავლინეს ასათვისებლად შემდეგი ფართობები (იხ. ცხრილი 25).

ცხრილი 25

გამოვლენილი ასათვისებლად ვარგისი ფართობები რაიონების მიხედვით
/1984–1985 წ./

№	რაიონი	ასათვისებლად ვარგისი ფართობები /ჰა/
1.	ზუგდიდი	2100
2.	აბაშა	1700
3.	მარტვილი	600
4.	სენაკი	1400
5.	ჩხოროწყუ	800
6.	წალენჯიხა	600
7.	სობი	4000
	სულ რეგიონში	11200

წყარო: საქართველოს მიწათმოყვობის საპროექტო ინსტიტუტის სპეციალისტების კვლევითი მასალები, 1985.

აღნიშნული მიწების ათვისება გათვალისწინებული იყო 2000 წლამდე. ქვეყნის პოლიტიკურ და ეკონომიკურ ცხოვრებაში მიმდინარე პროცესებმა ხელი შეუშალა დასახული მიზნების განხორციელებას და მიწები დარჩა ათვისებელი. ამ სანდო და საიმედო გამოკვლევის მასალების გამოყენება მნიშვნელოვნად მიგვაჩნია და ვიყენებთ ჩვენი კვლევის პროცესში. რა თქმა უნდა, მიწების ტრანსფორმაციას განიცდის არა მარტო ასათვისებელი მიწები, არამედ სხვა მიწის სავარგულებიც, რაზედაც საუბარი გვექნება ქვემოთ. ზემოთ მოტანილი მიწების გაუმჯობესებისა და ტრანსფორმაციის წარმოების მთელი კომპლექსის რეალიზაცია რეგიონის მიწის ფონდის დაცვის და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფის მყარი და უტყუარი გარანტია.

3.2 მიწის ფონდის მართვის სრულყოფა

მმართველი ორგანოები. მიწის მართვა მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი საზოგადოებრივი მოვლენაა. მართვის პროცესის ხარისხი ბევრადაა დამოკიდებული საზოგადოებრივი წეს-წყობილების ფორმაციაზე და მართვაზე მოქმედი ფაქტორების ფუნქციონირების დონეზე. საბჭოთა კავშირის არსებობის ბოლო წლებში მნიშვნელოვნად იკლო მიწების მოვლა-პატრონობისადმი ყურადღებამ. ძირითად მიზეზად მიწაზე მომუშავე კაცის დაუინტერესებლობა იყო, ღებულობდა თავისი შრომის შედეგად მიღებული ღირებულების მცირედ ნაწილს. ინტერესის ნაკლებობამ უარყოფითი შედეგი მოგვცა, იკლო მიწის პროდუქტიულობამ და ნაყოფიერებამ. კიდევ უფრო გაართულა მიწის მოვლა-პატრონობის საკითხი საბჭოთა კავშირის დაშლამ. საქართველომ მიიღო დამოუკიდებლობა. მიწაზე დაფუძნდა ორი სახის საკუთრების ინსტიტუტი—სახელმწიფო და კერძო საკუთრება. რადიკალურად შეიცვალა საზოგადოებრივი ცხოვრების


სოციალურ-ეკონომიკური, პოლიტიკურ-ფსიქოლოგიური და სამართლებრივ-ორგანიზაციული ასპექტები. საჭირო გახდა მიწის ფონდის დაცვისა და გამოყენების მთელი სისტემის ახლებურად გააზრებისა და გარდაქმნის აუცილებლობა. შეიქმნა და გამოიცა საკანონმდებლო აქტები, დაწესდა მიწის კერძო საკუთრებაში გადაცემის ნორმები და წესები, დაიწყო მიწის რეფორმა. ბუნებრივია მთლიანად დაიშალა მიწის მართვის არსებული სისტემა. გაუქმდა საპროექტო ინსტიტუტები და ლაბორატორიები, შეიცვალა მიწის მართვის მეთოდი. წამყვანი ადგილი დაიკავა სამართლის ნორმების გამოყენების და ზემოქმედების ფორმებმა, ნაწილობრივ გამოიყენება ადმინისტრაციულ-სამართლებრივი მეთოდიც. საჭიროებამ მოითხოვა მმართველობითი ორგანოების ახლებურად ჩამოყალიბება. [58]

სახელმწიფო მმართველობის სისტემა დაიყო ორ ნაწილად-საერთო და დარგობრივი მმართველობა. საერთო სახელმწიფო მმართველობა ხორციელდება საკანონმდებლო, აღმასრულებელი და სამმართველო სახელისუფლო ორგანოების მიერ. საკანონმდებლო ორგანოების მიერ მიღებული საკანონმდებლო აქტების და ქვეაქტების საფუძველზე აღმასრულებელი ხელისუფლების ორგანოები ახორციელებენ მიწის ფონდის პრაქტიკულად მართვას. მიწის ფონდის მმართველი სახელმწიფო ორგანოები ჩამოყალიბებულია შემდეგნაირად: (იხ. სქ. 1) –საკანონმდებლო ხელისუფლების ორგანოების კომპეტენციაში შედის: მიწის კოდექსის და სხვა საკანონმდებლო აქტების მიღება; მიწის გადასახადის ნორმების შემუშავება, მიწათსაკუთრებისა და მიწათსარგებლობის უფლების რეგისტრაციის პრინციპების შემუშავება; უფლებრივი რეჟიმის დადგენა მიწის თითოეული კატეგორიისათვის; სუბიექტების მიერ მიღებული გადაწყვეტილების გაუქმება, რომელიც არ შეესაბამება ქვეყნის მიწის კოდექსის ნორმატიულ მაჩვენებლებს. –საქართველოს მთავრობის კომპეტენციაში შედის: საქართველოს

კანონმდებლობის შესაბამისად, საადგილმამულო ურთიერთობათა მარეგულირებელი სამართლებრივი აქტების მიღება;

სქემა 1.

სახელმწიფო ორგანოები, რომლებიც ანხორციელებენ ქვეყნის მიწის ფონდის მართვას



მიწების გამოყენების ტერიტორიალური დაგეგმვა; სუბიექტების საზღვრების დადგენა; მიწათმესაკუთრების, მიწათმფლობელების და მიწათმოსარგებლეების უფლებების დაცვა; მიწის მიზნობრივი დანიშნულების შეცვლა; მიწების ჩამორთმევა (შესყიდვა) სახელმწიფო

საჭიროებისათვის; მიწების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების პროექტების შემუშავება; მიწის კადასტრის, მიწათმოწყობის და მიწის მონიტორინგის წარმოების ორგანიზაცია. მიწების გამოყენების სახელმწიფო კონტროლის ორგანიზაცია; ქალაქმშენებლობისა და სხვა მნიშვნელოვანი ობიექტების მშენებლობის გეგმების დამტკიცება;

–ადგილობრივი ორგანოების კომპენტენციას განსაზღვრავს ქვეყნის კონსტიტუცია და სხვა საკანონმდებლო აქტები. უფლება აქვთ განსაზღვრონ სამუშაოების ჩასატარებლად ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოყოფილი თანხის რაოდენობა, განახორციელონ მიწათმოწყობა, მიწის კადასტრი და მიწების მონიტორინგი; კონტროლი მიწების გამოყენებაზე, დაადგინონ შესაბამის კოეფიციენტები მიწების გადასახადის სიდიდეზე; ჯარიმა კანონმდებლობის დარღვევისათვის, გასცენ საკადასტრო რუკები და სხვა სახის საინფორმაციო მასალები, შეაჩერონ უკანონო მშენებლობა და სხვა კანონსაწინააღმდეგო მოქმედება. [63]

–მიწის მართვის სამსახურის ფუნქციებია: მონაწილეობა მიიღოს მიწის მართვისა და მიზნობრივად გამოყენების სახელმწიფო პოლიტიკის განხორციელებაში; მიწების მიზნობრივად გამოყენების შეცვლის პროცედურაში; მიწის რესურსების მართვის სახელმწიფო პოლიტიკის შემუშავებაში; მიწის ფონდის მართვის საკანონმდებლო აქტების შედგენა–განხილვაში; ასევე მონაწილეობა მიიღოს მიწების გამოყოფასა და გამიჯვნაში; მიწის კადასტრის, მიწათმოწყობის და მიწების მონიტორინგის წარმოებაში; მიწათმოწყობის პროექტების განხილვაში; მიწების ეროზიისაგან დაცვის ღონისძიებების შემუშავება–დანერგვაში; ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების უფლებრივი დოკუმენტების დამზადება–გაცემაში.

–საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელობს საქართველოს კანონმდებლობით. სააგენტოს მიზანია: უძრავ ნივთებზე და სხვა სანივთო უფლებებზე რეგისტრაციის წარმოება; საკადასტრო მონაცემთა ბაზის შექმნა, საჯარო რეესტრის მონაცემთა სისტემატიზაცია, შენახვა და განახლება; მიწის ბაზრის ინფორმაციული უზრუნველყოფა; უძრავი და მოძრავი ნივთების პირველადი და მეორადი რეგისტრაციის უზრუნველყოფა; საგადასახადო ორგანიზაციებისათვის ინფორმაციის მიწოდება; მონაცემთა კომპიუტერიზაცია; საკადასტრო რუკების შედგენა–გაცემა; ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურების ხელმძღვანელობა. მათი საქმიანობის უზრუნველყოფა საჭირო მეთოდური მითითებით და ხელსაწყო–იარაღებით, კონტროლი ნებისმიერ საქმიანობაში.

–ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახურის კომპეტენციას ეკუთვნის: უძრავი და მოძრავი ნივთების პირველადი და მეორადი რეგისტრაციის წარმოება; მესაკუთრეთა შორის დადებული ხელშეკრულების რეგისტრაცია. ყადაღის შესახებ ინფორმაციის გაცემა, საგადასახადო ორგანიზაციისათვის ინფორმაციის მიღება. მონაცემების უსაფრთხოდ შენახვა; საკადასტრო რუკების შედგენა–გაცემა; კონსულტაციების უზრუნველყოფა.

სადღეისოდ საქართველოს ქალაქებსა და რაიონებში ორგანიზებულია 75 ეროვნული სააგენტოს ტერიტორიული სარეგისტრაციო სამსახური.

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციული სტრუქტურა იხ. სქემა 2-ში.

მიწის მართვის მეთოდები. მიწის მმართველი ორგანოები მიწის ფონდის მართვას ანხორციელებენ მიწის კადასტრის, მიწათმოწყობის, მიწების მონიტორინგის და მიწების დაცვა–გამოყენების კონტროლის მეთოდებით. მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ


მნიშვნელოვნად შეცვალა და სრულყოფის წინაშე დააყენა სოციალიზმის დროს არსებული მიწის მართვის მეთოდოლოგია. შეიცვალა მიწის საკუთრების ფორმები, მეურნეობრიობის ფორმები, მეურნეობის ზომები, წარმოების მოცულობა და სპეციალიზაციის ასპექტები, რამაც თავის თავად განაპირობა მიწის მართვის მეთოდების ახლებურად გააზრებისა და სრულყოფის აუცილებლობა.

–მიწის კადასტრი, როგორც მიწის მართვის ერთ–ერთი საიმედო მეთოდი და მექანიზმი უზრუნველყოფს მიწის ნაკვეთების და მასთან მყარად დაკავშირებული სხვა უძრავი ქონების აღრიცხვას, შეფასებას, რეგისტრაციას და უფლებრივი დოკუმენტაციის გაფორმებას.

სქემა №2

საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს ორგანიზაციული

სტრუქტურა



მიწასთან ერთად ტყის, წყლის და სხვა ბუნებრივი რესურსების კადასტრის წარმოებაზე გადასვლასთან დაკავშირებით საჭიროა სავარგულების კლასიფიკაციის დაზუსტება, მიზნობრივი

დანისწულების მიხედვით მიწის თითოეული კატეგორიისათვის კერძო და საერთო მაჩვენებელთა სისტემის დადგენა, რაც დაახასიათებს თითოეული ან ეკოლოგიურად ერთგვაროვანი ნაკვეთების ხარისხობრივ მდგომარეობას. ასევე აუცილებელია ამ მაჩვენებლების მიღების მეთოდების შემუშავება და საკადასტრო სამუშაოების წარმოებაში კომპიუტერული სისტემის დანერგვა ფართო მასშტაბით, ამით კონტროლის გაადვილება მიწების განაწილების, გადანაწილების, მიწაზე სხვადასხვა სახის გარიგებების, მიწის დავის გადაწყვეტის, მიწის ფასის განსაზღვრის, გეოინფორმაციული უზრუნველყოფის, მიწაზე აუქციონის მოწყობის, გადასახადების გაწერის, მიწების რეესტრის, სათანადო დოკუმენტების დამზადება-გაცემის წარმოებაზე.

მიწის რეფორმის გატარებით, მრავალი მიწათმესაკუთრე და მიწათმოსარგებლე ერთეულის წარმოქმნით, საჭირო შეიქმნა მიწის კადასტრის წარმოება მრავალ (ოთხ მილიონამდე) პირველად მიწის ნაკვეთზე. სწორედ ამან განაპირობა ტექნიკური და იურიდიული დოკუმენტაციის სწრაფად და ეფექტურად დამზადების, აგეგმვის, მიჯნის დადგენის, უფლების გაფორმების პროცესის სრულყოფის აუცილებლობა და სამუშაოების წარმოების სპორადული მეთოდიდან სისტემურ მეთოდზე გადასვლის ხელსაყრელობა. მიწის კადასტრის წარმოების პროცესის თითოეული ელემენტის სრულყოფა შექმნის მიწის მართვის ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობებს. [63]

–მიწათმოწყობა მიწის მართვის მეთოდების უმნიშვნელოვანესი კომპონენტია, რომლის საშუალებითაც რეგულირდება საადგილმამულო ურთიერთობები, ტარდება მიწების დაცვის, სრულად, რაციონალურად და ეფექტიანად გამოყენების ორგანიზაცია. დგება მიწების დაცვისა და გამოყენების რაიონული სქემები ეკონომიკური, ქალაქთმშენებლობის, ეკოლოგიური და ტერიტორიის სხვა თავისებურებების გათვალისწინებით; დგინდება მიწათმოსარგებლეთა საზღვრები; დგება

მიწათმოწყობის პროექტები არსებულ მიწათსაკუთრებათა და მიწათსარგებლობათა მოწესრიგების, ნაკლოვანებათა აღმოფხვრის, საზღვრების დამყარების და ნატურაში დამაგრების, ტერიტორიის ორგანიზაციის პროექტის შედგენის და გეგმების გაფორმების, მიწის ნაკვეთზე უფლების დადგენისათვის დოკუმენტაციის დამზადების უზრუნველსაყოფად. მუშავდება სხვადასხვა სახის სამუშაო პროექტები—მიწების რეკულტივაციის, ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების, მეწყრული და ღვარცოფული მოვლენების, დაჭაობების, გაწყლიანების, მორწყვა—დაშრობის, მოკირიანება—მოთაბაშირების, მიწების გაჭუჭყლიანების, მიწის ხარისხის გაუმჯობესების, ახალი მიწების ათვისების, მრავალწლიანი ნარგავების გაშენების და ნიადაგის ნაყოფიერების ამაღლების განსახორციელებლად. მიწათმოწყობით დგინდება და მაგრდება ადგილზე ქალაქებისა და სხვა სახის დასახლებული პუნქტების საზღვრები, ტარდება ტოპოგრაფიულ—გეოდეზიური, კარტოგრაფიული, ნიადაგური, აგროქიმიური, გეობოტანიკური, ისტორიულ — კულტურული და სხვა სახის კვლევა—ძიება. ფორმდება ყველა სახის დოკუმენტი. მიწათმოწყობა ეხება ყველა ობიექტს. მასში მონაწილეობს ფიზიკური და იურიდიული პირები.

მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებით, მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის დაფუძვნებით და მცირემიწიანობის, წვრილნაკვეთიანობის წარმოქმნით, მნიშვნელოვნად შეიცვალა მიწათმოწყობის მთლიანი სისტემა. ადრე თუ მიწათმოწყობა ტარდებოდა სახელმწიფოს მიერ გეგმურად, ბიუჯეტის ხარჯზე, დღეს სამიწათმოწყობო სამუშაოები ფინანსდება კერძო მესაკუთრეების, ფიზიკური პირების და იურიდიული პირების მიერ. მეტ წილად ტარდება სამეურნეობათაშორისო მიწათმოწყობა—მიწათსაკუთრების ან მიწათსარგებლობის ფორმირება, საზღვრების დადგენა, მიწების

კონსოლიდაცია, ტექნიკური და იურიდიული დოკუმენტების გაფორმება. თითქმის არ ტარდება შიდასამეურნეო მიწათმოწყობის სამუშაოები, თუ მხედველობაში არ მივიღებთ ზოგიერთი მეურნეობის ტერიტორიის ორგანიზაციას ერთეული მიწათსაკუთრებისა და მიწათმოსარგებლების მიერ, რაც სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაბალ დონეზე მეტყველებს, შედეგად სახეზეა, ქვეყანა უმეტესად საზღვარგარეთიდან შემოტანილი პროდუქტებით არსებობს. დასაძინია, რომ სახელმწიფომ მთლიანად აიღო ხელი სამიწათმოწყობო სამუშაოების წარმოებაზე, მის დაფინანსებაზე, სპეციალისტების მომზადებაზე და ა.შ. არადა ქვეყანაში და კერძოდ, საკვლევ ობიექტზე ბევრია ჩასატარებელი სამიწათმოწყობო სამუშაოები—ასათვისებელი მიწის ნაკვეთები, ასაგემი და დასაზუსტებელი მიწათსაკუთრება და მიწათსარგებლობა, დასადგენი მიწის ხარისხი, დასამყარებელი საზღვრები, აღმოსაფხვრელი მიწათსარგებლობის ნაკლოვანებანი, საწარმოების კონსოლიდაცია, ნაკვეთების გამსხვილება, სამექანიზაციო ფართობების ფორმირება, სხადასხვა სახის სამელიორაციო სამუშაოების ჩატარება, მიწების გაუმჯობესება და ა.შ. რაც კარგად გააზრებული და დამუშავებული მიწათმოწყობის პროექტის გარეშე შეუძლებელია და არაეფექტური. მთავარი მომენტია სამიწათმოწყობო საქმის სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფა. შესაბამისი სამსახურების ორგანიზაციის ხელისშეწყობა, კრედიტების გამოყოფა, სპეციალისტების მომზადება, ახლებურად გააზრებული და შემუშავებული მეთოდით უზრუნველყოფა, გარკვეული წამახალისებელი ღონისძიებების შემუშავება და მკაცრი კონტროლის დაწესება. სათანადო დონეზე აყვანილი და მოწესრიგებული მიწათმოწყობა ქვეყნის მიწის ფონდის რაციონალურად გამოყენების და მართვის ერთ-ერთი საიმედო და უტყუარი გარანტი უნდა გახდეს. მიწების მონიტორინგში მოიაზრება დაკვირვებათა სისტემა მიწის

ფონდის მდგომარეობაზე, რომელიც მთლიანად ბუნებრივი გარემოს მდგომარეობაზე დაკვირვების შემადგენელი ნაწილია. მიწების მონიტორინგის ძირითადი მიზანია: მიწის ფონდის მდგომარეობის შეფასება, მომხდარ ცვლილებათა გამოვლენის, მათი შეფასების, ფართობის განსაზღვრის და ნეგატიური პროცესების აღკვეთის რეკომენდაციების შემუშავების უზრუნველყოფა. ასევე მიწის კადასტრის, მიწათმოწყობის და მიწის კონტროლის უზრუნველყოფა საჭირო ინფორმაციით. სადღეისოდ, მიწების მონიტორინგის წარმოება დაგალებული აქვს ადგილობრივ სამთავრობო ორგანოებს საკუთარი ბიუჯეტის ხარჯზე. მონიტორინგის პროცესში მიღებული მონაცემები ფართოდ გამოიყენება მიწათმოწყობის, მიწის კადასტრის და მიწების კონტროლის პროცესში.

დღეს, საქართველოში ობიექტური თუ სუბიექტური მიზეზების გამო, მიწების მონიტორინგის წარმოება საკმაოდ მოუწესრიგებელია. ნათლად ჩანს სათანადო დონის სპეციალისტების ნაკლებობა, მეთოდური ლიტერატურის, ინსტრუმენტების სიმცირე, სამუშაოების წარმოებისათვის გამოყოფილი თანხების უკმარისობა. რა თქმა უნდა ქვეყნის მიწის ფონდის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ორგანიზაციის უზრუნველყოფისათვის საჭიროა, როგორც ბუნებრივი გარემოს, ასევე მისი შემდგენი მთავარი კომპონენტის მიწის მონიტორინგის სრულყოფილი მონაცემების არსებობა. აღნიშნულის მიღწევის მთავარ პირობად, ჩვენის ღრმა რწმენით, აუცილებელია სახელმწიფო რეგულირების დონეზე იქნეს აყვანილი მიწების მონიტორინგის წარმოება, მომზადდეს შესაბამისი კადრები, გამოინახოს სათანადო სახსრები, გაუმჯობესდეს საქმის მწარმოებელი ორგანიზაცია—დაწესებულებების სტრუქტურა, რაც თავის მხრივ ხელს შეუწყობს ქვეყნის მიწის ფონდის მართვის გაუმჯობესების რეალიზაციას.

მიწების დაცვისა და გამოყენების სახელმწიფო კონტროლი ემსახურება საქართველოს მიწის კანონმდებლობით განსაზღვრული მიწების დაცვისა და გამოყენების წესების დარღვევის გამოვლენას და აღკვეთას. კონტროლის მიზანია: ყველა მიწათმესაკუთრის, მიწათმოსარგებლის და მიწათმფლობელის მიერ მოღიანად ქვეყნის მიწის ფონდის და თითოეული მიწის ნაკვეთის გარანტირებული დაცვისა და შენახვის უზრუნველყოფა.

1990-იანი წლების ბოლოს მნიშვნელოვნად გაუარესდა მიწის ფონდის დაცვის საქმე. ხელი აიღეს ეროზიასაწინააღმდეგო ღონისძიებების დანერგვაზე, განუკითხავად დაიწყეს ტყის მასივების გაჩეხვა, იმატა მეწერულმა და ღვარცოფულმა მოვლენებმა, გაჭუჭყიანდა მიწის ფართობები, ბევრი სახნავი და მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებული ფართობები დარჩა დაუმუშავებელი, იკლო ნიადაგის ნაყოფიერებამ და პროდუქტიულობამ.

მდგომარეობა არც მიწის რეფორმის მიმდინარეობის პროცესში გაუმჯობესებულა. სამექანიზაციო ფართობების დაჭრა–დაქუცმაცებამ კიდევ უფრო გააუარესა მიწების აგროტექნიკური უზრუნველყოფა. გაძნელდა სასოფლო–სამეურნეო წარმოების მანქანა–იარაღებით მომარაგება, ფართობების გასარწყავება–დაშრობის და კულტურულტექნიკური ღონისძიებების გატარება, სასუქებითა და შხამქიმიკატებით მომარაგება, მაღალი ხარისხის თესლის და ნერგის წარმოება, სახელმწიფომ შეწყვეტა მიწების აღრიცხვის წარმოება, გაუარესდა დემოგრაფიული სიტუაცია სოფლად. მუშა ხელისაგან დაიცალა სოფელი. მიწის რეფორმის პროცესში დაფუძვნდა უკანონოდ მიწის ფართობების მიტაცება. დღეს საქართველოში იშვიათად ნახავთ მიწათსაკუთრებას თუ მიწათსარგებლობას, რომელიც შეესაბამებოდეს დოკუმენტში აღრიცხულ მიწის ფართობის ზომას, ბევრი მათგანი

მეტია და მცირედით ნაკლები. ყველაფერმა ამან მნიშვნელოვნად გაართულა მიწების დაცვისა და გამოყენების კონტროლის წარმოება.

თუ მიწების დაცვისა და გამოყენების კონტროლის კუთხით საზღვარგარეთის ქვეყნების გამოცდილებას გადავხედავთ, ვნახავთ, რომ სახელმწიფო კონტროლის სისტემის მოქმედება ეყრდნობა ეკონომიკურ და ადმინისტრაციულ მეთოდებს, თანაც ეკონომიკური მექანიზმი მოქმედებს წარმოებაში ჩადებული სახსრების უკუგების პრინციპით, ფართოდაა გამოყენებული მასტიმულირებელი ბერკეტები—საიჯარო ქირის გადასახადის შემცირება, მიწების გამოყენების ვადის ხანგრძლივობა, მიწების დაცვისა და გამოყენების წესებისა და პირობების დაცვისათვის წახალისება. და თუ სუბიექტი დაარღვევს მიწის სავარგულის გამოყენების ნორმებს, მისი უფლება რაღაც ზომით შეიკვეცება. წახალისების ეკონომიკური ღონისძიებები შეტანილია და დაფიქსირებული მეიჯარისა და მოიჯარის მიერ შედგენილ ხელშეკრულებაში. მაგალითად, ამერიკის შეერთებულ შტატებში მიწების დაცვისა და გამოყენების წესების დარღვევის შემთხვევაში ჩამოერთმევა სუბსიდია, კონტრაქტი, დაწესდება შემავიწროებელი ღონისძიებები. ბევრ ქვეყანაში მიწების გაჭუჭყიანების შემთხვევაში შეუწყვეტენ დაფინანსებას. მაგალითად, ინგლისში უპირატესობას აძლევენ 23–40 წლის ასაკის მეურნეს, განათლებით სოფლის მეურნეობის სპეციალისტს და გამოცდილ მუშაკს. გარდა ეკონომიკური ბერკეტებისა გამოიყენება სხვადასხვა სახის სასჯელი. ყველა ქვეყანაში, როგორც წესი მაკონტროლებელი არის სახელმწიფო, მას აქვს ნორმაშემოქმედებითი, მორგანიზებელი და შემსრულებელი როლი. სახელმწიფო ადგენს მიწაზე გარიგების წესებს, ქმნის ნორმატიულ—სამართლებრივ ბაზას, განსაზღვრავს მიწათმესაკუთრეთა და მიწათმოსარგებლეთა კომპეტენციას, ვალდებულებებს მიწის კონტროლზე, ამტკიცებს მიწების გამოყენების წესებს და

პასუხისმგებლობის ნორმებს კანონმდებლობის დარღვევაზე, ადგენს ფინანსური ზემოქმედების ღონისძიებებს.

დღეს, როგორც ზემოთ ავღნიშნეთ საქართველოში და კერძოდ, სამეგრელოს რეგიონში, მიწების დაცვისა და გამოყენების კონტროლის მდგომარეობა არაადამაკმაყოფილებელია. ჩვენის ღრმა რწმენით საქმიანობის გასაუმჯობესებლად და ფეხზე დასაყენებლად საჭიროა მაკონტროლებელი ორგანოების სტრუქტურის სრულყოფა, სათანადო სპეციალისტების მომზადების უზრუნველყოფა, სახელმძღვანელო ლიტერატურის, ინსტრუქციების, რეკომენდაციების, განმარტებების და სხვა ნორმატიულ-მეთოდური დოკუმენტების შემუშავება-გამოცემა, სახელმწიფო ბიუჯეტიდან საჭირო რაოდენობის თანხის გამოყოფა და ყველა სახის კონტროლის უფრო გამკაცრება. კარგად ორგანიზებული და მწყობრად ჩამოყალიბებული მიწების დაცვის და გამოყენების სახელმწიფო კონტროლის სისტემა ხელს შეუწყობს ქვეყნის მიწის ფონდის მართვის სისტემის გაუმჯობესების, მიწის ნაყოფიერების და პროდუქტიულობის ამაღლების უზრუნველყოფას.

3.3 მეურნეობრიობის ახალი ფორმების წარმოქმნის

ტენდენციები და პერსპექტივები

1990-იანი წლებისათვის სამეგრელოს რეგიონში მიწის გამოყენების ფორმები, ძირითადად წარმოდგენილი იყო კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სახით. რეგიონში ფუნქციონირებდა სულ 148 კოლმეურნეობა, 33 სასოფლო-სამეურნეო წარმოების საბჭოთა მეურნეობა და 17 კვების მრეწველობის საბჭოთა მეურნეობა.

საზოგადოებრივი წეს-წყობილების ფორმაციის შეცვლამ, საკუთრებითი ურთიერთობებისა და მეურნეობრიობის ფორმების რადიკალურად გარდაქმნამ დღის წესრიგში დააყენა მიწის გამოყენების

ფორმების ახლებურად გააზრებისა და ჩამოყალიბების საკითხი. ნაცვლად კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობებისა წარმოიქმნა ახალი ტიპის სასოფლო – სამეურნეო საწარმოთა ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმები: ოჯახური მეურნეობები; ინდივიდუალური მეწარმე; სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; საქციო საზოგადოება და კოოპერატივი, რომლებიც კანონით უზრუნველყოფილია თანაბარი ეკონომიკური პირობებითა და სახელმწიფოს მიერ შესაბამისი ხელშეწყობის გარანტიით.

ახლად დაფუძნებული სასოფლო – სამეურნეო საწარმოების მთავარი მიზანი და ამოცანაა წარმოების ეფექტიანობის უზრუნველყოფის პირობების შექმნა, მეურნეობრიობის ისეთი ორგანიზაციულ – სამართლებრივი ფორმების ჩამოყალიბება და განვითარება, რომელიც ხელს შეუწყობს არსებული რესურსული პოტენციალის რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფას. მეურნეობის ორგანიზაციული ფორმა ადეკვატურად უნდა პასუხობდეს მის ეკონომიკურ შინაარსს, დასახული მიზნის მიღწევას, შრომითი პროცესის თავისებურებებს, მოსახლეობის შრომით ჩვევებს და ტრადიციებს. [78]

2007 წლის სტატისტიკური მონაცემებით სამეგრელოს რეგიონში ფუნქციონირებს 102 116 მეურნეობა. აქედან 101 893 ანუ 99.84 % ოჯახური მეურნეობაა, ხოლო 161 ანუ 0.16 % სასოფლო–სამეურნეო საწარმო. მათ შორის 38 ანუ 23.6 % ინდივიდუალური მეწარმე; 3 ანუ 1.9 % სოლიდარული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 58 ანუ 36 % შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება; 8 ანუ 5 % საქციო საზოგადოება და 54 ანუ 33.5 % კოოპერატივი.

ოჯახური მეურნეობებიდან – 101 893 შინამეურნეობის მეურნეობაა; სხვა ტიპის 62 მეურნეობიდან 41–საგანმანათლებლო დაწესებულებაა, 4 სხვადასხვა სახის სახელმწიფო დაწესებულება, 6 რელიგიური

გაერთიანება (ასოციაცია), 110 სხვა სახის მეურნეობა. 71 795 მეურნეობის ძირითადი საქმიანობა სასოფლო-სამეურნეო წარმოებაა. 88 504 მეურნეობა აწარმოებს მხოლოდ საკუთარი მოხმარების პროდუქტებს, ხოლო 10 531 მეურნეობა სარეალიზაციო პროდუქციას. ამდენად, მეურნეობის ძირითადი ნაწილი საკუთარი მოხმარების პროდუქციას აწარმოებს, ხოლო მცირედი სარეალიზაციო პროდუქციას, რაც წარმოების დაბალ დონესა და გარდაუვალი გარდაქმნების აუცილებლობაზე მეტყველებს.

ფართობის სიდიდის მიხედვით მეურნეობები წარმოდგენილია შემდეგნაირად: 7 930 ანუ მეურნეობების 7–8 %-ს აქვს 0.06 ჰექტრამდე მიწის ფართობი; 7 913 მეურნეობას ანუ 7.7 %-ს 0.06–0.09-მდე ჰა; 6 799 მეურნეობას ანუ 6.6 %-ს 0.1–0.19 ჰექტრამდე; 17 320 მეურნეობას ანუ 16.9 %-ს 0.2–0.49 ჰექტრამდე. 33 409 მეურნეობას ანუ 32.7 %-ს 0.5–0.99 ჰა; 27081 მეურნეობას ანუ 26.5 %-ს 1–1.99 ჰექტრამდე; 989 მეურნეობას ანუ 1 %-ს 2–2.99 ჰა; 222 მეურნეობას ანუ 0.2 %-ს 3–3.99 ჰა; 74 მეურნეობას ანუ 0.074 %-ს 4–4.99 ჰა; 139 მეურნეობას ანუ 0.14 %-ს 5–9.99 ჰა; 91 მეურნეობას ანუ 0.09 %-ს 10–19.99 ჰა ფართობი. 63 მეურნეობას ანუ 0.06 %-ს აქვს 20–49.99 ჰა; 34 მეურნეობას ანუ 0.03 %-ს 50–99.99 ჰა; 27 მეურნეობას ანუ 0.03 %-ს 100–199.99 ჰა. 14 მეურნეობას ანუ 0.013 %-ს 200–499.99 ჰა; 11 მეურნეობას ანუ 0.01 %-ს 500 ჰა-ზე ზევით. უმეტესი მეურნეობების 76.1 %-ის ფართობები 0.5-დან 2 ჰექტრამდეა. 1.43 %-სს 3-დან 5 ჰექტრამდე, 0.18 %-სს 5–100 ჰექტარიდან ზევით, რაც სამექანიზაციოდ ხელსაყრელი ზომის მეურნეობების მეტად სიმცირეზე მეტყველებს.

94104 მეურნეობა აწარმოებს ძირითადად ერთწლიან კულტურებს. 63325 მეურნეობა მრავალწლიან ნარგავებს. მ.შ. 52529 მეურნეობა ხეხილის ბაღებს. 18423 მეურნეობა ვენახებს; 10051 ციტრუსებს; 764 მეურნეობა ჩაის კულტურას.

სამეგრელოს რეგიონში არსებული მეურნეობები ფართობის სიდიდის მიხედვით
/2008 წ./

№	ფართობი /ჰა/	მეურნეობების რაოდენობა	არსებული მეურნეობების მიმართ %-ში
1	0.06–მდე	7930	7.8
2	0.06–0.09-მდე	7913	7.7
3	0.1–0.19-მდე	6799	6.6
4	0.2–0.49-მდე	17320	16.9
5	0.5–0.99-მდე	33409	32.7
6	1–1.99-მდე	27081	26.5
7	2–2.99-მდე	989	1
8	3–3.99-მდე	222	0.2
9	4–4.99-მდე	74	0.074
10	5–5.99-მდე	139	0.14
11	10–19.99-მდე	91	0.09
12	20–49.99-მდე	63	0.06
13	50–99.99-მდე	34	0.03
14	100–199.99-მდე	27	0.03
15	500–ზე ზევით	11	0.01

ცხრილი შედგენილია საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს მონაცემების მიხედვით.

102116 მეურნეობიდან 57890 ერთნაკვეთიანია; 43400 მეურნეობა 2–3 ნაკვეთიანი; 709 მეურნეობა 4–5 ნაკვეთიანი; 106 მეურნეობა 6–9 ნაკვეთიანი; 11 მეურნეობა 10 და მეტი მიწის ნაკვეთით. მეურნეობების უმეტესი რიცხვი ერთ ნაკვეთიანია, მომდევნო 2–3 ნაკვეთიანი მეურნეობები.

მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის მოვლა–შენახვით დაკავებულია 62258 მეურნეობა. ღორების მოშენებას აწარმოებს სულ 55112 მეურნეობა. თხის ფარის მოშენებით დაკავებულია სულ 4950 მეურნეობა. მეფრინველეობით დაკავებულია 78607 მეურნეობა. ოჯახური მეურნეობების უმეტესი ნაწილი სხვადასხვა სახეობის შერეული პირუტყვის მოშენება–გამოზრდითაა დაკავებული, რაც ოჯახური მეურნეობრიობის ფორმის დამახასიათებელ საქმიანობად ითვლება.

არსებული მდგომარეობის შესწავლა–ანალიზი გვიჩვენებს, რომ რეგიონში სასოფლო–სამეურნეო პროდუქციის წარმოების დიდი

შესაძლებლობებია, ფორმირებისა და ჩამოყალიბების სტადიაშია სხვადასხვა ფორმის და მიმართულების მეურნეობა, საჭიროა წარმატებულად წარმოჩენილი, მომგებიანი მეურნეობრიობის ფორმების წინა პლანზე წამოწევა, მისი სრულყოფის საკითხების შემუშავება და ცხოვრებაში თანდათან დანერგვა. მადომინერებელი ადგილი ოჯახური მრავალდარგოვანი მეურნეობების წილად მოდის. სწორედ ინდივიდუალური მეურნეობები წარმოადგენს მცირე ბიზნესის ფორმირების ხერხემალს, ამომავალ საწყისს სხვა კოოპერატიული ფორმების განვითარებისათვის.

ცნობილია რომ განვითარებულ ქვეყნებში პოპულარული ფორმაა სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივი. დასავლეთ ევროპის, ჩრდილო ამერიკის და ავსტრალიის 80 %, ხოლო ჩრდილოეთ ევროპის და იაპონიის 100 %-მდე ფერმერებისა გაერთიანებულია სასოფლო-სამეურნეო კოოპერატივში. ნიდერლანდში ბოსტნეულისა და რძის პროდუქტების შესყიდვაში კოოპერატიული საწარმოების წილი 90 %-ს აღწევს, კარტოფილის 100 %-ს. ჩინეთში სასოფლო-სამეურნეო სავარგულების 80 % მუშავდება კოოპერატივებისა და ამხანაგობების მიერ, მხოლოდ 7 % უკავია ფერმერებს.

მოწინავე ქვეყნების გამოცდილება ნათელყოფს, რომ ხელსაყრელობის მიხედვით წინა პლანზე დგას შედარებით მსხვილფართობიანი მეურნეობები, რაც ძირითადად მიწის ფონდის არსებობით განისაზღვრება, მაგალითად ფერმის საშუალო სიდიდე შვეიცარიაში 29 ჰექტარია, დიდ ბრიტანეთში-68, გერმანიაში -19, პორტუგალიაში 7, საბერძნეთში-4, ბელგიაში-16, იაპონიაში-1.2 ჰა; ამერიკის შეერთებულ შტატებში მსხვილი ფერმის საშუალო ფართობი 55.8 ჰექტარია, ხოლო წვრილი ოჯახური მეურნეობის-3.7 ჰა. რა თქმა უნდა ფერმის ზომას ხშირად ფართობთან ერთად განსაზღვრავს სპეციალიზაცია, მუშახელი, კაპიტალი, პროდუქციის გასაღების ბაზარი

და სხვა. ევროპის მოწინავე ქვეყნებში ფერმის საუკეთესო ზომად 50–100 ჰექტარს თვლიან. საქართველოში ფერმის საშუალო სიდიდე 0.9 ჰექტარია, სამეგრელოს რეგიონში 2.1 ჰა. 379 მეურნეობის ფართობი 5 ჰექტარს ზევითაა, რაც რა თქმა უნდა ვერ აკმაყოფილებს რეგიონის თანამედროვე მოთხოვნებს. ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა ჩხოროწყუს რაიონში რეოს კაჭარავას ოჯახური მეურნეობა, რომელიც ორგანიზებულია 5 ჰა ფართობზე. აქედან 2.5 ჰა უკავია თხილის კულტურას და 2.5 ჰა კივის. მეურნეობას ჰყავს ხუთი თანამშრომელი. ფერმერის თქმით წელიწადში მას 2.5 ჰა-ზე თხილის წარმოება უჯდება 8 500 ლარი. 1 ჰა-ზე ღებულობს 2.8 ტონა თხილის მოსავალს. ერთი ტონა თხილის სარეალიზაციო ფასი ფერმერის განმარტებით /2009 წლის მონაცემებით/ 2 200 ლარია. 2.5 ჰა-ზე ღებულობს 7 ტონა თხილის მოსავალს, რომლის რეალიზაციიდან ფერმერის წლიური შემოსავალი შეადგენს 15 400 ლარს. ფერმერს წელიწადში თხილის წარმოება–რეალიზაციის შედეგად რჩება 6 900 ლარის მოგება. მოგება ერთ ტონაზე 986 ლარია, მოგება ერთ ჰექტარზე 2760 ლარს უტოლდება. /იხ. ცხრ. 27/

ოჯახური მეურნეობის განვითარების პრიორიტეტული პერსპექტივა–კოოპერაციაა. სწორედ იგი იძლევა შესაძლებლობას, სხვადასხვა საშუალებით ოჯახური მეურნეობების გაერთიანების გზით, მაღალმწარმოებლური რენტაბელური მეურნეობების ფორმირების უზრუნველსაყოფად.

რ. კაჭარავას ოჯახური მეურნეობის ეკონომიკური მაჩვენებლები
/თხილის წარმოება/

№	დასახელება	ზომის ერთეული	წლები		
			2007	2008	2009
1	ფართობი მ.შ. მოსავლიანი	ჰა	2.5	2.5	2.5
		ჰა	1.0	1.5	2.5
2	მოსავლიანობა	ტ/ჰა	2.5	2.6	2.8
3	მთლიანი მოსავალი	ტონა	2.5	3.9	7
4	ერთი ტონის საბაზრო ფასი	ლარი	1500	1700	2200
5	პროდუქციის რეალიზაციიდან ამონაგები თანხა	ლარი	3750	6630	15400
6	მთლიანი ხარჯები	ლარი	2600	4100	8500
	მ.შ. ხარჯები მოსავლიან ფართობზე	ლარი	1500	2200	
7	1 ტ. თხილის თვითღირებულება	ლარი	600	564	1214
8	მოგება	ლარი	1150	2530	6900
9	მოგება ერთ ტონაზე	ლარი	460	648	986
10	მოგება ერთ ჰექტარზე	ლარი	575	1012	2760
11	რენტაბელობის დონე	%	44	61	81

ამდენად, ინდივიდუალური მეურნეობების განვითარება კოოპერატიული და სხვა სახის ინტეგრაციულ სისტემაში, რეგიონის სასოფლო-სამეურნეო წარმოების წინსვლის საიმედო საწინდარია.

**3.4 მიწის გამოყენების ეკონომიკური და ეკოლოგიური
ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა რეალიზაციის
კვალობაზე მიწის პერსპექტიული გამოყენების
შესაძლებლობები.**

საკვლევი ობიექტის მიწის ფონდის ეკონომიკური და ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების ღონისძიებათა კომპლექსის დანერგვით—მიწის საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, მიწის რეფორმის წარმატებით დასრულება, გამართული და მაღალორგანიზებული მიწის ბაზრის ფორმირება, მიწების გაუმჯობესება—ტრანსფორმაცია, მიწის ფონდის მართვის სრულყოფა, მეურნეობრიობის ახალი ხელსაყრელი ფორმების დაფუძნება, სახელმწიფო რეგულირების უზრუნველყოფა და მიწათმოქმედების მაღალი კულტურის დანერგვა—შესაძლებლობას იძლევა უზრუნველყოფილი იქნას მიწის ყველა ფუნქციის—მომპოვებელი, გადამამუშავებელი, რეკრეაციული და სოფლის მეურნეობის სფეროების წარმატებით განვითარება და საბოლოო ჯამში, ეკონომიკის ზრდის ყველა ფაქტორის მიწის, კაპიტალის, შრომის და სამეწარმეო უნარის სრულად, რაციონალურად და ეფექტურად გამოყენება.

საზოგადოების განკარგულებაში არსებული ყოველი ჰექტარი მიწის უფრო მიზანდასახული გამოყენება ეროვნული მეურნეობის განვითარების მთავარი წინაპირობაა. მიწის რაციონალური და მაღალეფექტური გამოყენება ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პრობლემაა ჩვენს ქვეყანაში და შესაბამისად აღნიშნულ რეგიონშიც. ეს განპირობებულია მიწის, როგორც სპეციფიკური თავისებურებებით, ასევე მოსახლეობის ზრდით, მაღალნაყოფიერი მიწის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფით, მისი ფართობების სისტემური შემცირებით, სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე მოსახლეობის მოთხოვნილების ზრდით და ა.შ.

მიწების გამოყენების ხასიათი ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში დამოკიდებულია ამა თუ იმ მიწის ნაკვეთის მიზნობრივ დანიშნულებაზე. მიწის რესურსების გამოყენება იმ შემთხვევაში შეიძლება ჩაითვალოს რაციონალურად, როდესაც მისი გამოყენება თავისი ხასიათით შეესაბამება ამა თუ იმ კატეგორიის მიწების მიზნობრივ დანიშნულებას, უზრუნველყოფს მათ მაქსიმალურ ჩაბმას სამეურნეო ბრუნვაში, მიწათსარგებლობის ეფექტურობის მაღალ დონეს, მიწების დაცვასა და გაუმჯობესებას. [26] მიწების გაუმჯობესება ეს არის მისი ნაყოფიერების ამაღლება სხვადასხვა ღონისძიებების გატარებით, რომელიც საბოლოო ჯამში გულისხმობს მიწის დამუშავებას უფრო თანამედროვე ტექნიკითა და ტექნოლოგიის გამოყენებით, სასუქების ოპტიმალური დოზით შეტანას, სარწყავი და დაშრობითი მელიორაციული ღონისძიებების გატარებას და ა.შ.

რეგიონის სახნავი მიწები მრავალი მიზეზის გამო დაუმუშავებელია. პირველ რიგში მექანიზაციის დაბალი დონის გამო. სამწუხაროდ, სოფლად მცხოვრები ადამიანები მიწას ისევ მამაკაპური მეთოდებით ამუშავებენ, რის გამოც მიწის ფართობის უმრავლესობა მოუვლელია. კარგი მოსავლის მისაღებად ტექნიკური საშუალებების, სათესლე კულტურათა და სარწყავ-დაშრობითი სისტემის გაუმჯობესებაა საჭირო და ამას მაქსიმალურად სახელმწიფომ უნდა შეუწყოს ხელი. რეგიონში, სადაც მილიონობით ღირებულების მოსავალს აწარმოებდნენ, აუმჯობესებდნენ მიწებს, ხდებოდა დასამუშავებლად ახალი მიწების ათვისება, ამჟამად მიწის დიდი ნაწილი ეროზირებულია. სამეგრელოს რეგიონის მიწები, განსაკუთრებით ხობსა და სენაკში მეორად დაჭაობებას განიცდის. ამდენად, რეგიონის მიწები გადაუდებელ გაუმჯობესებას მოითხოვს.

მიწის ფონდის გამოყენების შესწავლა-ანალიზი და რესურსული პოტენციალის გათვალისწინება შესაძლებლობას გვაძლევს, ეროვნული

მეურნეობის დარგების ჭრილში განვსაზღვროთ მიწების პერსპექტიული გამოყენების პარამეტრები და ჩამოვაყალიბოთ მიწის სავარგულების ხელსაყრელი სტრუქტურული შედგენილობა. სტატისტიკური მონაცემებით მრეწველობის მთლიან პროდუქციას რეგიონის ეროვნულ მეურნეობაში 19.3 % უკავია, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქციას 80.7 %. რეგიონის მთლიან ფართობში მიწის სასოფლო-სამეურნეო სავარგულებს 40 % უჭირავს. ადგილზე სიტუაციის შესწავლით, არასასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში რაიმე ახალი მიწების ჩართვა გათვალისწინებული არ არის. როგორც ზემოთ ავღნიშნეთ, დიდი რეზერვია მომპოვებელი და გადამამუშავებელი მრეწველობის ზრდის და რეკრეაციული მეურნეობის გაფართოების ხაზით; ამ დარგებში მთავარ ამოცანად მიგვაჩნია უარყოფითი ბუნებრივი და ანთროპოგენული მოვლენებისაგან მიწების დაცვის ორგანიზაცია. ჩვენ უფრო დეტალურად გვინდა წარმოვადგინოთ მიწის სასოფლო-სამეურნეო სავარგულების გამოყენების პერსპექტიული შესაძლებლობები.

მიწათმოქმედების მაღალი კულტურის მქონე მხარე ცნობილია ჩაის, ციტრუსების, ვაზის, ხეხილის, თხილის, კივის, ფეიხოსას, დაფნის, ხურმის, ბამბუკის, ბოსტნეულ-ბაღჩეულის, მარცვლოვანი კულტურების და საკვები კულტურების წარმოებით. ქვეყანაში მიმდინარე სოციალურ-ეკონომიკურმა გარდაქმნებმა, ნაცვლად წინა პერიოდში მრავალწლიანი კულტურების წარმოებაზე სპეციალიზირებული საწარმოებისა, წინა პლანზე წამოიწია მარცვლეულისა და მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების უპირატესად განვითარებამ, რამაც ბუნებრივად წამყვანი ადგილი დაიკავა სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფის საქმეში. მრავალწლოვანი კულტურების ადგილი ხშირად ერთწლიანმა ნათესმა კულტურებმა დაიკავა. მოსახლეობის მარცვლეულით უზრუნველყოფის

პერსპექტივების კვლევა და ეკონომიკური რესურსების მაქსიმალური ჩართვა მარცვლეულის ფონდის გადიდებაში პირველხარისხოვან პრობლემად წარმოჩნდა. აუცილებელი გახდა მარცვლეულის წარმოების შემდგომი განვითარების ახალი გზებისა და მიმართულებების დასახვა:

სასოფლო-სამეურნეო სავარგულების კერძო საკუთრებაში გადაცემა რომ პროგრესული მოვლენაა, ეს უდაოა, მაგრამ ამასთან არ შეიძლება არ აღინიშნოს იმ უარყოფითი ტენდენციების შესახებ, რომლებმაც ერთგვარად შეაფერხა სოფლად აგრარული ურთიერთობების პროცესი. სასოფლო-სამეურნეო სავარგულები კერძო საკუთრებაში გადაცემის შემდგომ დაქუცმაცდა წვრილ ნაკვეთებად და ხშირ შემთხვევაში ერთმანეთისგან დიდი მანძილითაა დაშორებული. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ამგვარი განლაგება ხელს უშლის მათ ეფექტიანად გამოყენებას, ვინაიდან რთულდება ნიადაგის მექანიზაციის საშუალებით დამუშავების პირობები, რაც უარყოფითად მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო სამუშაოების ჩატარების ხარისხზე. ამცირებს მანქანა-იარაღების გამოყენების ეფექტიანობას და შესაბამისად სასოფლო-სამეურნეო კულტურათა მოსავლიანობას. ზრდის პროდუქციის წარმოებაზე გაწეულ მატერიალურ-ფულად დანახარჯებს, რაც საბოლოო ჯამში აძვირებს ერთეული პროდუქციის თვითღირებულებას. [3.2]

აღსანიშნავია, რომ საერთაშორისო მასშტაბით სასურსათო უსაფრთხოების მაჩვენებელი პრაქტიკულად ყველა ქვეყანაში მარცვლეულთანაა დაკავშირებული, რასაც განაპირობებს მარცვლეულის არა მარტო კვებითი ღირებულება და მისი გამოყენების მრავალმხრივობა, არამედ მისი, როგორც პროდუქტის ხანგრძლივი ვადით შენახვის შესაძლებლობა და ტრანსპორტაბელურობა. ეს თვისებები მას ანიჭებს ძირითადი სასურსათო პროდუქტის ფუნქციას.

მარცვლეულის (სიმინდის) წარმოება ოდითგანვე სამეგრელოს სოფლის მეურნეობის ერთ-ერთ პრიორიტეტულ მიმართულებას წარმოადგენდა. ამასთან რეგიონის განვითარების ყველა ეტაპზე მისი სტრუქტურა გარკვეულ ცვლილებებს განიცდიდა. 90-იანი წლებიდან (თითქმის 10 წელი) ტყეების სტიქიურად გაკაფვის შედეგად სახნავ-სათესი მიწები შესამჩნევად გაიზარდა, მიუხედავად ამისა, 2001–2004 წწ. ამ მიწების აუთვისებლობის ერთ-ერთი მიზეზი სამელიორაციო სისტემებზე მიმდინარე საექსპლუატაციო და სარეკონსტრუქციო-სარეაბილიტაციო სამუშაოების დაფინანსების და მოსახლეობის მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით უზრუნველყოფის დაბალი დონე იყო. გლეხი (ფერმერი) დარწმუნდა რა ჩაის, ციტრუსიების, ვენახის, ხილის ნარგავების უპერსპექტივობაში, დაიწყო მათი ამოძირკვა და თვითგადარჩენის მიზნით მარცვლეულის, ბოსტნეულ-ბაღჩეულისა და მეცხოველეობის დარგების საკუთარი სახსრებით განვითარება. სწორედ ამის შედეგი იყო ის, რომ 1990–2004 წლებში გაიზარდა სიმინდის ნათესი ფართობები. სიმინდის წარმოება უპირატესად ფერმერულ მეურნეობებში განვითარდა. წვრილი გლეხური მეურნეობები ქვეყანაში და შესაბამისად რეგიონში, ჯერ კიდევ რეფორმამდე ფუნქციონირებდნენ, მოსახლეობის ინდივიდუალურ სარგებლობაში არსებული საკარმიდამო ნაკვეთების სახით.

ბევრია ნათქვამი და გაკეთებული მარცვლეული კულტურების წარმოების გადიდების პრობლემებზე, სახელოვანი ქართველი მეცნიერების მიერ დამუშავებული ეფექტური წარმოების ტექნოლოგიებში. მიუხედავად ამისა, დღეს საბაზრო ეკონომიკის პირობებში, ისევ ახლებური გააზრებითაა საჭირო საკვლევ რეგიონში მარცვლეულის წარმოების ორგანიზაციისა და თესვა-მოყვანის საკითხების გადაწყვეტა. თანამედროვე პირობების მიხედვით შესარჩევი და დასაზუსტებელია ნათესების სტრუქტურა, განსაზღვრას საჭიროებს

ნაწილი კულტურების პრიორიტეტულობა და წარმოების ხელსაყრელობა. აღსადგენია ღომის კულტურის წარმოება. დარგის განვითარება უნდა მოხდეს როგორც ექსტენსიური, ასევე ინტენსიური გზით. მეურნეობრიობის ახალი ხელსაყრელი ფორმების დაფუძნება ახალი მიწების ჩართვა ნათესების შემადგენლობაში, ქიმიზაციისა და მექანიზაციის სრულყოფა, სელექციური ჯიშების შერჩევა, მინერალურ სასუქებთან ერთად ორგანული სასუქების გამოყენების წინა პლანზე წამოწევა, სახელმწიფოს მიერ მიწათმესაკუთრეთა მხარდაჭერა, საკრედიტო კავშირების სრულყოფა, მატერიალური და ფინანსური დახმარება, შხამქიმიკატებით მომარაგება და პროდუქციის გასაღების ბაზრის რეგულირება. [71]

ჩვენი შეხედულებით სამეგრელოს რეგიონში შესაძლებელია სამარცვლე სიმინდის წარმოების მოცულობის გადიდება, როგორც დაუმუშავებელი მიწების ათვისებით, ასევე მოსავლიანობის დონის ამაღლების გზით. ყოველივე ეს შესაძლებელია საკვლევი რეგიონის ბუნებრივ-ეკონომიკური პირობებიდან გამომდინარე და საწარმოო ტექნიკური, ორგანიზაციულ-ეკონომიკური და სოციალურ-ეკონომიკური ღონისძიებების დაფინანსების გზით.

მოსავლიანობის დონის შემდგომი ზრდისათვის ამ რეგიონში არსებობს საფუძველი, რაზეც მეტყველებს საკვლევი ზონაში ჩატარებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის შედეგები. მაგალითად, გასული საუკუნის 80-იან წლებში აბაშის რაიონში ერთ ჰა-ზე საშუალოდ 35.6 ცენტნერი სამარცვლე სიმინდი მიიღეს, ანალოგიური ბუნებრივ – კლიმატურ პირობებში ექსპერიმენტულმა სასწავლო – საცდელმა პუნქტებმა ერთ ჰა-ზე მიიღეს საშუალოდ 60.1 ცენტნერი მარცვალი.

საკვლევი რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურების მოსავლიანობის ამაღლების საკითხის გადაწყვეტა არ შეიძლება ერთი

რომელიმე ღონისძიების იზოლირებულად გატარებით. საჭიროა კომპლექსური ღონისძიებების განხორციელება, როგორცაა მედიორაციული და აგრომედიორაციული, ნიადაგის დამუშავება –განოყიერების, ნათესების და მრავალწლიანი ნარგავების მოვლა –პატრონობის პროგრესული ხერხებისა და მეთოდების გამოყენება.

რეგიონის სოფლის მეურნეობას გააჩნია, როგორც ექსტენსიური, ისე ინტენსიური განვითარების შესაძლებლობა, რაც გულისხმობს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული გაველურებული და გამოუყენებელი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების პრივატიზაციის გზით ჩართვას სასოფლო-სამეურნეო წარმოების პროცესში. რეგიონის პრივატიზებული და საპრივატიზაციო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები რაიონების მიხედვით მოცემული გვაქვს ცხრილში 26.

გარდა ამისა, კვლევის შედეგად დადგინდა, რომ პრივატიზებული და გაიჯარებული სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწების დაახლოებით ერთ მეოთხედზე მეტი არ არის ჩართული სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში, რაც მხარისათვის მნიშვნელოვან რეზერვს წარმოადგენს სასოფლო-სამეურნეო წარმოების გადიდების თვალსაზრისით.

პერსპექტივაში სრულიად შესაძლებელი და რეალურია რეგიონში მარცვლელი კულტურების თესვა-მოყვანა გაცილებით მეტ ფართობზე, სადაც ჩვენი გათვლებით შესაძლებელია საჰექტარო მოსავლიანობის გაზრდაც.

პერსპექტივაში /2020წ/ საჰექტარო მოსავლიანობის გასაანგარიშებლად, გადავწყვიტეთ გვესარგებლა საწარმოო ფუნქციით, რომელიც წარმატებით გამოიყენება ეკონომიკურ-მათემატიკური ამოცანების ინფორმაციის დამუშავებისათვის. საწარმოო ფუნქცია აერთიანებს წარმოების

შედგების მათემატიკურად გამოსახულ კავშირებს და ურთიერთობებს საწარმოო ფაქტორების დანახარჯებთან.

ცხრილი 28

სამეგრელოს რეგიონის პრივატიზებული და საპრივატიზაციო სასოფლო-სამეურნეო სავარგულები რაიონების მიხედვით
2009 წლის მდგომარეობით /ფართობები ჰა-ში/

№	უ რაიონები	საპრივატიზაციოდ დარჩენილი სას.სამ. სავარგულები /ჰა/	2006–2009 წლებში პრივატიზებული სას.სამ. სავარგულები/ჰა/
1	აბაშა	2399.6	2562.7
2	მარტვილი	1443.3	637.2
3	ჩხოროწყუ	3353.5	–
4	სენაკი	4337.5	3631.6
5	წალენჯიხა	2532.5	485.0
6	სობი	4788.7	2262.9
7	ზუგდიდი	4749.0	3248.0
	სულ	23604.1	12827.4

წყარო: საქართველოს მიწის მართვის დეპარტამენტის საარქივო მასალები.

საწარმოო ფუნქციების მოდელი ზოგადი სახით გამოისახება განტოლების სახით, რომელშიც წარმოების შედეგები წარმოდგინდება, როგორც n უცნობი სიდიდის-ფაქტორების ფუნქცია. $y = f(x_1, x_2, x_3, \dots, x_n)$ სადაც x_1, x_2, \dots, x_n წარმოების ფაქტორებია.

საწარმოო ფუნქციების გამოყენებით მოსახერხებელია წარმოების შედეგების პროგნოზირება პერსპექტივისათვის. ამ შემთხვევაში საშედეგო მაჩვენებელსა და ფაქტორებს შორის ურთიერთ კავშირისათვის შევარჩიეთ სხვადასხვა სახის წირები:

$$y_1 = ax^b, \quad y_2 = a + bx, \quad y_3 = \frac{x}{a + bx}$$

a და b პარამეტრების შერჩევა ხდება სტატისტიკაში ცნობილი უმცირეს კვადრატთა მეთოდით შემდეგი ფორმულების გამოყენებით:

$$I. \quad b_1 = \frac{\sum l_n y \sum l_{nx} - n \sum l_n xy}{(\sum l_n x)^2 - n(\sum l_n x)^2}; \quad a_1 = l \frac{\sum l_n - b \sum l_n x}{n};$$

$$II. \quad b_2 = \frac{\sum x \sum y - n \sum xy}{(\sum x)^2 - n \sum x^2}; \quad a_2 = \frac{\sum y - b \sum x}{n};$$

$$III. \quad b_3 = \frac{n \sum \frac{1}{xy} - \sum \frac{1}{x} \sum \frac{1}{y}}{n \sum \frac{1}{x^2} - (\sum \frac{1}{x})^2}; \quad a_3 = \frac{\sum \frac{1}{y} - b \sum \frac{1}{x}}{n};$$

ამოცანა კომპიუტერზე ამოვსენით ელექტრონული ცხრილების პროცესორის EXCEL-ის გამოყენებით.

მივიღეთ შემდეგი შედეგი: (იხ. ცხ 29)

a პარამეტრი გვიჩვენებს ამოსავალი (საძიებელი) მაჩვენებლის თეორიულ დონეს. b პარამეტრი კი მოსავლიანობის ნამატს წლის განმავლობაში.

ცხრილი 29

საწარმოო ფუნქციების გამოყენებით საპროგნოზო მაჩვენებლების გაანგარიშება							
წლები	X	X^2	Y _{ც.}	Y^2	XY	Xსაშ	Y საშ
1980	1	1	30.33	919.9089	30.33	3.5	30.345
1984	2	4	26.67	711.2889	53.34		
1985	3	9	30.35	921.1225	91.05		
1986	4	16	31.35	982.8225	125.4		
1987	5	25	33.72	1137.0384	168.6		
1988	6	36	29.65	879.1225	177.9		
	21	91	182.07	5551.3037	646.62		
N=	6						
f=A+B*X		B=		0.53571429			Y= 28.47 + 0.53 X
		A=		28.47			
							=(F13-B14*G7*H7)/(C13-B14*G7^2)
32		Y=		45.613			

სამარცვლე სიმინდი								
S ფართობი	y მოსავლიანობა	1/S	1/y	1/s^2	1/sy	y/s	sy	s^2
917	34.3	0.001090513	0.029155	1.18922E-06	3.17934E-05	0.037405	31453.1	840889
884	27.9	0.001131222	0.035842	1.27966E-06	4.05456E-05	0.031561	24663.6	781456
903	32.9	0.00110742	0.030395	1.22638E-06	3.36602E-05	0.036434	29708.7	815409
681	37.9	0.001468429	0.026385	2.15628E-06	3.87448E-05	0.055653	25809.9	463761
751	40.6	0.001331558	0.024631	1.77305E-06	3.2797E-05	0.054061	30490.6	564001
719	26.9	0.001390821	0.037175	1.93438E-06	5.17034E-05	0.037413	19341.1	516961
4855	200.5	0.007519961	0.183582	9.55897E-06	0.000229244	0.252528	161467	3982477
n=	6							
	A=	-5.78241E-19		B=	26.73469388		Y=S/(A+BS)	
	A1=	-12.85468787		B1=	254584.9927		Y1= A+B/S	
	A2=	1994.157054		B2=	-2.42316011		Y2= AS+B	
S ფართობი	y მოსავლიანობა	lny	lnSY	lns			SY	S^2
1362	30.33	3.412137322	10.62885	7.216709487			41309.46	1855044
1187	26.67	3.283539338	10.36272	7.079184395			31657.29	1408969
1190	30.35	3.412796518	10.49451	7.081708586			36116.5	1416100
1028	31.35	3.445214267	10.38058	6.935370446			32227.8	1056784
1069	33.72	3.518091133	10.49257	6.974478911			36046.68	1142761
1009	29.65	3.389462125	10.30618	6.91671502			29916.85	1018081
6845	182.07	20.4612407	62.66541	42.20416684			207274.6	7897739
N=	6							
	B=	-0.004924165		A=	35.96265208		Y=A+bS	
	B1=	-0.262356948		A1=	2.9362E+131		Y=A*EXP(BS)	
	B2=	-0.667171358		A2=	2.17101E+20		Y=A*S^B	

ამდენად, პერსპექტივაში სრულიად შესაძლებელი და რეალურია რეგიონში სიმინდის მოსავლიანობა გავზარდოთ 4 ტონამდე. შესაბამისად, მიწის სავარგულების გაუმჯობესება–ტრანსფორმაციის შესაძლებლობების გათვალისწინებით სასოფლო–სამეურნეო სავარგულების სტრუქტურული შედგენილობა ნაჩვენები გვაქვს ქვემოთ მოტანილ ცხრილში (იხ. ცხ. 30).

ცხრილი 30

პერსპექტიული სათესი კულტურების ფართობები რაიონების მიხედვით

№	რაიონი	სულ სახნავი (სათესი ფართობი)/ჰა/	მარცვლეული კულტურები	ტექნიკური კულტურები	კარტოფილი	ბოსტნეულ-ბალახეული კულტურები	საკვები კულტურები
1	ზუგდიდი	14646	12000	500	200	1000	1946
2	აბაშა	14491	10000	2400		500	1591
3	მარტვილი	11410	9000	400	100	400	510
4	სენაკი	11839	8000	2000	150	450	1239
5	ჩხოროწყეუ	5643	4500	-	100	500	543
6	წალენჯიხა	4566	4000	-	50	200	316
7	ხობი	17515	12000	2500	400	800	1815
	სულ	80110	59500	7800	1000	3850	7960

წყარო: საკვლევ რეგიონში არსებული სახნავი ფართობებისა და ასათვისებლად გამოვლენილი მიწების მასალები.

ცხრილი 31

სამეგრელოს რეგიონში სასოფლო-სამეურნეო კულტურათა პროდუქტიულობის მაჩვენებლების პროგნოზული პარამეტრები 2020 წლამდე პერიოდისათვის

№	კულტურების დასახელება	ფართობი /ჰა/	მოსავლიანობა ტ/ჰა	საერთო მოსავალი /ტ/
1	მარცვლეული	59500	4.0	238000
2	ტექნიკური კულტურები	7800	1.5	11700
3	კარტოფილი	1000	20.0	20000
4	ბოსტნეული და ბალახეული	3850	20.0	77000
5	ხეხილის ბაღი მ.შ. ნაყოფის მომცემი	4000 3200	10.0	32000
6	ვენახი მ.შ. ნაყოფის მომცემი	1000 900	6.0	5400
7	ჩიტრუსები მ.შ. ნაყოფის მომცემი	1700 1300	18.0	23400
8	ჩაი მ.შ. ნაყოფის მომცემი	16740 16322	4.5	73449
9	სხვა მრწ. ნარგ.	27560	3.0	82680

დასახულ ღონისძიებათა კომპლექსის გატარებით რეგიონში მარცვლეულის წარმოება აყვანილი იქნება 238 ათას ტონამდე, რაც სრულად უზრუნველყოფს რეგიონის მოსახლეობის ეკოლოგიურად სუფთა პროდუქციით უზრუნველყოფას.

სათესი ფართობი –80110 ჰექტარი მიღებულია არსებულ სახნავზე ასათვისებლად გამოვლენილი მიწის ფართობის დამატებით.

ტექნიკური კულტურებიდან მთლიანად რეგიონში გათვალისწინებულია სოიოს წარმოება 7800 ჰა ფართობზე, მაღალი აგროტექნიკისა და მოვლა-პატრონობის პირობებში, საშუალო-საჰექტარო მოსავლიანობას 1.5 ტონას ვითვალისწინებთ, რაც სრულად რეალურ შესაძლებლობად მიგვაჩნია და მთლიანად პროდუქციის წარმოება 11700 ტონამდე გაიზრდება. 1000 ჰა-ზე გათვალისწინებულია კარტოფილის თესვა. 20 ტ. საჰექტარო მოსავლიანობით 20000 ტონა პროდუქციას მივიღებთ; 3850 ჰექტარზე ვითვალისწინებთ ბოსტნეულისა და ბაღჩეულის თესვა-მოყვანას, 20 ტონა საჰექტარო მოსავლიანობის დროს რეგიონი 77000 ტონა პროდუქციას მიიღებს; 5960 ჰექტარ ფართობზე ვითვალისწინებთ მრავალწლიანი ბალახების თესვას სათივედ. 7 ტონა თივის საჰექტარო მოსავლიანობის პირობებში დამზადებული იქნება 41720 ტონა თივა; 2000 ჰა სახნავ მიწაზე ერთწლიანი ბალახების თესვის შედეგად /27 ტონა საჰექტარო მოსავლიანობის დროს/ დამზადებული იქნება 54000 ტონა მწვანე საკვები. გათვალისწინებულია სანაწვერალო და შუალედური ნათესების წარმოება 30000 ჰექტარ სახნავზე, 15 ტონა საჰექტარო მოსავლიანობის პირობებში დამზადებული იქნება 450000 ტონა მწვანე საკვები, რაც მარცვლეულის განვითარების მყარ საფუძვლად ითვლება. /იხ. ცხრ. 32/

პერსპექტივაში მეცხოველეობისათვის საკვები ერთეულების მიღების
შესაძლებლობები /2020 წ/

№	კულტურების დასახელება	ფართობი /ჰა/	მოსავლიანობა ტ/ჰა	საერთო მოსავალი /ტ/	პერსპექტ. საკეროეულ. მიღების შესაძლ./ტ/
1	მარცვლეული	59500	4.0	238000	204412
2	მრწ.ბალახ. თივად	5960	7.0	41720	20860
3	ერთწლ.ბალახ. მწვ. საკვებად	2000	27.0	54000	10800
4	ჩალა და ნამჯა	59500	6.0	357000	71400
5	ბუნებრივი სათიბები	1200	5.0	6000	3000
6	საძოვრები (ჰაერმშრალი მასა)	61853	4.0	247412	123706
7	სანაწვევრალ და შუალედური ნათესები	30000	15.0	450000	90000
8	ტყის საკვები	179323			35864
9	სამზარეულოს ანარჩენები				22262

ბუნებრივი საძოვრების პროდუქტიულობა აღებულია შ. ნახუცრი-
შვილის მიერ სტაციონარებზე დაყენებული ცდების შედეგად
მიღებული მოსავლიანობების მიხედვით, რაც ჩვენ გატარებული
ღონისძიებების კვალობაზე სრულიად რეალურად მიგვაჩნია.

რეგიონის თითქმის ყველა რაიონში საკარმიდამო ნაკვეთებზე და
კერძო ფერმერულ მეურნეობებში მოყავთ კონტინენტალური პირობების,
ასევე სუბტროპიკული და ტროპიკული ხილის სახეობები. მეხილეობის
განვითარების პრიორიტეტულ მიმართულებად რეგიონში რჩება
თხილის მოყვანა-წარმოება. აქედან გამომდინარე საჭიროდ მიგვაჩნია
სანერგე მეურნეობების აღორძინება-ხარისხიანი ნერგის
წარმოებისათვის ახალი, თანამედროვე ტექნოლოგიებით აღჭურვილი
სანერგეების მოწყობა და მაღალმოსავლიანი, დაავადებებისადმი
მდგრადი ტიპის სარგავი მასალის წარმოების აუცილებლობა. თხილის

წარმოება არის ფაქტიურად უნარჩენო. მიზანშეწონილია მცირე და საშუალო გადამამუშავებელი საწარმოების ჩამოყალიბება, მიღებული პროდუქციის შესანახი მცირე საცავების მოწყობა.

მეციტრუსეობა საქართველოს სოფლის მეურნეობის ტრადიციული და მეტად პერსპექტიული დარგია. მეციტრუსეობის სექტორი ოდითგანვე მნიშვნელოვნად განსაზღვრავდა სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის შემოსავლებს, რადგან მოყვანილი ციტრუსების საკმაოდ დიდი ნაწილი საექსპორტო დანიშნულების იყო.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ქვეყანაში ნელი ტემპით მიმდინარე საბაზრო ურთიერთობებმა, დარგში შესაბამისი საკანონმდებლო ბაზის უქონლობამ და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის საქმეში არსებულმა ქაოსმა, განაპირობა 1990 წელს არსებული ციტრუსოვანთა პლანტაციების ფართობების საგრძნობლად შემცირება. ამჟამად ციტრუსების საჰექტარო მოსავლიანობა 20–30 ტ. ფარგლებში მერყეობს და ევროპული მაჩვენებლების 35–40 %-ს არ აღემატება. ჯერჯერობით საქართველოში ფუნქციონირებს მხოლოდ რამოდენიმე ციტრუსების მიმღები და დამხარისხებელი და საკონსერვო საწარმოო, რომლებიც ამუშავებენ ადგილობრივ ნედლეულს, მაგრამ სხვადასხვა მიზეზების გამო ეს საწარმოები არ მუშაობენ სრული დატვირთვით. ამდენად:

1. ხელი უნდა შეეწეოს ციტრუსების გადამამუშავებელი საწარმოების დაარსებას და მათ თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენებით ფუნქციონირებას.

2. მსოფლიო ბაზარზე ახალი და მდგრადი ბაზრების დასამკვიდრებლად საჭიროა ციტრუსოვანთა პროდუქციის ჯიშობრივი და ხარისხობრივი გაუმჯობესება. ამისათვის სასურველია რეგიონში არსებული ციტრუსების პლანტაციების განახლება ახალი

მარალხარისხიანი და მაღალმოსავლიანი ჯიშებით. სამეგრელოში უნდა შეიქმნას სრულყოფილი სპეციალიზებული ციტრუსების სანერგეები.

3. საჭიროა ძველი ამორტიზებული პლანტაციების ამოძირკვა და ახლის გაშენება. ამისათვის ფერმერებს დახმარება უნდა გაეწიოს სასოფლო-სამეურნეო ტექნიკით უზრუნველყოფაში. ზუსტი აგროწესებისა და აგროვადების დასაცავად ფერმერებს საშუალება უნდა მიეცეთ საჭიროებისთანავე შეიძინონ საწარმოო საშუალებები, რაც შესაძლებელია რაიონებში ფერმერთა მომსახურების ცენტრების შექმნით და მათი სრულფასოვანი მომარაგებით.


4. ხილის შეფუთვა, მაცივრებში შენახვა და ბაზარზე გატანა უმჯობესია კოოპერირებული საწარმოების მეშვეობით, რომლებიც აღჭურვილი იქნება თანამედროვე საწარმოო ხაზებით.

მეჩაიეობა სამეგრელოს რეგიონის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია. 1970–დან 1990–წლამდე ჩაის პლანტაციები ინტენსიურ ექსპლუატაციას განიცდიდა, ხოლო 1990 წლის შემდეგ ქვეყანაში შექმნილმა ეკონომიკურმა და პოლიტიკურმა არასტაბილურობამ მეჩაიეობის სრული დეგრადაცია გამოიწვია, რაც მკვეთრად აისახა სუბტროპიკული ზონის მოსახლეობის ეკონომიკაზე. მეჩაიეობის დარგში შექმნილი სიტუაცია იმითაა საგანგაშო, რომ ჩაის პლანტაციების უმეტესობა ასაკოვანია, 10–15 წელია არ მოკრეფილა ფოთოლი, ფართობების უმეტესობა დაფარულია სარეველებით. ფერმერებმა, რომლებმაც პრივატიზაციისას კერძო მფლობელობაში მიიღეს ჩაის პლანტაციები, დაიწყეს მათი ამოძირკვა, გაჩეხვა და სხვა სასოფლო-სამეურნეო კულტურების გაშენება. ეს ყველაფერი კეთდებოდა ნიადაგის ყოველგვარი გამოკვლევისა და ნაყოფიერების ასამაღლებელი ღონისძიებების გატარების გარეშე. შედეგმაც არ დააყოვნა ალტერნატიული კულტურები ნიადაგების დაბალი

ნაყოფიერებისა და გამოფიტვის გამო დაბალმოსავლიანობით ხასიათდება.

დიაგრამა №6

ჩაის პლანტაციების ფართობების ცვლილება, ჰა (წლების მიხედვით)



ჩაის პლანტაციების 60 %-ზე მეტი ფერდობებზეა გაშენებული. ჩაი ნიადაგდამცავი, ეროზიის საწინააღმდეგო საშუალებაა და მას ამ მხრივაც დიდი ეკოლოგიური დატვირთვა აქვს. ჩაის სხვა კულტურებით ჩანაცვლების მცდელობამ აგროტექნიკური, ტექნიკური და ფინანსური პრობლემების გამო შედეგი ვერ გამოიღო.

მიტოვებული პლანტაციების უმეტესმა ნაწილმა მიიღო გადაზრდილი ბუჩქის ფორმა და გადაიქცა გაუვალ ტყე-მასივებად. ნაწილი პლანტაციებისა ბუნებრივი დაბერების გამო დაკნინებულია და მათზე ხარისხოვანი ჩაის ფოთლის მიღება შეუძლებელია აგროტექნიკური ღონისძიებების გატარების პირობებშიც კი. არადა სამეგრელოს საუკეთესო ეწერი ნიადაგები და სხვა ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები მაღალი ხარისხის და ღირსების ჩაის ფოთლის წარმოების საიმედო გარანტია. ფაქტია, რომ ამ ბოლო წლებში წარმოჩნდა ჩაის წარმოების ახალი მეურნეობრიობის ფორმები, გაჩნდა პროდუქციის გასაღების ბაზრები და ჩაის მეურნეობამ ერთობ დაიწყო

გამოცოცხლება, რაც თავის მხრივ, მომავლის გარკვეულ იმედს იძლევა.

ცხრილი 33

ჩაის ნედლეულის წარმოება რაიონების მიხედვით (ტონა) 2003–2004–2005 წ.

სამეგრელო	9,360	7,502	9,544
მათ შორის რაიონები:			
ზუგდიდის	3,500	3,600	3,424
მარტვილის	900	600	820
სენაკის	1,300	780	1,465
ჩხოროწყუს	650	372	672
წალენჯიხის	2,000	1,300	1,943
სობის	1,010	850	1,220

წყარო: საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახური. საქართველოს სოფლის მეურნეობა /2003, 2004, 2005/.

ჩაის ფოთლის წარმოებისა და გადამუშავების მაღალ დონეზე აყვანის მექანიზმებად, პირველ რიგში მეურნეობრიობის ახალი, ხელსაყრელი ფორმების შერჩევა–დაფუძნებაა, ფორმის, რომელიც უზრუნველყოფს ჩაის ფაბრიკებისა და ნედლეულის მწარმოებლების ინტეგრირებას; ინვესტიციების მოზიდვის პირობების შექმნა; მწყობრიდან გამოსული ჩაის პლანტაციების აღდგენა –გაახალგაზრდაების და ზოგან თანამედროვე სელექციური ჯიშებით ახალი პლანტაციების გაშენების უზრუნველყოფა; დარგის განვითარების დონისძიებების განხორციელებაში სახელმწიფო მხარდაჭერის და რეგულირების უზრუნველყოფა; ფულადი და მატერიალურ–ტექნიკური დახმარება, არსებული ფაბრიკების გადაიარაღება, ახლის მოწყობა; მიწისა და წარმოების სხვა საშუალებების პრივატიზების პროცესის გონივრულად და მიზანშეწონილად, სამართლიანად წარმართვა–დასრულება; პროდუქციის გასაღების ბაზრების დაბრუნება–ახლის მოძიების მექანიზმის ამუშავება; რეგიონში ჩაის კულტურის ქვეშ პერსპექტიული ფართობის დადგენისათვის ჩვენს მიერ შესწავლილი იქნა არსებული

და პერსპექტიული მიწის ნაკვეთები, ჩაის კულტურების წარმოების შესაძლებლობები თითოეული რაიონის მიხედვით.

ცხრილი №34

სამეგრელოში ჩაის პლანტაციის პრივატიზება /2004 წლის იანვრის მდგომ./

№	რაიონები	ჩაის პლანტაციის ფართობი სულ /ჰა/	პრივატიზებულია სულ /ჰა/	სახ. საკუთრ.-ში დარჩენილია
1	ქ.ზუგდიდი	66	–	66
2	ზუგდიდის რნ-ი.	5249	121	5128
3	მარტვილი	68	–	68
4	სენაკი	2733	–	2733
5	ჩხოროწყუ	1213	29	1184
6	წალენჯიხა	2882	352	2530
7	სობი	3173	356	2817
8	ქ.ფოთი	1497	1491	6
9		25	–	25
	სულ	16906	2349	14557

წყარო: საქართველოს მიწის მართვის დეპარტამენტის საარქივო მასალები.

ახლო მომავალში რეგიონში შესაძლებელია 16740 ჰექტარი ჩაის პლანტაციის არსებობა, ზემოთ ჩამოთვლილი დონისძიებათა კომპლექსის დანერგვით, საცდელ-საჩვენებელი მეურნეობების მიერ არაერთგზით მიღებული მოსავლიანობის სიდიდის მიხედვით, ჩვენ ნორმალურად მიგვაჩნია პერსპექტივაში ჩაის მწვანე ხარისხიანი ფოთლის წარმოება განისაზღვროს 4.5 ტონის ოდენობით, რაც რეგიონს საშუალებას მისცემს ყოველწლიურად აწარმოოს 73449 ტონა ნედლეული ანუ 18362 ტონა მზა პროდუქცია, რაც შემოსავლის ერთ-ერთი საიმედო წყარო იქნება. სამეგრელოს რეგიონში ჩაის ბიზნესის აღორძინება ხელს შეუწყობს ეკონომიკური, სოციალური და ეკოლოგიური პრობლემების გადაწყვეტას, მნიშვნელოვან წვლილს შეიტანს შიდა პროდუქტის ზრდაში და რაც არანაკლებ

მნიშვნელოვანია – უზრუნველყოფს მოსახლეობის ფართო მასების დასაქმებას.

ცხრილი №35

ჩაის კულტურით დაკავებული პერსპექტიული
ფართობები რაიონების მიხედვით /ჰა/

№	რაიონი	ფართობი /ჰა/
1.	ზუგდიდი	5305
2.	მარტვილი	2733
3.	სენაკი	1184
4.	აბაშა	68
5.	ჩხოროწყუ	3000
6.	წალენჯიხა	3000
7.	ხობი	1450
	სულ	16740

მევენახეობა სამეგრელოს რეგიონში უძველესი დარგია. დასაბუნია, რომ ქვეყანაში მიმდინარე მოვლენების შედეგად ვენახები მცირედი ფართობებით შემორჩა მიწის კერძო მესაკუთრეებს საკარმიდამო ნაკვეთებში. ახლო მომავალში ვენახის ფართობის ზრდა დიდი მოცულობით მოსალოდნელი არ არის.

შევისწავლეთ სხვა დანარჩენი მრავალწლიანი ნარგავების (კივი, დაფნა, ბამბუკი, ტუნგო, თუთა და ფეიხოას) წარმოების პერსპექტიული შესაძლებლობები. შემოვიდა ახალი კულტურა–კივი, რომლის ფართობი 2009 წლისათვის 718 ჰექტარი გახდა, ასევე ფეიხოა, რომელსაც 821 ჰექტარი ფართობი უჭირავს, ხურმას 1400 ჰექტარი. აღნიშნული კულტურების წარმოების ზრდა პერსპექტივაში სრულიად რეალურია.

მეცხოველეობა სამეგრელოს მხარის უძველესი და მეტად წარმატებული დარგია. უნიკალური ბუნებრივი პირობების მქონე ზღვისპირეთი, მთები, მოსავლიანობით ცნობილი ზამთრისა და

ზაფხულის საძოვრები, მეცხოველეობის მაღალი კულტურის მქონე ხალხი განაპირობებს ადამიანის სასიცოცხლო მნიშვნელობის დარგის წარმატებით განვითარების შესაძლებლობას და რეალობას. მხარე ოდითგანვე ცნობილი იყო მსხვილფეხა და წვრილფეხა პირუტყვის განვითარებით—მაღალი ხარისხის ჯიშობრივი შედგენილობის პირუტყვით და საუკეთესო ხარისხის პროდუქციის წარმოებით. მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა მეცხოველეობის წარმოებაში საქართველოს დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ. პირუტყვის მოვლა-პატრონობა მთლიანად გადავიდა კერძო სექტორში. სოციალურ-ეკონომიკური და პოლიტიკური კრიზისის პირობებში მოსახლეობა მეტ წილად ნატურალურ მეურნეობაზე გადავიდა. რეგიონში დომინირებს ოჯახების მფლობელობაში არსებული მცირე ფერმერული მეურნეობები, სადაც ფერმერებს ყავთ 1–5 ძროხა, რამდენიმე დორი და ქათმები. ისტორიულად, ეს მუდამ შეადგენდა საქართველოს სოფლის მეურნეობის წარმოების ნაწილს. დღეისათვის ფერმერების საკუთრებაში არის გაცემული 0.25–დან 1.25 ჰა-მდე მიწის ნაკვეთი, სადაც გლეხებს ძირითადად მოყავთ ბოსტნეული, ხილი და მარცვლეული (ძირითადად სიმინდი და ღობიო), როგორც საკუთარი მოხმარებისთვის, ასევე გასაყიდად. საკუთრებაში არსებული მცირემიწიანობის გამო მათ არ გააჩნიათ საკუთარი საძოვრები და ისინი არ ამუშავებენ საფურაჟე მარცვლეულს. მათი პირუტყვი საერთო სოფლის საძოვრებზე იკვებება დღის განმავლობაში, ხოლო შინ დაბრუნებისთანავე ფერმერს უხდება მისი დამატებით გამოკვება მარცვლეულის ნარჩენებით. მხოლოდ ერთეულებს აქვთ საშუალება ლაქტაციის პერიოდში მყოფ პირუტყვს მისცენ დამატებითი საკვების სახით ხორბლის ქატო. საძოვრების თითქმის ყველა ნაწილი სახელმწიფო საკუთრებაშია და ფაქტიურად რჩება მოუვლელი და არის დეგრადირებული.

საკვებით უზრუნველყოფის საქმეში დიდი წილი მეცხოველეობაზე მოდის—ხორცი, რძე და რძის პროდუქტები, კვერცხი, მატყლი, თაფლი შეიქმნა მოსახლეობის ძირითადი საცხოვრისი წყარო. ნებით თუ უნებლიედ, ბოლო წლებში მნიშვნელოვნად გაიზარდა პირუტყვის სულადობა. მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის სულადობა 1990 წლიდან 2009 წლამდე 37742 სულით გაიზარდა; მ.შ. ფური—58108 სულით; შემცირდა ღორის სულადობა 61931 სულით; იმატა თხის და ცხვრის სულადობამ—7908 სულით; ცხენის—12733 სულით; ფრინველის—346246 ფრთით და ფუტკრის ოჯახის რაოდენობამ 12103 ოჯახით. ამდენად, მატებაა პირუტყვის ყველა სახეობაში, გარდა ღორის სულადობისა, რაც მეცხოველეობის დარგის განვითარების სასიკეთო ტენდენციებზე მეტყველებს. მიუხედავად რეგიონში არსებული პირუტყვის მაღალი სულადობისა—მათი პროდუქტიულობა დაბალია; პირველ რიგში ეს გამოწვეულია შინაური ცხოველების ჯიშობრივ დაკნინებასთან—ნორმატულზე მცირე ზომები, დაბალი წონამატი და წველადობა; საკვები ბაზის ნაკლებობა და უხარისხობა. არაორგანიზებული და არაოპერატიული ვეტერინალური მომსახურეობა.

არსებული მდგომარეობისა და საკვები პროდუქტების დამზადების შესაძლებლობებიდან გამომდინარე, პერსპექტივაში პირუტყვის სულადობის მკვეთრი მატება არ მოიაზრება, მთავარი აქცენტი კეთდება პროდუქტიულობის ზრდისა და პროდუქციის ხარისხის მატებაზე.

საკვები ბაზის რაოდენობის და ხარისხის, მისი ყუათიანობის ზრდის შემთხვევაში შესაძლებელია მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების ზრდა.

ჩვენს მიერ გაკეთებული გათვლებით პერსპექტივაში შესაძლებელია ვივარაუდოთ პირუტყვის შემდეგი სულადობა; მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვი—200 ათასი სული. მ.შ. ფური—130 ათ., ცხენი—13 ათ., ღორი 128

ათ. მ.შ. დედა ღორი 7 ათ. თხა და ცხვარი 24 ათასი, ფრინველი—2200 ათ. ფრთა, მ.შ. კვერცხმდებელი 700 ათ. ფრთა; ფუტკარი 18 ათ. ოჯახი. პროდუქტიულობა ერთი ფურიდან წელიწადში 170 კგ. ხორცი დაკლული წონით; ერთი დედა ღორიდან 1000 კგ; ერთი დედა თხიდან და ცხენიდან—45 კგ. და ერთი ფრთა ფრინველიდან 1.3 კგ. წველადობა ერთი ფურიდან წელიწადში—2000 ლიტრი, ერთი დედა თხიდან და ცხვარიდან 50 ლიტრი; ფუტკრის ოჯახიდან 25 კგ. თაფლი. კვერცხმდებელობა ერთი მოქცეულიდან 200 ცალი წელიწადში. დამზადებული იქნება ხორცი სულ 32.4 ათ. ტონა; რძე 260.6 ათ. ტონა; კვერცხი 140 მლნ. ცალი და თაფლი 450 ტონა. (იხ. ცხრ. 33) პროდუქტიულობის აღნიშნული დონის მიღწევა ბევრადაა დამოკიდებული პირუტყვის ყუათიანი საკვებით მომარაგებისა და მოვლა-პატრონობის ხარისხზე. პირუტყვის პროდუქტიულობის (რძე) ზრდის მიზნით საჭიროა ჯიშების განახლება, საკვები ბაზის გაუმჯობესება და ბუნებრივი საძოვრების სწორი მართვა.

რძისა და მისი გადამამუშავებელი პროდუქტების სტაბილური ბაზრების მოსაძიებლად და მათზე სათანადო ადგილის დასაკავებლად, უახლესი ტექნოლოგიების დასანერგად და საწარმოების თანამედროვე გზებზე გადასაყვანად—საჭიროა მცირე და საშუალო მეცხოველეობის ფერმების გაერთიანება და გამსხვილება, დამფასოებელი და შემნახველი საწარმოების ფუნქციონირება.

სასურველი იქნება ფერმერთა და მეწარმეთა დასახმარებლად რძისა და მისი გადამამუშავებელი პროდუქციის ბაზარზე უწყვეტად მიწოდების მიზნით შეიქმნას მარკეტინგული ქსელები.

ჯანსაღი პროდუქციის მისაღებად აუცილებელია რეგიონში მოქმედებდეს ვეტერინალური მომსახურების ცენტრი. რაიონებში უნდა ხდებოდეს მიღებული რძის და შემდგომ რძის პროდუქტების ლაბორატორიული კონტროლი.

პირუტყვის სულადობა, პროდუქტიულობა და საერთო პროდუქცია პერსპექტივაში
/2020 წ./

№	პირუტყვის სახეობა	სულადობა		პროდუქტიულობა ერთ სულზე		საერთო პროდუქცია		
		2009 წლის მონაცემებით (ათ.სული)	პერსპექტივაში ათ.სული	ხორცი დაკლული წონით /კგ/	რძე /ლ/ კვრცხი /ცალი/	ხორცი /ათ.ტ./	რძე /ათ.ტ./	კვრცხი /მლნ. ცალი/
1	2	3	4	5	6	7	8	
2	მსხ.რქ. პირუტყვი მ.შ.ფური სხვა დანარჩენი	198 128	200 130 70	170	2000	22	260	
3	ცხენი	13	13					
4	ღორი სულ მ.შ. დედა ღორი	125 6	126 7	1000		7		
5	ცხვარი და თხა სულ მ.შ. დედა ცხვარი და თხა	23 10	24 11	45	50	0.5	0.6	
6	ფრინველი /ფრთა/ მ.შ. კვერცხმდებელი	2060 614	2200 700	13	200	2.9		140
7	მთლიანი პროდუქცია					32.4	260.6	140

რაიონებში უნდა შეიქმნას პირუტყვის სასაკლაოები, ადგილზევე უნდა მოხდეს მიღებული ხორცის და შემდგომ ხორცის პროდუქტების ლაბორატორიული კონტროლის ამაღლება.

მეფრინველეობა. ეკონომიკური რეფორმის შედეგად ფრინველის ხორცისა და კვერცხის წარმოებამ გადაინაცვლა კერძო

სექტორში–ფერმერულ და გლეხურ მეურნეობებში. რეგიონში მცხოვრებ ნებისმიერ ოჯახს შინამეურნეობაში გააჩნია 10–35 ფრთამდე შინაური ფრინველი. მოსახლეობა კვერცხის და ქათმის რეალიზაციას უმეტესად ადგილობრივ ბაზარზე ახდენს. საჭიროდ მიგვაჩნია ფრინველის საკვების დამამზადებელი საწარმოს დაარსება და გამართული ფუნქციონირებისათვის ხელშეწყობა, რომლებიც სპეციალიზებული იქნებიან ყველა საჭირო კომპონენტით დაბალანსებული ფრინველის საკვების დამზადებაზე. აუცილებელია ასევე ვეტერინალური მომსახურების ცენტრის ფუნქციონირება.

საკვლევ რეგიონში მოსახლეობის რაოდენობის მნიშვნელოვანი ცვლილება მომავალში ნავარაუდევო არ არის. საანგარიშოდ ავიღეთ 460 ათ. კაცი. მოსახლეობის სასურსათო უსაფრთხოების უზრუნველყოფა ჩვენი გათვლებით მოტანილია ქვემოთ ცხრილში 37.

ცხრილი 37

სამეგრელოს რეგიონის მოსახლეობის მოთხოვნილება–დაკმაყოფილება საკვებ პროდუქტებზე /ადგილობრივი პროდუქციის წარმოებით 2020 წლისათვის/

№	პროდუქციის დასახელება	წლიური მოხმარების ნორმა/კგ/	პერსპექტივაში რეგიონში წარმოებული პროდუქციის რაოდენობა /ტ/	წლიური მოხმარება ტ-ში	მოხმარების დონე ფიზიოლოგიურ ნორმასთან შედარებით %-ში
1	პური და პურპროდუქტ.	120.5	35000	55430	63.14
2	კარტოფილი	96.7	20000	44482	44.96
3	ბოსტნ.ბალჩეული	146	77000	67160	114.65
4	ხილი	110	55400	50600	109.48
5	შაქარი	36.5	-	16790	-
6	მც.ზეთი	7.3	-	3358	-
7	კვერცხი	14.6	10646	6716	158.51
8	ხორცი	73	32400	33580	96.48
9	თევზი	18.3	-	8418	-
10	რძე	434	260600	199640	130.53

სადისერტაციო ნაშრომში დასახული ღონისძიებათა კომპლექსის რეალიზაციის შედეგად ბუნებრივი გარემოს გაჯანსაღების გვერდით მნიშვნელოვნად იმატებს მიწის პროდუქტიულობა, მისი ფუნქციონალური როლი ყველა სფეროს მიხედვით. საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურული შედგენილობა განპირობებულია მიწის ფონდის მოცულობით და სურსათზე შიდა მოთხოვნილებით. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების გატარებით ნაანგარიშეა მიწის პერსპექტიული პროდუქტიულობა: მარცვლეულის წარმოება 238 000 ტონა, ტექნიკური კულტურების—11 700 ტონა, კარტოფილის 20 000 ტონა, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის 77 000 ტონა, ხილის 32 000 ტონა, ყურძნის 54 000 ტონა, ციტრუსები—23 400 ტონა, ჩაის—73 449 ტონა, თხილის—82 680 ტონა. მეცხოველეობისათვის შესაძლებელია 582 304 ტონა საკვები ერთეულის დამზადება.

აღნიშნული მონაცემები მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და პერსპექტივაში ადგილობრივი მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფაზე მეტყველებს.

დასკვნები და წინადადებები

1. საფუძვლიანადაა შესწავლილი სამეგრელოს მრავალფეროვანი და უნიკალური ბუნებრივი პირობები. წარმოჩენილია მათი ხარისხი და შესაძლებლობები, რაც გააჩნია მის ნაყოფიერ მიწა-წყალს მეურნეობის ყველა დარგის განვითარებისათვის. ბუნებრივ პირობათა შესწავლის დონე სრულად პასუხობს მათი რაციონალურად გამოყენების მიმართულებების განსაზღვრის მოთხოვნილებებს. დახასიათებულია საკვლევი ობიექტის მიწის სავარგულების დინამიკა, მაღალინტენსიური მიწის სავარგულების კლება-მატების გამომწვევი მიზეზები, მიწის რეფორმის შედეგები, მისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

2. წარმოჩენილია სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის ხვედრითი წილი ეროვნულ მეურნეობაში, შესაძლებლობები, რომლებიც გააჩნია რეგიონს მემცენარეობის და მეცხოველეობის განვითარების კუთხით.

მემცენარეობის განვითარების დონის შესწავლით დადგენილია, რომ განვლილი 40 წლის მანძილზე გაზრდილია მარცვლეულის წარმოება 70 %-ით, ბოსტნეულის 87 %-ით, ციტრუსების 92.3 %-ით, ყურძნის 82.3 %-ით, ხილის 98 %-ით, თხილის 99.7 %-ით, შემცირებულია ჩაის წარმოება 99.4 %-ით. ცვლილებები შეინიშნება მეცხოველეობის დარგშიც. გაზრდილია მსხ. რქოსანი პირუტყვის სულადობა 30 %-ით, ფრინველის – 37 %-ით, ფუტკრის ოჯახის რაოდენობა – 48 %-ით, კლებაა თხისა და ცხვრის სულადობაში 30 %-ით, თაფლის – 54.3 %-ით. აღნიშნული ნათლად მეტყველებს რეგიონში მეცხოველეობისა და მემცენარეობის წარმატებით განვითარების შესაძლებლობებზე.

3. სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფონდის გამოყენების ეკონომიკური შეფასების შედეგად დადგინდა, რომ 2008 წლის მონაცემებით ერთ ჰექტარ სახნავი მიწის ფართობზე წარმოებულია 4 152 ლარის ღირებულების პროდუქცია, მრავალწლიანი ნარგავებით დაკავებულ ფართობზე 6 606 ლარის და ერთ ჰექტარ პირობით სახნავზე 2 556 ლარის. ერთ სულ სოფლად მცხოვრებზე მოდის 1 070 ლარის სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია, რაც დაბალი მაჩვენებელია.

4. დაცული არ არის სოფლის მეურნეობის პრიორიტეტულობა და მიწების მიზნობრივად გამოყენების წესები. ხშირად სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე განთავსებულია არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტები. შეიძლება მათი განთავსება შედარებით ნაკლებ პროდუქტიულ მიწაზე. საჭიროა აღნიშნული ობიექტების მიერ დაკავებული ფართობების აგეგმვა-დაზუსტება, მათი სიდიდის განსაზღვრა ნორმატივების მიხედვით, სამიწათმოწყობო სამუშაოების ჩატარება, ინტენსიური მიწის სავარგულების უფრო მომჭირნეობით და ეკონომიურად ხარჯვაზე გადასვლა.

5. საკვლევი ობიექტზე მიწის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხის შესწავლა-ანალიზმა ნათელყო, რომ მიწაზე კერძო საკუთრების დამკვიდრებასთან ერთად თანდათან ფორმირდება და ფუნქციონირებს მიწის ბაზარი. მისი საშუალებით ხდება ცალკეულ მიწათმესაკუთრებსა და მიწათმოსარგებლებს შორის მიწის ფონდის განაწილების და გადანაწილების სრულყოფა, ხელსაყრელი ზომის მეურნეობების ფორმირება, მიწის ნაკვეთების კონსოლიდაცია, მიწაზე გადასახადებისა და მოსაკრებლების სახით სახელმწიფო ბიუჯეტის შევსება. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა მიწის ბაზრის ნორმალურად ფუნქციონირებისათვის საჭიროა

საკანონმდებლო ბაზის სრულყოფა, გარიგებათა პროცესის წარმოების გამარტივება და ინფორმაციული უზრუნველყოფის გაუმჯობესება.

6. მიწების გამოყენების ეკონომიკურ-ეკოლოგიური ეფექტიანობის ამაღლების საიმედო გარანტი გაუმჯობესება-ტრანსფორმაციის დონისძიებათა კომპლექსია. ბოლო წლებში მნიშვნელოვნად შესუსტდა მიწების სამედიორაციო დონისძიებების გატარება: დაშრობა-გასარწყავება, კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების წარმოება, ეროზიასაწინააღმდეგო დონისძიებების დანერგვა, საძოვრების ძირეული და ზედაპირული გაუმჯობესება. მოშლილია სარწყავი ქსელი, ეკალ-ბარდითაა დაფარული და დასილული მრავალი არხი. დაშრობილი მიწები განიცდის მეორად დაჭაობებას. გადაუდებელ დონისძიებათა რიცხვს ეკუთვნის არსებული სარწყავი და დამშრობი ქსელის აღდგენა, ეროზიასაწინააღმდეგო დონისძიებათა დანერგვა და კულტურულ-ტექნიკური სამუშაოების წარმოება, რაც საშუალებას მოგვცემს სასოფლო-სამეურნეო ბრუნვაში ჩავერთოთ 11 200 ჰა მიწის ფართობი.

7. მიწის დაცვისა და რაციონალურად გამოყენების უზრუნველყოფა ბევრადაა დამოკიდებული მიწის მართვის ხარისხზე. თუ ადრე მიწის ფონდი ადმინისტრაციულ-მრძანებლური მეთოდით იმართებოდა, დღეს წინა პლანზე წამოიწია სამართლებრივმა მეთოდმა, ნაწილობრივ ძალაში დარჩა ადმინისტრაციული მეთოდიც. მიწის მართვის ხარისხი დამოკიდებულია მართვის მეთოდების სრულყოფაზე-სამართლებრივი ბაზა, მიწის კადასტრი, მიწათმოწყობა, მიწების მონიტორინგი და მიწების კონტროლი. მიწაზე კერძო საკუთრების ინსტიტუტის დამკვიდრებამ რადიკალურად შეცვალა მართვის მეთოდების შინაარსი და წესები. სრულყოფას და სათანადო

დონეზე აყვანას საჭიროებს მმართველი ორგანოების სტრუქტურა, საკანონმდებლო ბაზა, მართვის მეთოდები და კადრების მომზადება.

8. ქვეყანაში საზოგადოებრივი წყობილების ფორმაციის შეცვლამ რადიკალურად შეცვალა მიწის გამოყენების ფორმები, დაფუძნდა მეურნეობრიობის მრავალი ფორმა-კოოპერატივი, შპს. სპს, ფერმა, ოჯახური მეურნეობა, სააქციო საზოგადოება და ინდმეწარმე. ნაცვლად ადერე არსებული 198 სასოფლო-სამეურნეო საწარმოსი წარმოიქმნა 102 116 მეურნეობა, მათგან 99.84 % – ოჯახური მეურნეობაა. 73 371 მეურნეობის ფართობი ერთ ჰექტრიანია, 28 366 მეურნეობის 5 – ჰექტრამდე. მეურნეობების საქმიანობის შესწავლა-ანალიზი ცხადყოფს, რომ უფრო წარმატებით ფუნქციონირებენ მსხვილფართობიანი მეურნეობები (5-ჰა-დან ზევით).

9. მიწისა და სხვა ბუნებრივი რესურსული პოტენციალის გამოყენების სადღეისო დონის შესწავლა-ანალიზის საფუძველზე, ჩვენს მიერ შემოთავაზებული წარმოების სრულყოფის დონისძიებათა კომპლექსის რეალიზაცია შესაძლებლობას იძლევა მიწის სავარგულების რაციონალური სტრუქტურის შექმნისა და მათი პროდუქტიულობის გაზრდის პარამეტრების დადგენისათვის, როგორც მრეწველობაში, ასევე სოფლის მეურნეობაში. მიწის სავარგულების არსებული სტრუქტურული შედგენილობისა და ახალი მიწების ათვისების შესაძლებლობის გათვალისწინებით, პერსპექტივაში სავარგულების სტრუქტურული შედგენილობა წარმოდგენილი გვაქვს შემდგენაირად: სახნავი-80 110 ჰა, ხეხილის ბაღი-4000 ჰა, ვენახი-1000 ჰა, ციტრუსები-1700 ჰა, ჩაი-16740 ჰა. სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ასეთი სტრუქტურა სრულიად პასუხობს რეგიონის სოფლის მეურნეობის პერსპექტიული განვითარების მიმართულებებს.

10. საკვლევი ობიექტის სასოფლო-სამეურნეო წარმოების სტრუქტურული შედგენილობა განპირობებულია მიწის ფონდის

მოცულობით და სურსათზე შიდამოთხოვნებით. ჩვენს მიერ შემოთავაზებული ღონისძიებების გატარებით ნაანგარიშეა მიწის პერსპექტიული პროდუქტიულობა: მარცვლეულის წარმოება 238000 ტონა, ტექნიკური კულტურების—11 700 ტონა, კარტოფილის 20 000 ტონა, ბოსტნეულისა და ბაღჩეულის 77 000 ტონა, ხილის 32 000 ტონა, ყურძნის 54 000 ტონა, ციტრუსები—23 400 ტონა, ჩაის—73 449 ტონა, თხილის—82 680 ტონა. მეცხოველეობისათვის შესაძლებელია 582 304 ტონა საკვები ერთეულის დამზადება.

აღნიშნული მონაცემები მიწის რესურსების ეფექტურად გამოყენებასა და პერსპექტივაში ადგილობრივი მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით უზრუნველყოფაზე მეტყველებს.

გამოყენებული ლიტერატურა

1. წიგნები და სტატიები

1. ანდლულაძე რ. მიწის რეფორმის კონცეფცია საქართველოში ასკემსკის შრომების კრებული ტ. III თბ. 1992წ.
2. ანდლულაძე რ. საქართველოს სსრ მიწის რესურსების კომპლექსურად გამოყენების ძირითადი მიმართულებანი. შრ. კრებული ასკემსკი თბ. 1989წ.
3. ანდლულაძე რ. მიწათსარგებლობის თავისებურებანი და სასოფლო-სამეურნეო სავარგულების ეფექტურად გამოყენება საქართველოში. თბ. „საბჭოთა საქართველო“ 1976წ.
4. ანდლულაძე, ბალანჩივაზე, ენდელაძე, დოღონაძე – საქართველოს სასოფლო-სამეურნეო წარმოებისათვის მიწის რესურსების გამოყენების პროგნოზირება – შრომათა კრებული, სმმოკი. თბ.1976. ტ. VIII.
5. ანდლულაძე რ., ბურკაძე ვ. – მიწა ქვეყნის ძირითადი სიმდიდრეა და მას თვალისჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ – გაზეთი “საქართველოს რესპუბლიკა” №190. 20.07.2003. გვ.3
6. ანდლულაძე რ. დოღონაძე გ. საქართველოს მიწის ფონდების გამოყენების ძირითადი მიმართულებანი. თბ. „ცოდნა“ 1982წ.
7. ანდლულაძე რ. დოღონაძე გ. საქართველოს სსრ მიწის ფონდები და მათი ინტენსიურად გამოყენების გზები. თბ. „საბჭოთა საქართველო“ 1987წ.
8. ანდლულაძე რ. ქეშელაშვილი ო. სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეფექტიანობის ამაღლება თბ. “საბჭოთა საქართველო” 1982წ. 65-67 გვ.
9. ასათიანი რ. – საინფორმაციო-საკონსულტაციო სამსახური აგროსამრეწველო კომპლექსში. თბ. “საქართველოს მაცნე”, 2002.

10. ასათიანი რ. ბაჯუნიაშვილი ჯ. – საწარმოო პოტენციალის გამოყენების ეფექტიანობა რეგიონალურ პროდუქტიულ ქვე-კომპლექსებში. შრომათა კრებული, სმოკი. თბ. ასკემსკი 1991წ.
11. ბენია შ. – სასოფლო-სამეურნეო წარმოების ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების რეზერვები. შრომათა კრებული, სმოკი თბ. 1987წ. ტ.XIX.
12. ბურკაძე ვ. “მიწის ეკონომიკური შეფასება და მისი გამოყენება. თბ. ‘საბჭოთა საქართველო’. 1973წ. 252გვ.
13. ბურკაძე ვ. – მიწის კადასტრისა და სასოფლო-სამეურნეო სავარგულთა ფასი. თბ. ‘საბჭოთა საქართველო’. 1985წ. 78გვ.
14. ბურკაძე ვ. –სასოფლო-სამეურნეო წარმოებიდან მიწის ამოღებით მიყენებული ზარალის კომპენსაციის საკითხებისათვის. სმოკის შრომათა კრებული ტ. XVIII. თბ. 1985წ. 3-12 გვ.
15. ბურკაძე ვ. “მიწის ფასი აგრარული რეფორმის ქვაკუთხედი” შრომათა კრებული, სკემსკი. თბ. 1991 წ. 3-8 გვ.
16. ბურკაძე ვ. – მიწის რაციონალურად გამოყენებისა და დაცვის სრულყოფის საკითხები. შრომათა კრებული, სმოკი, თბ. 1984წ. ტ.XIX.
17. ბურკაძე ვ. ქეშელაშვილი ო. “საქართველოს აგროსამ-რეწველო კომპლექსის განვითარების შესაძლებლობა და მიმართულებები საბაზრო ეკონომიკის პირობებში”. შრომა-თა კრებული, ასკემსკი. თბ. 1990.
18. გიორგაძე ჰ. – საქართველოს სასურსათო უსაფრთხოების სოციალურ-ეკონომიკური პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. – სსაუ „აგრარული მეცნიერების პრობლე-მები“ თბ. 1999წ. 196-202გვ.
19. გიორგაძე ჰ. – აგრარული სექტორის განვითარების ბერკე-ტებისა და სტიმულირების შესახებ. შრომათა კრებული ასკემსკი. თბ. 1991 წ.
20. გველესიანი გ. – მთიანი რაიონების პრობლემები საქარ-თველოში. საქართველოს ეკონომისტი 1968წ. №6. გვ. 12-14.

21. გოგოხია რ. – ეკონომიკური ინტერესები წარმოებით ურთიერთობათა სისტემაში. თბ. „მეცნიერება“ 1980წ.
22. გოგოხია რ. – სოფლის მეურნეობის წარმოების ინტენსიფიკაცია თბ. „მეცნიერება“ 1975წ. 155გვ.
23. გოგოხია რ. – მიწის რენტის გენეზისი თანამედროვე ინდუსტრიული სოფლის მეურნეობის პირობებში. ეკონომისტი 1990წ. №10. გვ. 43-46.
24. გოგუაძე ნ. მიწათმოწყობის აქტუალური საკითხები აგროსამრეწველო კომპლექსის განვითარების პროცესში. თბ. „საქართველო“ 1992წ. გვ.55.
25. დოღონაძე გ. – მთის რაიონების მიწათსარგებლობის ზოგიერთი საკითხი – შრომათა კრებული ასკემსკი თბ. 1990წ. გვ. 29-35.
26. დოღონაძე გ. “მიწის რესურსების რაციონალურად გამოყენების ძირითადი გზები”, შრომათა კრებული, სმოკი, XIII თბ. 1982წ.
27. დოღონაძე გ. მთის რაიონების მიწათსარგებლობის ზოგიერთი საკითხი. შრომათა კრებული ასკემსკი თბ. 1990წ. გვ 29-35.
28. დოღონაძე გ. – ნორმატიული დაგეგმვა სასოფლო-სამეურნეო სავარგულების თანაზომადობის მეთოდით. ჟ. ეკონომისტი. 1988წ.№2
29. დოღონაძე გ. – მიწის ფულადი შეფასება სასურსათო გადასახადის პირობებში. ასკემსკის შრომათა კრებული. თბ. 1990წ. ტ. XXII. 26-33გვ.
30. დოღონაძე გ. საქართველოში მიწის რეფორმის პირველი ეტაპის შედეგები – თსუ შრომების კრებული თბ. 2000წ. 28-31.
31. ელიზბარაშვილი ზ. ფირმის საწარმოო სტრუქტურის ოპტიმიზაციის მოდელი. ჟ. „ეკონომისტი“ №7. 1993წ. 19-25გვ.
32. ენდელაძე დ. – მიწის რაციონალური გამოყენება. თბ. „საბჭოთა საქართველო“ 1976წ. გვ. 266.
33. ვახუშტი, ადწერს სამეფოსა საქართველოს, თბ. 1901 წ. 123 გვ.

34. ვაშაკიძე ო. აგრარული გარდაქმნების ზოგიერთი საციალურ-ეკონომიკური შედეგი – ესპსკი „საბაზრო ეკონომიკის ფორმირებისა და ფუნქციონირების პრობლემები საქართველოში“ თბ. 2000წ. ტ.V გვ.363-376.
35. ზედგინიძე ა. – საქართველოს შრომითი და ბუნებრივი რესურსების გამოყენების ზოგიერთი საკითხი. ჟ. „ეკონომისტი“ 1992წ. №6 გვ. 11-16.
36. თავართქილაძე ა., ნაკაიძე ე. – საქართველოს მიწის რესურსების რაციონალური გამოყენების და დაცვის პრობლემები. თბ. „მეცნიერება“ 1994წ. გვ. 92-93.
37. თურმანიძე ს., ჭკადუა გ., „სამეურნეო ანგარიში და კოლექტიური იჯარა სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში“, თბ. საუ, 1988 წ.
38. თურმანიძე ს. ფალელაშვილი ი. გაბაიძე გ. –“ბიზნესის საფუძვლები“. თბ. 2009 წ.
39. ილია მეორე, საქართველოს კათალიკოს პატრიარქი – “საახალწლო ეპისტოლე“, თბილისი 2009 წ.
40. კაულმანი ი. შტუდლერი დ. – კადასტრი 2014, მსოფმხედველობითი კონცეფცია, ივლისი 1998წ. გვ. 58.
41. კვარაცხელია მ. ილია ჭავჭავაძე და ეროვნული ეკონომიკა 2001წ.
42. კვიციანი ქ. “მიწის (უძრავი ქონების) რეგისტრაციის სახელმძღვანელო თბ. 2000.
43. კვიციანი ქ. – მიწის საკადასტრო სისტემის საჭიროებისა და ფიჭური პროექტის ეფექტიანობის დახასიათება გაზეთი „გეო“ №3 (6) 2000წ.
44. კიკნაველიძე ა. ჟღენტი პ. და სხვები – წარმოების ორგანიზაცია სასოფლო-სამეურნეო საწარმოებში (გაერთიანებებში) თბ. „განათლება“ 1990 წ. 144-150გვ.
45. კორძახია მ. საქართველოს ჰავა თბ. 1961 წ. 321გვ.

46. კოლუაშვილი პ. ბენია შ. – აგრარული ბაზრის სახელმწიფო რეგულირების ასპექტები საქართველოში. “ეკონომიკა” №5 2002.
47. კოლუაშვილი პ. ზიბზიბაძე გ. „სოფლის მეურნეობის ეკონომიკა“. თბ. 2006 წ.
48. კუნჭულია თ. საქართველოს სოფლის მეურნეობის საბაზრო ეკონომიკაზე გადაყვანის პრობლემები თბ. “მეცნიერება”1997 წელი.
49. მდინარაძე მ. ჭინჭარაული ნ. – მიწის ფონდების რაოდენობრივი აღრიცხვა და შეფასება. თბ. „საბჭოთა საქართველო“. 1974 წ. 152გვ.
50. ნადარეიშვილი გ.ო. იოფე, რომის სამოქალაქო სამართლის საფუძვლები. თბ.“სამთავისი“ 1994 წ. გვ. 97.
51. ნაკაიძე ე. მახარაძე ქ. – მიწა საერთო სახალხო სიმდიდრეა. თბ. საქართველოს სამეცნიერო და საინჟინრო საზოგადოება 1990წ.
52. ნიკოლეიშვილი გ. წარმოების ორგანიზაცია და მართვა ფერმერულ მეურნეობაში. “მეცნიერება”, სახელმძღვანელო, თბ. 2000.
53. ჟორდანიას ი. გობეჩია გ. და სხვ. „სამეგერელოს ბუნებრივი რესურსები და მათი გამოყენების პერსპექტივები“. თბ.2007 წ.
54. ჟღენტი პ., ქეშელაშვილი ო., ბურკაძე ვ. და სხვები – წარმოების ეკონომიკურ-ორგანიზაციული ბერკეტების სრულყოფა. თბ. „საბჭოთა საქართველო“ 1986წ. გვ. 78-84.
55. რეკომენდაციები მიწის ეკონომიკური შეფასების პრაქტიკული გამოყენების შესახებ, ხელმძღვანელი ნ. ჭინჭარაული თბ. 1982წ. გვ 42.
56. რეკომენდაციები სოფლის მეურნეობის გაძღოლის სისტემის შესახებ. თბ. 1986წ. გვ. 680.
57. საბაშვილი მ. –საქართველოს სსრ ნიადაგები. თბ. 1970წ. 9546გვ.
58. სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში მიწის სავარგულების გადასახადის ნორმატივების დადგენის მეთოდოლოგია. შემდგენნი: ნ. ჭინჭარაული, ნ. ბერიძე. თბ. 1990წ. 23გვ.

59. ტურაბელიძე ნ. “სამიწათმოქმედობის დაპროექტება” – თბ. “განათლება” 1989.
60. ტურაბელიძე ნ. “საქართველოს მიწის სამართალი” – თბ. “მეცნიერება”, 2002.
61. ტურაბელიძე ნ. “მიწის ფასის განსაზღვრის მეთოდოლოგია” – თბ. საუ. 1998.
62. ტურაბელიძე ნ. გობეჩია გ. ლობჯანიძე ე. “მიწის რესურსები და მათი გამოყენების პროგნოზირება”, თბ. სსი – 1994.
63. ტურაბელიძე ნ. სუხიაშვილი ნ. – მიწის ბაზრის ფორმირებისა და ფუნქციონირების საკითხისადმი. აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული XXVI თბ. 2004. გვ. 180 -185.
64. ტურაბელიძე ნ. სუხიაშვილი ნ. – მიწათსარგებლობის მთლიანი ფართობის ნორმატიული ფასის განსაზღვრა მცხეთის რაიონის მაგალითზე – აგრარული მეცნიერების პრობლემები, სამეცნიერო შრომათა კრებული XXIX თბ. 2004. გვ. 202 - 205.
65. ტურაბელიძე ნ. – საადგილმამულო ურთიერთობათა საფუძვლები. სახელმძღვანელო. თბ. 2009 წ.
66. ტურაბელიძე ნ. ქვაცაბაია ფ. –“მიწა, როგორც საზოგადოებრივ ურთიერთობათა ობიექტი და მატერიალური პირობა“. მეცნიერება ედა ტექნოლოგიები. № 10–12. 2009 წ.
67. ურუშაძე თ. – “საქართველოს ძირითადი ნიადაგები” თბ. “მეცნიერება“ 1997წ. 267გვ.
68. ქართლის ცხოვრება თბილისი 1898 წელი. გვ. 637-638.
69. ქეშელაშვილი ო. საქართველოს სსრ აგროსამრეწველო კომპლექსის ეკონომიკური პოტენციალი. თბ. „ცოდნა“ 1989წ.
70. ქარქაშაძე ნ. “მსოფლიო სოფლის მეურნეობა” თბ. “განათლება”, 1993.

71. ქვაცაბაია ფ. კიკოლაშვილი ა. ცინცაძე მ.
„მიწათსარგებლობის და მიწათმოწყობის საქმიანობის სრულყოფის
ზოგიერთი საკითხი“. მეცნიერება და ტექნოლოგიები. №4–6. 2007 წ.
72. ქვაცაბაია ფ. –“მეურნეობრიობის ახალი ფორმების დაფუძნების
გავლენა მიწის რესურსების გამოყენების ეფექტიანობაზე /სამეგრელოს
მხარის მაგალითზე/. თბ. სსსსუ სამეც. შრ. კრებული. ტომი პირველი.
№2. 2008 წ.
73. ქვაცაბაია ფ. „მიწის რეფორმის შედეგები და მემცენარეობის
პროდუქციის წარმოების ზრდის ტენდენციები ზუგდიდის რაიონის
მაგალითზე“. თბ. სსსსუ სამეც. შრ. კრებული. ტომი მეორე, №1. 2009
წ.
74. ქვაცაბაია ფ. ჩიკვაიძე თ. –“მიწათმოწყობის სრულყოფის
მნიშვნელობა რაციონალური ბუნებათსარგებლობის პრობლემატიკაში“.
მეცნიერება და ტექნოლოგიები. №10–12 თბ. 2007 წ.
75. ყამარაული ს. „მარკეტინგი“ თბ. 2005 წ
76. შარპი დ. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო მიწებზე უფლებათა
რეგისტრაციისათვის წინაპირობის შექმნის პროცედურა (ანგარიში)
1999წ.
77. ჩარქსელიანი ა. პეტრიაშვილი რ. ყიფიანი მ. – “საქართველოს
სსრ მიწის კადასტრი” თბ. 1988.
78. ცნობარი მიწის მესაკუთრეთათვის საკანონმდებლო აქტთა
კრებული. თბ. 1997წ. 176გვ.
79. ძაგნიძე გ. თურმანიძე ს. „ინვესტიციების როლი ფერმერული
მეურნეობის ეკონომიკური ეფექტიანობის ამაღლების საქმეში“. თბ. 2005
წ.
80. ძაგნიძე გ. სამეწარმეო მოღვაწეობის
ორგანიზაციულ–სამართლებრივი ფორმები საქართველოში“. თბ. 2005
წ.

81. ჭავჭავაძე თხზულებათა ტომი 6. 1973წ. გვ. 33-37.
82. ჭინჭარაული ნ. – “მიწის კადასტრი” – თბ. “განათლება”, 1988.
83. ჭინჭარაული ნ. – “საქართველოს სსრ მიწის ფონდის ბუნებრივი სასოფლო-სამეურნეო დარაიონება” – თბ. სსი 1989.
84. ჭინჭარაული ნ. “საადგილმამულო ურთიერთობათა რეგულირება საბაზრო ეკონომიკის პირობებში. სოფლის მეურ-ნეობის განვითარების პრობლემები საბაზრო ეკონომიკაზე გარდამავალ პერიოდში” – თბ. “მერდინი” 1997.
85. ჭიპაშვილი პ. – “მიწის ბაზრის ფორმირება და მისი სახელ-მწიფო რეგულირება” თბ. 2004.
86. ხითარიძე ი. თურქია ს. “კადასტრის ზოგადი ისტორიული ქრონოლოგია (ბროშურა) მსოფლიო ბანკის მიწის რეგისტრაციის განყოფილება, თბ. 2003.
87. ჯავახიშვილი ი. საქართველოს საზღვრები ტბილისი. საქართველოს სტამბა 1919წ. 55გვ.
88. Гегечкори З. – Информация о проходящей земельной реформе и ее развития. Конференция Развития Земельной Реформы в Странах Кавказа. Тб. 5-6.09.2002.
89. Дейнингер К. , Федер Г. – Земельные институты и политика: Основные темы доклада по исследованию политики. Региональный семинар по земельным вопросам в Центральной и Восточной Европе и СНГ, Будапешт, 3-6 апреля 2002.
90. Егиашвили Д. – Стратегия консолидации земли и улучшенного управления земли в Грузии. Конференция Развития Земельной Реформы в Странах Кавказа. Тб. 5-6.09.2002.
91. 97 ст. Коментарии КФЗ – Об обороте земель сельскохозяйственного назначения. М. 2003, ст. 111.

92. Ларсон Г. – Регистрация прав на землю и кадастровые системы всемогательные средства для земельной и информации и управления земельными ресурсами. Великий Новгород, 2002,
93. Лерман И. – Земельные рынки и укрупнение участков. Региональный семинар по земельным вопросам в Центральной и Восточной Европе и СНГ, Будапешт, 3-6 апреля 2002.
94. Лойко П. Ф. – К проблеме оценки природных ресурсов и земли, как составляющих национального богатства страны. М. журнал «Недвижимость и инвестиции», № 2-3, 11-12, 2002.
95. Попов Н. А. – Экономика отраслей АПК М ИКФ «Эклос» 2002, ст. 118-137.

2. საკანონმდებლო აქტები

- 2.1 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №48 “საქართველოს რესპუბლიკაში სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის რეფორმის შესახებ” 18.01.92წ.
- 2.2 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №128 “მინისტრთა კაბინეტის 1992 წლის №48 დადგენილების პრაქტიკული განხორციელების დამატებით დონისძიებათა თაობაზე 6.02.1992წ.
- 2.3 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №290 “1992 წლის 18 იანვრის №48 და 6 თებერვლის №128 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებათა შეტანის შესახებ” 10.03.1992წ.
- 2.4 საქართველოს რესპუბლიკის მთავრობის დადგენილება №949 “საქართველოს რესპუბლიკაში სახელმწიფო მეურნეობების, კოლმეურნეობებისა და სხვა სასოფლო-სამეურნეო საწარმოების რეორგანიზაციის წესის შესახებ” 22.09.1992 წ.

2.5 საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა კაბინეტის დადგენილება №148 “საქართველოს რესპუბლიკის ქალაქებსა და რაიონულ ცენტრებში მცხოვრებთათვის მიწის ნაკვეთების გამოყოფის უზრუნველყოფის ღონისძიებათა შესახებ” 24.02.1993წ.

2.6 საქართველოს კანონი “სახელმწიფო შესყიდვების შესახებ” 9.12.1998წ.

2.7 საქართველოს ეკონომიკისა და საქართველოს ფინანსთა მინისტრების ერთობლივი ბრძანება №6/18, 1999 წლის 25 იანვარი, “საქართველოს ქალაქების (რაიონების) მაკრომდებარეობის ინდექსების ტერიტორიების ზონირებისა და სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდის დამტკიცების შესახებ”

2.8 კანონი “მიწის ნაკვეთებისა და მათთან დაკავშირებული უძრავი ქონების სახელმწიფო სარეგისტრაციო მოსაკრებლების შესახებ” 30.04.1999წ.

2.9 საქართველოს კანონი “სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ.” 11.02.2000წ.

3. რეფერატები და დისერტაციები

3.1 დოღონაძე გ. – მიწათსარგებლობის ეფექტიანობის ამაღლების გზები. დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თბ., 1993.

3.2 კაიშაური ნ. დამშრობი სისტემების რეაბილიტაცია და მისი როლი სას.სამ. წარმოების ეფექტიანობის ამაღლებაში /კოლხეთის დაბლ.მაგ.ზე/. სადისერტაციო ნაშრომი სოციალურ მეცნ. დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად. თბ. 2006.

3.3 კოლუაშვილი პ. – საქართველოს სასურსათო უშიშროების პრობლემები და მათი გადაწყვეტის გზები. დისერტაცია ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად თბ., 2003.

3.4 ტურაბელიძე ნ. – საქართველოს მიწის რესურსების გამოყენების პრობლემები საადგილმამულო ურთიერთობათა ახალ პირობებში და მათი გადაწყვეტის გზები. სადოქტორო ნაშრომი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად., თბ. 1999.

3.5 ქარელი კ. – მიწის რეფორმის შედეგები და მისი სრულყოფის გზები ქვემო ქართლის მხარის რაიონების მაგალითზე. სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპოვებლად თბ.,2004.

3.6 ჭინჭარაული ნ. – მიწის კადასტრი სასოფლო-სამეურნეო სავარგულების დაცვისა და რაციონალურად გამოყენების ღონისძიებათა სისტემაში მეურნეობრიობის მრავალფორმიანობის დროს. სადოქტორო ნაშრომი ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორის ხარისხის მოსაპოვებლად., თბ. 1992.

2.10 ჭიპაშვილი პ. საქართველოს მიწის კადასტრის წარმოების სრულყოფის საკითხები საკუთრების სხვადასხვა ფორმების პირობებში. სადისერტაციო ნაშრომი ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატის ხარისხის მოსაპ. თბ., 2000.